საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№38 (367)
19 – 25 ოქტომბერი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## საქართველოში გაუდაბნოებას სამასი ათასი ჰექტარი მიწა განიცდის 20



## «მას შემდეგ, რაც სანდრა რულოვსის მაჟორიტარობის ამბავი შევიტყვე, 11 კარდაკარ დავდივარ და ყველას ვეუბნები, რომ მისთვის ხმის მიცემა სამშობლოს ღალატის ტოლფასია»

«ორი კაპიკისთვის ქვეყანას ნუ გაყიდით, ფული დამთავრდება, შაქარი და ფქვილი გამოილევა და ჩვენ კიდევ ოთხი წელი ჯოჯოხეთში მოგვიწევს ცხოვრება. ვიფიქროთ იმაზე, რომ მეგრელებმა როგორღაც სირცხვილი ჩამოვირეცხოთ, სირცხვილი, რომელიც ნაცებმა ჩვენდა უნებურად მოგვცხეს»

## «არაერთიანი ნაციონალური მოძრაობა» და სრულიად 2 თავისუფალი დემოკრატები



„რესპულიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ კრახი არჩევნებში მიუთითებს იმაზე, რომ ორივე პარტიის ხელმძღვანელები ბოლო წლების განმავლობაში ილუზიებში ცხოვრობდნენ“

## «საჭიროა აბსოლუტურად ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც სუფთა პოლიტიკური წარსული აქვს» 3

«ჩვენ მალე ვნახავთ, როგორ დაერევიან გათავისუ-ფლებულ ადგილებს ახალარჩეული პარლამენტის წევრების შვილები, ძმები, საყვარლები, მამიდაშვილები, მეზობლები»

## «მივიღეთ ის საქართველო, რომელზეც ამერიკა ოცნებობდა» 6



## თარგამაძის მანქანის აფეთქება «ერთობლივი პროექტი» იყო? 10





„რატომ ააფეთქა მანქანა ბოროტმოქმედმა მაინცდამაინც მაშინ, როცა აფეთქების რადიუსში მოძრაობდნენ ადამიანები, ჩვენი თანამოქალაქეები? იმიტომ ხომ არა, რომ, ჩანაფიქრის თანახმად, ამ ტერაქტს უნდა შეეწირა რაც შეიძლება მეტი სიცოცხლე, გამოეწვია მასობრივი მღელვარება ხელისუფლების წინააღმდეგ და უზრუნველეყო „ნაცმოძრაობის“ მხარეს ამომრჩეველთა გადასვლა?“



## 8 «მორგში ჩაგვიყვანეს, შუქი გამორთეს, მაცივარი ჩართეს და მიცვალებულზე ბორკილით მიგვაბეს»

«ისე მცემდნენ, ციხიდან რომ გამოვედი, კბილები აღარ მქონდა. ციხის რეჟიმის განყოფილების უფროსი ოლეგ ფაცაცია და ციხის კორპუსის უფროსი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ კბილს ჩამიმტვრევდა ერთი დარტყმით»

## 4 კოლუმბიური გაკვეთილები საქართველოსთვის

## 5 თათბირი გოაში და ნარკოტესტი კლინტონისათვის

## 6 არასამთავრობო სექტორი «ნაციონალურ მოძრაობას» დაუფარავად ლობირებს

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მართალია, საქართველოს უახლესი ისტორია ცხადყოფს, რომ პარტიები, რომლებიც ყველა ბერკეტს ეუფლებიან, ცუდად ამთავრებენ, მაგრამ, ალბათ, ეჭვგარეშეა, რომ საზოგადოებამ თავად უნდა გააკონტროლოს ხელისუფლება და არ არსებობს მიზეზი, რომლის გამო შეიძლება ეს მისია სააკაშვილის რეჟიმის ყოფილ მაღალჩინოსნებს გადასცეს.**

# «არაერთიანი ნაციონალური მოძრაობა» და სრულიად თავისუფალი დემოკრატები

**გასულ კვირაში საზოგადოების ყურადღება მიიპყრო შიგა დაპირისპირებამ „ნაციონალურ მოძრაობაში“, „თავისუფალი დემოკრატების“ ფაქტობრივმა დაშლამ და სიტუაციამ არჩევნების მეორე ტურის წინ. ზოგადმა დაძაბულობამ ოქტომბრის პირველ კვირასთან შედარებით მნიშვნელოვნად იკლო, მაგრამ სერიოზული კრიზისის შექმნის წინაპირობები კვლავინდებურად არსებობს.**



## დაპირისპირება თუ სპექტაკლი?

მას შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობამ“ 8 ოქტომბერს მარცხი განიცადა, პარტიის შიგნით დაიწყო მწვავე დისკუსია იმის თაობაზე, უნდა მიიღონ თუ არა ნაციონალებმა მონაწილეობა მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში და მიზანშეწონილი თუა ახალარჩეული პარლამენტის ბოიკოტირება. **მიხეილ სააკაშვილმა** მხარი კონფრონტაციულ ვარიანტს დაუჭირა, **გიგა ბოკერიამ** კი — შედარებით კონსტრუქციულს, მის პოზიციას ამყარებდა დასავლელი პარტნიორების რჩევა პარლამენტში შესვლაზე და სადამკვირვებლო ორგანიზაციების დადებითი დასკვნები, რომლებმაც არჩევნების გაყალბებულად გამოცხადება გამორიცხეს. საბოლოოდ, პოლიტიკურმა საბჭომ ხმათა უმრავლესობით, მხარი ბოკერიას წინადადებას, ანუ პარლამენტში შესვლას დაუჭირა. დასადგენი ამ სიტუაციაში, ალბათ, მხოლოდ ის დარჩა, ეს რეალური კონფლიქტი იყო თუ სპექტაკლი.

არჩევნების წინ მიხეილ სააკაშვილი იმუქრებოდა, რომ საქართველოში ჩამოვა, ხმებს დაიცავს, რევოლუციას სათავეში ჩაუდგება და ა.შ. მისი მხარდამჭერების ნაწილმა ეს დაიჯერა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მსგავსი არაფერი მომხდარა, იმედგაცრუებული დარჩა. აქედან გამომდინარე, პარტიას, მისი მთავარი რესურსის, მიხეილ სააკაშვილის იმიჯის, თუნდაც ნაწილობრივი გადარჩენა დასჭირდა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამისთვის მოხდა ბოკერია-სააკაშვილის კონფლიქტის „მოდელირება“, რომლის მთავარ მიზანს ნაციონალების შემდეგ მოსაზრებამდე მიყვანა წარმოადგენდა: „მიშა ნამდვილად ბრუნდებოდა საქართველოში, მაგრამ თანაპარტიელების სისულელემ ხელი შეუშალა“. ცხადია, „ნაცმოძრაობის“ რეიტინგს ესეც დააზიანებს, მაგრამ ნაკლებად იმ ვარიანტთან შედარებით, როდესაც მისი მხარდამჭერები იფიქრებდნენ, რომ სააკაშვილმა ისინი, უბრალოდ, „ააგდო და გადააგდო“.

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი სააკაშვილსა და ბოკერიას შორის ადრეც არსებობდა, ამ კონკრეტული ეპიზოდის გამოცხადება გარდაუვალი კრიზისის უტყუარ ნიშნად მიზანშეწონილი არაა, რადგან ამ შემთხვევაში ორივე მხარეს მარცხის უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია აინტერესებდა და სავსებით შესაძლებელი იყო, ამისთვის მცირე სპექტაკლი მოეწყოთ.

## მეორე ტურის მოლოდინში

მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურის წინ სიტუაცია რთულია, ხოლო ზუსტი პროგნოზის გაკეთება — შეუძლებელი. მართალია, ოლქების დიდ ნაწილში სახელისუფლო პარტიის წარმომადგენელთა უპირატესობა დიდია და მათი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ზოგიერთ რაიონში სიტუაცია ფრიად ბუნდოვანია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ალბათ, ის არის, რომ ორივე პარტიის რესურსი მნიშვნელოვნად შემცირდა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ გამარჯვება ისედაც მიღწეულია, ამიტომ შეიძლება პასიურობა გამოავლინონ. ამასთანავე, შინ შეიძლება დარჩნენ ის ამომრჩევლებიც, რომლებმაც 8 ოქტომბერს ხმა ივანიშვილის პარტიას მხოლოდ იმიტომ მისცეს, რომ სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხე სავსებით რეალურად მიაჩნდათ; დღეს ეს თემა ნაკლებად აქტუალურია.

პრობლემები ნაციონალებსაც აქვთ. მათი ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილი ძალიან გაღიზიანდა იმის გამო, რომ სააკაშვილის მიერ დაანონსებული „ზღვის გადაცურვა“ და რევანში არ შედგა. პარტიის მხარდამჭერთა შორის დაიწყო მწვავე დისკუსია, რომელიც ხშირად ლანძღვაგინებაში გადადიოდა. რადიკალმა „მიშისტებმა“, ბოკერიას თანამოაზრეებისგან განსხვავებით, შეიძლება არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვან, ზოგადი იმედგაცრუების გამო და იმიტომ, რომ სააკაშვილმა მხარი ბოიკოტს დაუჭირა, თუმცა უშუალოდ არჩევნების წინ ოდესის გუბერნატორმა მათ შეიძლება უბნებზე მისვლისკენ მოუწოდოს. „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ კიდევ ერთი ფაქტორი მუშაობს — ქართველი ამომრჩევლების დიდ ნაწილს ძალიან არ უყვარს ხმის მიცემა იმ პარტიისთვის, რომელსაც აპრიორი დამარცხებულად თვლიან, ხოლო ნაციონალების მარცხი ეჭვს აღარ იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ოლქში შეიძლება წარმატებას მიაღწიონ.

მთავარი პრობლემა მეორე ტურში კონკურენტი პარტიებისთვის მხარდამჭერების მობილიზება იქნება, ამორჩეველთა აქტიურობა შეიძლება უპრეცედენტოდ დაბალი აღმოჩნდეს, ხოლო ამა თუ იმ სადეპუტატო მანდატის ბედი რამდენიმე ათეულმა ხმამ გადაწყვიტოს.

## საკონსტიტუციო უმრავლესობის პრობლემა

მეორე ტურის წინ „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდისტული საშუალებები აქტიურად ამკვიდრებენ აზრს, რომ ახალ პარლამენტში „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის, რადგან განადგურდება უკანასკნელი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა დიქტატორული რეჟიმის ფორმირებას. ამ თემას ავითარებს ლიბერალური პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენელთა ნაწილიც, თუმცა ეს არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მათი პარტიების ოფიციალური მოწოდება მხარდამჭერების მიმართ მეორე ტურში ხმა ხელისუფლების ოპონენტებს მისცენ (მათი უმრავლესობა „ნაცმოძრაობას“ წარმოადგენს).

17ოქტომბერს, საღამოს, მოქალაქეთა ჯგუფმა, რომელსაც ზოგიერთმა მედიასაშუალებამ „სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი“ უწოდა, გაავრცელა მიმართვა და მოუწოდა „პროდასავლურ პარტიებს“, რომლებსაც ლეიბორისტული პარტიაც მიაკუთვნეს (რაც ადრე არ მომხდარა), მხარი ოპოზიციის კანდიდატებს დაუჭირონ. ამგვარად, ისინი „ნაცმოძრაობას“ განიხილავენ, როგორც სავსებით ლეგიტიმურ ოპოზიციურ ძალას, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის თანმიმდევრული ოპონენტებისთვის მიუღებელია. ნაკლებად სავარაუდოა, ამ განცხადებას დიდი რეზონანსი ჰქონდეს, მაგრამ ის საკმაოდ სიმპტომატურია, რადგან, ხელმომწერთა სიაში ცნობილი „ლატენტური ნაციონალების“ გარდა, არიან ისეთი ადამიანებიც, რომელნიც 2012-ში მხარს ხელისუფლების შეცვლას უჭერდნენ, მომდევნო წლებში კი რესპუბლიკური პარტიისა და „თავისუფალი დემოკრატების“ იდეებს ხშირად იზიარებდნენ.

**რესპუბლიკელებისა და «თავისუფალი დემოკრატების» კრახი არჩევნებში მიუთითებს იმაზე, რომ ორივე პარტიის ხელმძღვანელები ბოლო წლების განმავლობაში ილუზიებში ცხოვრობდნენ**

ალბათ, ყველასთვის ცხადია, რომ არ არსებობს მიზეზი, რომლის გამო საღად მოაზროვნე ადამიანმა შეიძლება ხმა „ნაცმოძრაობას“ მისცეს და, შესაბამისად, სააკაშვილის რეჟიმის უკლებრივ ყველა დანაშაულის თანამონაწილე გახდეს. მაგრამ „ქართული ოცნების“ ყოფილი კოალიციური პარტნიორები, პოლიტიკოსები ორპროცენტიანი რეიტინგით, რომელნიც ივანიშვილმა 2012-ში საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფით პოლიტიკური ოლიმპოს მწვერვალზე აიყვანა, ახლა, როგორც ჩანს, ცდილობენ, შური იძიონ იმისთვის, რომ მან 2016-შიც იგივე არ გააკეთა; ამან „ნაცმოძრაობის“ ირიბ, ან სულაც, პირდაპირ მხარდაჭერამდე მიიყვანა, რაც რამდენიმე თვის წინათ წარმოუდგენელი იყო.

მართალია, საქართველოს უახლესი ისტორია ცხადყოფს, რომ პარტიები, რომლებიც ყველა ბერკეტს ეუფლებიან, ცუდად ამთავრებენ, მაგრამ, ალბათ, ეჭვგარეშეა, რომ საზოგადოებამ თავად უნდა გააკონტროლოს ხელისუფლება და არ არსებობს მიზეზი, რომლის გამო შეიძლება ეს მისია სააკაშვილის რეჟიმის ყოფილ მაღალჩინოსნებს გადასცეს.

## სად წავლენ ალასანიას თანაგუნდელები?

არჩევნების წინ იმთავითვე ცხადი იყო, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ, მაგრამ პარტიის ესოდენ სწრაფი დაშლა საზოგადოებისთვის ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა. ზოგმა ამაში იმ 80 ათასზე მეტი ამომრჩევლის მიმართ გამოვლენილი უპატივცემულობა დაინახა, რომელმაც მხარი ალასანიას გუნდს დაუჭირა, მაგრამ რაც მოხდა — მოხდა, დემოკრატები დღეს სრულიად თავისუფალნი არიან. მათი ნაწილი, სავარაუდოდ, „ქართულ ოცნებასთან“ ითანამშრომლებს და აღმასრულებელ სტრუქტურებში მაღალ პოსტებს მიიღებს, უმრავლესობა კი პრეზიდენტი **მარგველაშვილის** სიახლოვეს დაბანაკდება და შეუერთდება იმ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც ის, დიდი ალბათობით, მომავალში შექმნის.

**რაც შეეხება თვითონ ირაკლი ალასანიას, მისი გადაწყვეტილების უკან, ემოციების გარდა, ალბათ, რაციონალური გათვლაც იდგა — ხელშესახებ პერსპექტივაში მას წარმატების შანსი არ აქვს და, შესაძლოა, ამიტომ ჩათვალა, რომ პაუზის აღება საუკეთესო გამოსავალია**

ამ 80 ათასი ამომრჩევლის ნაწილი მომავალში შეიძლება „ნაცმოძრაობამ“ (ცხადია, თუ წონასწორობას შეინარჩუნებს და პოსტსაარჩევნო კრიზისს დაძლევს) გადაიბიროს, რომელიც დღეს აქტიურად ცდილობს, დაამკვიდროს მოსაზრება, რომ „პროდასავლელებს“ სხვა გზა არ აქვთ, გარდა იმისა, რომ მხარი სააკაშვილს დაუჭირონ. ამიტომ ივანიშვილისთვის სასურველია, ამ ნიშაში სხვა შედარებით ძლიერი პროდასავლური პარტია გაჩნდეს, რომელიც ალასანიას ყოფილი მხარდამჭერების სიმპათიას დაიმსახურებს. რესპუბლიკელები ამ მისიას ვერ შეასრულებენ, მათი ზოგიერთი იდეა ყველა ,პროდასავლელისთვის როდია მისაღები, თანაც, როგორც ზემოთ ითქვა, ქართველ ამომრჩევლებს „ლუზერი“ პარტიები არ უყვართ. მარგველაშვილის ჰიპოთეზური პარტია ამ მხრივ შეიძლება გაცილებით წარმატებული აღმოჩნდეს და მნიშვნელოვან წვლილს ამაში, ალბათ, „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი ლიდერები შეიტანენ, რომლებმაც ამ დღეებში „სათადარიგოთა სკამზე“ გადაინაცვლეს. რაც შეეხება თვითონ **ირაკლი ალასანიას**, მისი გადაწყვეტილების უკან, ემოციების გარდა, ალბათ, რაციონალური გათვლაც იდგა — ხელშესახებ პერსპექტივაში მას წარმატების შანსი არ აქვს და, შესაძლოა, ამიტომ ჩათვალა, რომ პაუზის აღება საუკეთესო გამოსავალია.

რესპულიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ კრახი არჩევნებში მიუთითებს იმაზე, რომ ორივე პარტიის ხელმძღვანელები ბოლო წლების განმავლობაში ილუზიებში ცხოვრობდნენ. ამას ყველაზე კარგად ადასტურებს ის ფაქტი, რომ მათ არა მხოლოდ არ შექმნეს საარჩევნო ბლოკი, არამედ ამის თაობაზე სერიოზული კონსულტაციებიც კი არ გაუმართავთ — არც ერთმანეთთან, არც სხვა პარტიებთან. ამ ორი პარტიის პროდასავლური ლიბერალური ელექტორატის განაწილების პროცესი სხვა პარტიების მიერ შეიძლება მემკვიდრეობის გაყოფას შევადაროთ და ის, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში, არჩევნების მეორე ტურის დასრულებისთანავე, დაიწყება.

**ლუკა ნემსაძე**

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე ადგილი აიღო და ეს ბევრ კითხვას აჩენს, რადგან გამოდის, რომ ბრალდებებმა, რომლებიც მათ მიმართ ისმოდა, ვგულისხმობ ჩანაწერებს, ფარულ ვიდეოებს, ხაინდრავას ფილმს და ა. შ., მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ იქონია ქართველი ამომრჩევლის განწყობაზე, საზოგადოებას ან არ სჯერა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავე ძალაა, რაც უცნაურია, ან თვითონ ხალხშია პრობლემა, რადგან მიიღო ასეთი პარტია.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სოსო ცინცაძე: საჭიროა აბსოლუტურად ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც სუფთა პოლიტიკური წარსული აქვს

**2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველი შედეგები ვიხილეთ, მაგრამ საინტერესოა, სამართლიანად თუ წარიმართა საარჩევნო პროცესი, არსებობს თუ არა ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთმანეთს გაურიგდნენ, რათა ხმების უმრავლესობა მიეღოთ, და როგორ პარლამენტს უნდა ელოდოს ქართველი საზოგადოება — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრა ექსპერტი და პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე ადგილი დაიკავა, როგორ ფიქრობთ, ის ცხრაწლიანი „გარჯა“ საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამომრჩეველს გაეთვითცნობიერებინა მათი ავკარგიანობა?**

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე ადგილი აიღო და ეს ბევრ კითხვას აჩენს, რადგან გამოდის, რომ ბრალდებებმა, რომლებიც მათ მიმართ ისმოდა, ვგულისხმობ ჩანაწერებს, ფარულ ვიდეოებს, ხაინდრავას ფილმს და ა.შ., მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ იქონია ქართველი ამომრჩევლის განწყობაზე, საზოგადოებას ან არ სჯერა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავე ძალაა, რაც უცნაურია, ან თვითონ ხალხშია პრობლემა, რადგან მიიღო ასეთი პარტია. შედეგი, რომელიც ამ პოლიტიკურმა ძალამ არჩევნებზე მოიპოვა, ნამდვილად მაღალი მაჩვენებელია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ოთხი წლის განმავლობაში მის მიმართ უამრავი ბრალდება ისმოდა.

**— თუკი „ქართული ოცნება“ სამომავლოდ ვერ შეძლებს სახელმწიფოს სწორად მართვასა და დაკისრებული მისიის შესრულებას, „ნაციონალურ მოძრაობას“ მიეცემა ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი?**

— არა მგონია, „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლების სათავეში დაბრუნდეს, **საჭიროა აბსოლუტურად ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც სუფთა პოლიტიკური წარსული ექნება. ეს ოთხი წელი „ოცნებისათვის“ ძალზე რთული იქნება, გაცილებით რთული, ვიდრე გასული ოთხი წელიწადი იყო, ვინაიდან, რაც უფრო იზრდება დისტანცია „ნაციონალური მოძრაობის“ მართველობის პერიოდთან, მით მეტად ფერმკრთალდება ამ პარტიის დანაშაულის ხარისხი, „ოცნება“ ხალხს ჰპირდებოდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ბორკილებისგან გაათავისუფლებდა, ხალხი შეეგუა ამ თავისუფლებას. მორჩა, ეს აღარ იმუშავებს!**

სიმართლე გითხრათ, დაპირებების რესურსსაც ვერ ვხედავ — არ მუშაობს ქარხნები და ფაბრიკები, მრეწველობა გაჩერებულია, უმუშევრობა იზრდება, საშინელი ნეპოტიზმია. ჩვენ მალე ვნახავთ, როგორ დაერევიან გათავისუფლებულ ადგილებს ახალარჩეული პარლამენტის წევრების შვილები, ძმები, საყვარლები, მამიდაშვილები, მეზობლები, ამიტომ ეს რთული პერიოდი იქნება. პოლიტიკოსები იტყვიან, ცუდი მემკვიდრეობა მივიღეთო, რაც ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტია, რადგან მათ შეეძლოთ, შეექმნათ კარგი მემკვიდრეობა.

## «ჩვენ მალე ვნახავთ, როგორ დაერევიან გათავისუფლებულ ადგილებს ახალარჩეული პარლამენტის წევრების შვილები, ძმები, საყვარლები, მამიდაშვილები, მეზობლები»

ესაუბრა **ეკა ზარნაძე**




# არჩევნების მეორე ტური 30 ოქტომბერს გაიმართება

**8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების მეორე ტურები 50 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 30 ოქტომბერს გაიმართება.**

**„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების მიზნით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განსაზღვრა მეორე ტურებისა და განმეორებითი კენჭისყრის შესაძლო თარიღები. რაც შეეხება განმეორებით კენჭისყრას, 22 ოქტომბერს ჩატარდება. ცესკო სამართლებრივ აქტებს გამოსცემს, შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ“,** — აღნიშნულია ცესკოს განცხადებაში.



# გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე ერთი პირი დააკავეს

**„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის — გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე შსს-მ 1976 წელს დაბადებული ბ.ჩ. დააკავა. კიდევ ერთ პირს, 1974 წელს დაბადებულ დ.ხ.-ს, ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.**

გივი თარგამაძე მისი მანქანის აფეთქების საქმის გამოძიებას უნდობლობას უცხადებს. მისი თქმით, ის ინფორმაცია, რომელიც შსს-მ გაავრცელა, არაფრისმომცემია და საქმის გახსნასთან ახლოსაც კი არ დგას. დეპუტატის თქმით, ის არც დაკავებულს და არც ქვეყნიდან წასულ ბრალდებულს არ იცნობს. **მისივე განცხადებით, არჩევნების შემდეგ საქმის გამოძიებამ ინტერესი დაკარგა, ვინაიდან, როგორც თარგამაძემ აღნიშნა, ყველა მოქმედება დაკავშირებული იყო წინასაარჩევნო პერიოდთან.** დეპუტატის ამბობს, რომ საქმის გამოძიება ადეკვატური მუხლით არ მიმდინარეობს, რაც, შესაბამისად, დღის წესრიგში აყენებს გამოძიებისადმი უნდობლობის საკითხს.

# «პროგრამით «აწარმოე საქართველოში» 10 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა»



**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ბოჭორიშვილმა შპს „შნოს“ საამქრო დაათვალიერა, რომელშიც, ტრადიციული ხის ნაწარმის გარდა, თანამედროვე დაზგა-დანადგარებზე ლითონის ნაკეთობებსაც ამზადებენ.**

კომპანიის დამფუძნებელისა და დირექტორის — **გივი ნიორაძის** განცხადებით, საწარმოს გაფართოებისას დამატებით 8 სამუშაო ადგილი შეიქმნა, ხოლო კომპანიაში ჯამურად 42 ადამიანია დასაქმებული. ქეთევან ბოჭორიშვილის განცხადებით, სამთავრობო პროგრამაში მონაწილეობამ საწარმოს წარმადობა და ასორტიმენტი გაზარდა, ასევე შექმნა ახალი სამუშაო ადგილები. მისი თქმით, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში 205 საწარმოს მხარდაჭერა მოხდა, შეიქმნა 10 000-ზე მეტი პირდაპირი სამუშაო ადგილი და 440 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა.



# მამუკა გორგოძე მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს

**საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ტულონის“ მორაგბე, მამუკა გორგოძე, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.**

ბრიტანულმა გამოცემებმა მამუკა, ასევე, იმ გუნდის კაპიტნად დააყენეს, რომელიც ახალ ზელანდიას მოუგებდა. „მამუკა იმ უიშვიათესი მორაგბეების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც არანაირი შიში არ აქვთ. და დიახ, სწორედ ასეთი ადამიანები შეძლებენ ზელანდიის ნაკრების დამარცხებას“, — წერს The Guardia. გორგოძე მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მიერ ჩატარებულ ყველა შეხვედრაში საუკეთესოდ დაასახელეს და მათ შორის, ახალი ზელანდიის წინააღმდეგაც.

# ჩვენ უკვე უკრაინის ტერიტორია გავხდით?!

**ევროსაბჭოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წარმომადგენელი ეკა ბესელია კიდევ ერთხელ განმარტავს, თუ რატომ არ მიიღო ქართულმა დელეგაციამ მონაწილეობა ასამბლეის მიერ უკრაინის შესახებ შემუშავებულ რეზოლუციაში.**

მისი შეფასებით, საკითხის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი სრული დემაგოგიაა. ეკა ბესელიას განცხადებით, „ეს არ იყო რეზოლუცია საქართველოს შესახებ. ეს იყო ტექსტი უკრაინასთან დაკავშირებით. რეზოლუცია ეხება უკრაინას და არა საქართველოს — უკრაინის ტერიტორიაზე აგრესიასა და ადამიანის უფლებების დარღვევას, ეს არ არის რეზოლუცია საქართველოზე, უკრაინის ტერიტორიაზეა და ჩვენ უკვე უკრაინის ტერიტორია გავხდით?! თუ საქართველო უკრაინის ტერიტორია გახდა, მაშინ მითხარით! სახელწოდებას ხომ უნდა მივაქციოთ ყურადღება“.





# ამერიკელი კონგრესმენი 8 ოქტომბრის არჩევნებს დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებად აფასებს

**ამერიკელი კონგრესმენი მარიო დიაზ ბალარტი (ფლორიდა, რესპუბლიკური პარტია) საქართველოს 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს გამოეხმაურა.**

კონგრესმენმა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებაში საქართველოს აჩევნების წარმატებით ჩატარება მიულოცა. კონგრესმენის განცხადებით, კიდევ ერთი სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარება ასახავს ქართველი ხალხის სურვილს დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერებისა და განმტკიცებისთვის.

# საქართველოს სამხედრო ძალებში მოსამსახურეთა რაოდენობა 37 ათასი იქნება



**პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ შეიარაღებული ძალების რაოდენობის შესახებ ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგინა. 2017 წლისთვის საქართველოს სამხედრო ძალებში მოსამსახურეთა რაოდენობა 37 000 იქნება.** შეიარაღებული ძალების რაოდენობას საქართველოს პარლამენტი დაამტკიცებს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავისუფლებაზე, მშვიდობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ ძალებს წამითაც არ უნდა დაავიწყდეთ, რომ აუცილებელია მოსახლეობისთვის თითოეული ნაბიჯის არსისა და მნიშვნელობის ახსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრი ამომრჩეველი შეიძლება უპასუხისმგებლო დემაგოგების გავლენის ქვეშ მოექცეს.**

# კოლუმბიური გაკვეთილები საქართველოსთვის

**კოლუმბიაში კრიზისული სიტუაციაა — 26 სექტემბერს ქვეყანა ხელისუფლებასა და პარტიზანებს შორის სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებასა და 52-წლიანი სამოქალაქო ომის დასრულებას ზეიმობდა, 2 ოქტომბერს გამართულ რეფერენდუმზე კი ამ სამშვიდობო შეთანხმების მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს. განახლდება თუ არა ომი? – ექსპერტების უმრავლესობას ამ კითხვაზე მკაფიო პასუხის გაცემა უჭირს.**



კოლუმბიის პრეზიდენტი ხუან მანუელ სანტოსი

## ლა ვიოლენსია

დაპირისპირება ხელისუფლებასა და კოლუმბიის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებს (შემდგომ „ფარკ“) შორის 1964 წელს დაიწყო, მაგრამ ამ კონფლიქტს წინ უძღოდა 1948-58 წლების სამოქალაქო ომი, რომელშიც ერთმანეთს ლიბერალები და კონსერვატორები დაუპირისპირდნენ. კოლუმბიელები მას „ლა ვიოლენსიას“ (ანუ „ძალადობას“ უწოდებენ), მასში 200 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. მსგავსი დაპირისპირება იყო ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებშიც, სადაც ორპარტიული მოდელის ჩამოყალიბება, უფრო ზუსტად კი, აშშ-დან „პორტირება“ მოხდა.

ორპარტიულობის დამკვიდრებას განსაკუთრებული წინაპირობები სჭირდება, ხოლო მისი ხელოვნური დანერგვა განუვითარებელი დემოკრატიის პირობებში სამოქალაქო დაპირისპირების მაღალ საფრთხეს უკავშირდება და, ალბათ, ამაში მდგომარეობს პირველი „ლათინოამერიკული გაკვეთილი“ მათთვის, ვისაც საქართველოში ორპარტიული მოდელის სურვილი არ ასვენებს. მაშინ, 1948-ში, როდესაც პოლარიზაციამ და ურთიერთგაუტანლობამ პიკს მიაღწია, დეტონატორის როლი პოპულარული პოლიტიკოსის მკვლელობამ შეასრულა. კოლუმბიელებმა დღემდე ვერ დაადგინეს, ვინ იდგა ამის უკან — პოლიტიკური ოპონენტები თუ, საქართველოში რომ იტყვიან, „მესამე ძალა“.

## კომუნისტები ჯუნგლებში

„ლა ვიოლენსია“ „ფრედ დასრულდა“, ლიბერალები და კონსერვატორები დაზავდნენ, „ეროვნულ ფრონტში“ გაერთიანდნენ და ქვეყნის ერთობლივი მართვა დაიწყეს. მემარცხენეებისთვის, რომელთა შორის წამყვან როლს კომუნისტები ასრულებდნენ, ეს მიუღებელი აღმოჩნდა. მათ არ განუიარაღებიათ თავიანთი რაზმები და რიგ რაიონებზე კონტროლი შეინარჩუნეს. 1964 წელს ხელისუფლებამ მათი ნეიტრალიზება სცადა. ასე დაიწყო 52-წლიანი კონფლიქტი, რომელსაც 200 ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. მათი უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქეები იყვნენ.

კოლუმბიის კომპარტია და „ფარკ“-ი ფორმალურად ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არიან და რიგ საკითხებზე განსხვავებული პოზიცია აქვთ. მაგალითად, კომუნისტები ყოველთვის საჯაროდ გმობდნენ პარტიზანების კავშირს ნარკოკარტელებთან, მაგრამ ყველა სტრატეგიულ საკითხში, რომლებიც მთავრობასთან დაპირისპირებას ეხება, ისინი კონსენსუსის საფუძველზე მოქმედებენ. კოორდინაციის რეჟიმში მათთან იმყოფება მეამბოხეთა კიდევ ერთი დაჯგუფება — „ეროვნული გათავისუფლების არმია“ („ელნ“) და სხვა შედარებით მცირე რაზმები. მათ უპირისპირდება არა მხოლოდ არმია და პოლიცია, არამედ ე.წ. პარამილიტარეს-ულტრამემარჯვენე დაჯგუფებები, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან, აგრეთვე, ტერიტორიული მილიციები და ა.შ. ამ ფონზე „საკუთარ ომს“ ნაციონალისტები, ნარკოკარტელები და ჩვეულებრივი ბანდიტები აწარმოებენ. ყოველივე ამის უკან კი აშშ-ისა და სსრკ-ის გლობალური დაპირისპირება იდგა, ორივე მხარეს თავისი „სპონსორი“ ჰყავდა. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ კი პარტიზანებს ახალი პარტნიორი გამოუჩნდათ ვენესუელის პრეზიდენტ **უგო ჩავესის** სახით.

პარტიზანები იყენებდნენ სოციალური სამართლიანობის რიტორიკას და ამით ღარიბესი ფენების სიმპათია დაიმსახურეს. გასული საუკუნის 80-იანების ბოლოსა და 90-იანის პირველ ნახევარში მათი შემოსავლები ადამიანთა გატაცებისა და ნარკოვაჭრობისგან მკვეთრად გაიზარდა, გაფართოვდა მათი კონტროლის ზონა, რეალური საფრთხე კოლუმბიის დედაქალაქსაც შეექმნა, მაგრამ შემდეგ მოხდა გარდატეხა.

## ნულოვანი ტოლერანტობა

2002 წელს კოლუმბიის პრეზიდენტად **ალვარო ურიბე** აირჩიეს. ის წლების განმავლობაში ლიბერალური პარტიის წევრი გახლდათ, მაგრამ, ვინაიდან, ისევე როგორც დღევანდელ საქართველოში, კოლუმბიაში ნდობა წამყვანი პარტიების მიმართ მკვეთრად დაეცა, მისი რიგები დატოვა და ახალი მოძრაობა ჩამოაყალიბა. ურიბემ დაიწყო კარიერა, როგორც სახელმწიფო მოხელემ, 1982 წელს კი ქალაქ მედელინის, „ნარკომოვაჭრეების დედაქალაქის“, მერად აირჩიეს. ახალმა მერმა განახორციელა ბინათმშენებლობის პროგრამა ღარიბი ფენების წარმომადგენელთათვის და, თბილისის მერის მილიონი ვირტუალური ხისგან განსხვავებით, ათასობით რეალური ხე დარგო. ურიბეს ოპონენტები აღნიშნავენ, რომ მისი პროგრამების წარმატება ნარკომოვაჭრეებთან, მათ შორის, **პაბლო ესკობართან,** მჭიდრო კორუფციულ კავშირს ეფუძნებოდა. 1982-ში „ფარკ“-ის “ბოევიკებმა” ურიბეს მამა მოკლეს და ამის შემდეგ მათი შეურიგებელი მტერი გახდა. მან 1995-ში, ერთ-ერთი დეპარტამენტის გუბერნატორის პოსტზე ყოფნისას, განახორციელა ადგილობრივი მილიციების შექმნის პროგრამა, რომლის წყალობით მკვლელობებისა და ადამიანთა გატაცების შემთხვევებმა მკვეთრად იკლო.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ურიბემ, აშშ-ის უპრეცედენტო დახმარების პირობებში, ძალოვანი სტრუქტურების რეფორმირება შეძლო და პარტიზანების წინააღმდეგ მასშტაბური შეტევა დაიწყო. ხისტი მოქმედების გარდა, მისი სტრატეგია შეიცავდა ორ მნიშვნელოვან პროგრამას — საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა მათთვის, ვინც იარაღის დაყრა გადაწყვიტა (უნდა აღინიშნოს, რომ მემარჯვენე „ბოევიკების“ მიმართ ის გაცილებით ლმობიერი გახლდათ, ვიდრე მემარცხენეების) და იმ მეურნეობების სუბსიდირება, რომლებმაც, კოკას ნაცვლად, სხვა პროდუქციის წარმოება დაიწყეს. ურიბეს ძალოვანებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. პარტიზანებმა ზედიზედ რამდენიმე მძიმე მარცხი განიცადეს, მაგრამ საბოლოოდ შეცვლილი სიტუაციის მიმართ ადაპტირება მოახერხეს და ბევრი კოლუმბიელი მივიდა დასკვნამდე, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა ძალისმიერი გზით შეუძლებელია.

## მშვიდობის-მყოფელი სანტოსი

მეორე საპრეზიდენტო ვადის მიწურულს ურიბემ ხელისუფლებაში კიდევ ოთხი წლით დარჩენა სცადა (ამას რეფერენდუმის საფუძველზე კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა სჭირდებოდა), მაგრამ გზა საკონსტიტუციო სასამართლომ გადაუღობა. პრეზიდენტად 2010-ში **ხუან მანუელ სანტოსი** აირჩიეს, რომელიც ურიბეს მთავრობაში ჯერ საგარეო ვაჭრობის, შემდეგ ფინანსების, ბოლოს კი, ანტიპარტიზანული ოპერაციების ყველაზე ცხელ პერიოდში თავდაცვის მინისტრი გახლდათ. არჩევის შემდეგ სანტოსი გარკვეულ ხანს მოქმედებდა ისევე, როგორც მისი წინამორბედი, თუმცა 2012-დან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე დაიწყო ზრუნვა. ბევრი კომენტატორი აღნიშნავს, რომ ამის უკან **ობამას** ადმინისტრაცია იდგა. მათი აზრით, ვაშინგტონში დაინახეს, რომ ძველმა ტაქტიკამ თავი ამოწურა და საჭიროა დაზავება, სანამ პარტიზანები დასუსტებულები არიან. ამასთანავე, ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ამერიკელებს აინტერესებთ იმ რაიონების ეკონომიკური ათვისება, რომლებსაც დღეს „ფარკ-“ი აკონტროლებს. სავარაუდოდ, ყოველივე ამან, აგრეთვე, კოლუმბიელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადაღლილობამ ომისგან სანტოსს სამშვიდობო ინიციატივებისკენ უბიძგა.

შეიარაღებულ მოქმედებებზე უარის თქმის სანაცვლოდ, პარტიზანებს უნდა მიეღოთ წარმომადგენლობა პარლამენტში, ხელშეუხებლობის გარანტიები და ფინანსური დახმარება. ამ შეთანხმებისთვის პრეზიდენტ სანტოსს ახლახან მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიანიჭეს. პროცესის წარმატებით დასრულებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი რჩებოდა — რეფერენდუმი, რომელზეც მოსახლეობას მხარი სამშვიდობო შეთანხმების რატიფიკაციისთვის უნდა დაეჭირა, მაგრამ 2 ოქტომბერს სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა.

**დემოკრატია თავისთავად არ აზღვევს მოქალაქეებს არასწორი არჩევანის გაკეთებისგან. ტვინის აქტიურმა «გამორეცხვამ» მათ შეიძლება ფატალური გადაწყვეტილებებისკენ უბიძგოს — აარჩევინოს ნაცისტები, როგორც ეს 1933-ში გერმანიაში მოხდა, ხმა მიაცემინოს კოლუმბიაში სისხლისღვრის გაგრძელებისთვის ან ბიულეტენში «ნაციონალური მოძრაობა» შემოახაზვინოს. ამ გარემოებამ, ცხადია, არ უნდა გვიბიძგოს იმ იდეისკენ, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში სააკაშვილის მომხრეები ავითარებენ: «ეს ხალხი დემოკრატიისთვის მზად არ არის» (ამით საკუთარ დიქტატურას ამართლებდნენ)**

## კოლუმბიამ აირჩია ომი

რეფერენდუმზე ძალიან მცირე უპირატესობით შეთანხმების მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს. მნიშვნელოვანი წვლილი ამაში ყოფილმა პრეზიდენტმა ურიბემ შეიტანა. მასმედიამ, რომელსაც მისი თანამოაზრეები აკონტროლებენ, შეთანხმების ტორპედირებაზე მიმართული უწყვეტი კამპანია გააჩაღა, მაშინ, როდესაც მთავრობის აგიტაცია საკმაოდ უსუსური იყო. სისხლისღვრის შეწყვეტას ხმა იმ რეგიონებმა მისცეს, რომლებშიც ამ წლების განმავლობაში ომი მძვინვარებდა, მაგრამ სხვა რეგიონების ამომრჩეველმა მხარი ძალისმიერი მოქმედების გაგრძელებას დაუჭირა.

სიტუაცია ჩიხში შევიდა. პარტიზანების ნაწილი უკვე განიარაღდა და ხელისუფლებას საკუთარი რაზმების წევრთა სიები გადასცა. დღეს ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ყოველივე, რაც მოხდა, ერთი დიდი კომბინაციის ნაწილი იყო, რომლის ფარგლებში თეთრი სახლი, სანტოსი და ურიბე ერთ საქმეს აკეთებდნენ და, უბრალოდ, სხვადასხვა როლი შეასრულეს. პრეზიდენტი სანტოსი აცნობიერებს, რომ მიღწეული შეთანხმების ჩაშლა გამორიცხავს რაიმე სახის სამშვიდობო შეთანხმებას როგორც „ფარკ“-თან, ისე სხვა დაჯგუფებებთან მომავალში და ეს კოლუმბიას მუდმივი ომის რეჟიმში ამყოფებს, მაგრამ, მეორე მხრივ, რეფერენდუმის შედეგი აიძულებს მთავრობას, იომოს. რეფერენდუმის გამართვამდე სანტოსი აცხადებდა, რომ არ აქვს „გეგმა ბ“ და მთავრობას ასეთ შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებების გაგრძელება მოუწევს. კოლუმბიაში გავრცელდა მოსაზრება, რომ ესკალაციის პროვოცირება მოხდება„პარამილიტარეს“ რაზმების ხელით, რომლებსაც მთავრობა ფორმალურად არ აკონტროლებს (პარტიზანებისთვის ეს ერთი ძალაა).

კოლუმბიაში შეიქმნა ძალიან საინტერესო სიტუაცია, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დემოკრატია თავისთავად არ აზღვევს მოქალაქეებს არასწორი არჩევანის გაკეთებისგან. ტვინის აქტიურმა „გამორეცხვამ“ მათ შეიძლება ფატალური გადაწყვეტილებებისკენ უბიძგოს – აარჩევინოს ნაცისტები, როგორც ეს 1933-ში გერმანიაში მოხდა, ხმა მიაცემინოს კოლუმბიაში სისხლისღვრის გაგრძელებისთვის ან ბიულეტენში „ნაციონალური მოძრაობა“ შემოახაზვინოს. ამ გარემოებამ, ცხადია, არ უნდა გვიბიძგოს იმ იდეისკენ, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში სააკაშვილის მომხრეები ავითარებენ: „ეს ხალხი დემოკრატიისთვის მზად არ არის“ (ამით საკუთარ დიქტატურას ამართლებდნენ). მაგრამ აშკარაა ისიც, რომ თავისუფლებაზე, მშვიდობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ ძალებს წამითაც არ უნდა დაავიწდეთ, რომ აუცილებელია მოსახლეობისთვის თითოეული ნაბიჯის არსის და მნიშვნელობის ახსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრი ამომრჩეველი შეიძლება უპასუხისმგებლო დემაგოგების გავლენის ქვეშ მოექცეს.

**ლუკა ნემსაძე**

**არჩევნები მხოლოდ საქართველოს მთავრობას როდი უბნევს გზა-კვალს. შეერთებულ შტატებში ვითარება საპრეზიდენტო კამპანიის კვალდაკვალ იძაბება. დონალდ ტრამპი ჰილარი კლინტონისგან ნარკოტესტის ჩაბარებას მოითხოვს და საკუთარი ოფისის დაწვაში მის მხარდამჭერებს ადანაშაულებს. მეტიც, ტრამპმა უკვე განაცხადა, რომ აშშ-ში არჩევნები ყალბდება.**

ნანა დევდარიანის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თათბირი გოაში და ნარკოტესტი კლინტონისათვის

**ბოლო ერთი თვის განმავლობაში თავის საპარლამენტო არჩევნებზე მზერამიპყრობილი საქართველო ყველაზე ნაკლებად რეგიონსა თუ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს აქცევდა ყურადღებას. სავარაუდოდ, მთავრობაც ამ მდგომარეობაში იყო, რადგან პრემიერმინისტრით დაწყებული, მუნიციპალიტეტების თანამშრომლებით დასრულებული, ყველანი, საარჩევნო პროცესში იყვნენ ჩართულნი. დროულად მიღებული საკანონმდებლო ცვლილების წყალობით, პრემიერი პრემიერად რჩება და, ამასთანავე, მმართველი ძალის საარჩევნო სიის პირველი ნომერიც გახლავთ. ამოცანა გვეკითხება: რას უფრო მეტ დროს უთმობდა იგი ამ პერიოდში — არჩევნებს თუ მთავრობის მუშაობას? ანალოგიური რამ ითქმის ვიცეპრემიერ კალაძეზეც, რომელიც ოპოზიციის ბრალდებებს უფრო პასუხობდა, ვიდრე ენერგეტიკული უსაფრთხოების გამოწვევებს (მათ „ვორდინგს“ დავესესხე).**




ამასობაში გაერომ ახალი გენერალური მდივანი აირჩია — 67 წლის პორტუგალიელი **ანტონიუ გუტერიში**. მხოლოდ ჩვენი მთავრობა რომ არ ვაკრიტიკოთ, გადავწვდეთ გუტერიშსაც, რომელიც ამ პოსტზე დანიშვნამდე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი იყო. მიგრანტთა კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდებშიც კი მისი წვლილი ამ პრობლემის მოგვარებაში არავის ახსოვს, მაგრამ ახლა მიიჩნევს, რომ ლტოლვილები სხვადასხვა ქვეყანამ უნდა გადაინაწილონ, რათა ლიბანი, თურქეთი და იორდანია მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდნენ.

ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვაქვს — თურქეთის ლტოლვილებისგან „გათავისუფლება“ ჩვენს ხარჯზე არ მოხდეს – საკუთარი დევნილებისთვის ვერ მოგვივლია! რას იზამს მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურზე ორიენტირებული ჩვენი მთავრობა ამ საკითხზე? ისევ გუტერიში თუ გვიშველის. მან განაცხადა, რომ ლტოლვილები არა მხოლოდ ევროპამ, არამედ ჩრდილოეთ ამერიკამ, ლათინურმა ამერიკამ და ავსტრალიამაც უნდა მიიღონ.

**აშშ-მა, სირიის კონფლიქტში ჩართულობის და ამის ჰუმანიტარული მიზნებით გამართლების მიუხედავად, სულ ათასი ლტოლვილი მიიღო და, სავარაუდოდ, გუტერიშის ინიციატივას ან წაუყრუებს, ან კიდევ ათას ლტოლვილს თუ გაუღებს კარს.** მით უფრო, რომ ახალმა გენმდივანმა გამჭვირვალედ მიანიშნა საერთაშორისო საზოგადოების მიერ 1970-იან წლებში ვიეტნამელი ლტოლვილების მხარდაჭერის შესახებ. ვინ გამოიწვია იმხანად ლტოლვილების ტალღა ვიეტნამიდან, საყოველთაოდ ცნობილია, თუმცა არა მხოლოდ მაშინ, არამედ ახლაც.

აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობა კვლავ დაიძაბა. ერთი მხრივ, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის დებატებში რუსეთის თემა გააქტიურდა; მეორე მხრივ, მოქმედი ადმინისტრაციისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თანამშრომლობა თვალში საცემია. **ამერიკული ტრენდი, თითქოს რუსეთის სამხედრო მოქმედებები სირიაში მშვიდობიან მოსახლეობას აზარალებს, ვერ მკვიდრდება, რადგან ამერიკელი სამხედროების მიერ „შეცდომით“ დაბომბილი მშვიდობიანი ობიექტების რაოდენობა დიდია. ამის დამალვა ვიეტნამის ომის დროსაც კი ვერ ხერხდებოდა, ახლა კი, ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ეპოქაში, სრულიად შეუძლებელია.**

ცვლილებებია ევროპულ „ფრონტზეც“; ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამდე ორიოდე დღით ადრე გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას დაუჭერს მხარს, თუმცა მოგვიანებით მისი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა **შტაინმაიერმა** ახალი სანქციების შემოღებაში აზრი ვერ დაინახა. **„ახალი ზომების გატარება რუსეთის წინააღმდეგ სირიის მოსახლეობას ვერაფერში დაეხმარება“**, — განაცხადა მან.

ევროპის ნომერმა პირველმა დიპლომატმა **ფედერიკა მოგერინიმ** კი სხდომის დაწყებამდე განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრებაზე მედია საუბრობს, მაგრამ ამ საკითხზე ინიციატივა ევროკავშირის წევრ არც ერთ სახელმწიფოს არ დაუსვამს.

კიდევ ერთი გაუგებრობა რუსეთის მიმართ საფრანგეთის პრეზიდენტ **ფრანსუა ოლანდის** მერყევ პოზიციაში გამოიკვეთა. ერთი წლით ადრე მოლაპარაკებულ ღონისძიებაზე რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ მან იქაურ შალვა რამიშვილთან ინტერვიუში ეჭვი გამოთქვა პუტინთან შეხვედრის მიზანშეწონილობაზე. ამის გამომწვევი კი იყო ის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა ვეტო დაადო საფრანგეთის წინადადებას ალეპოს ცაში ფრენების აკრძალვის შესახებ.

**ვისაც მეორე ტურში „ოცნების“ მიერ „გაპრავებული“ „ნაცმოძრაობისთვის“ მხარდაჭერა „ტექნიკური“ ხმის მიცემა ჰგონია, საკუთარი ბებია მოატყუოს ჭკუაში; სინამდვილეში ეს ოთხი წლით რეანიმაციაში მოფერიანებული დამნაშავე პარტიის ხელისუფლებაში ნაწილ-ნაწილ დაბრუნების მცდელობაა, რომელსაც, ჩვენებური მაძღარი „ენჯეოშნიკებისგან“ განსხვავებით, მშიერი და ნაწამები ხალხი არ დაუშვებს, ისევე, როგორც ძველი და ახალი ხელისუფლების გარიგებით — ძალაუფლების უზურპაციას**

მოკლედ, **წახვალ-წამოხვალ და ისევ გაეროსთან მიდიხარ.**

ოლანდს რაც შეეხება, ის ერთი წლის წინათ ეპატიჟებოდა პუტინს პარიზში, ხოლო ექვსი თვის წინათ, პარიზის ტერაქტების შემდეგ, მოსკოვში ჩააკითხა კოლეგას ტერორისტებთან ბრძოლაში მხარდაჭერის სათხოვნელად. პუტინმა მისი ბოლო განცხადების შემდეგ ვიზიტი გადადო, ხოლო ყველაფერი იმით დასრულდა, რომ პარიზში დაგეგმილი „ნორმანდიული ფორმატის“ შეხვედრა სასწრაფოდ ბერლინში გადაიტანეს.

ამასობაში ინდოეთის შტატ გოაში 15-16 ოქტომბერს ბრიქს-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა) სამიტი გაიმართა, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. გაფორმდა ხელშეკრულება ინდოეთისთვის სარაკეტო კომპლექს C-400-ის, სამხედრო ხომალდებისა და ვერტმფრენების მიწოდების, აგრეთვე, კლუჩევსკის ოქროს საბადოზე თანამშრომლობისა და ბრიქს-ის ერთობლივი ინსტიტუტების შექმნის შესახებ.

ინდური კომპანია SUN GOLD-ის პრესრელიზში ნათქვამია, რომ მემორანდუმი გაფორმდა SUN GOLD-ს, ჩინურ კომპანია China National Gold Group-ს, შორეული აღმოსავლეთის განვითარების რუსულ ფონდს, Trans AFRICA Kapital-სა და ბრაზილიელ ინვესტორ **ანტონიო მორაეს ნეტოს** შორის. საუბარია წელიწადში 12 მილიონი ტონა ოქროს მადნის გადამუშავებაზე.

სამიტის მიმდინარეობისას რუსეთის პრეზიდენტი ჩინეთის ლიდერ **სი ძინპინს** შეხვდა. მათი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა ტერორიზმთან ბრძოლისა და ცენტრალური აზიის საქმეებში გარეშე ძალების ჩარევის დაუშვებლობის შესახებ. ამასთანავე, სი ძინპინმა ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთისა და ჩინეთის მოქმედებათა კოორდინაცია.

აქაც **მთელი აზია მოვიარეთ და ისევ გაეროში ამოვყავით თავი!**

მსოფლიოში უდიდესმა საფინანსო-ეკონომიკურმა სააგენტო „ბლუმბერგმა“ იმავე დღეს განაცხადა, რომ რუსეთი და ჩინეთი აშშ-ის ალტერნატიული ძალის ცენტრს ქმნიან. „ბოლო თვეებში ამ ორ ქვეყანას შორის ძლიერდება თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში. რუსეთი და ჩინეთი დაუახლოვდნენ ერთმანეთს და პირველი ერთობლივი სამხედრო საზღვაო წვრთნები ჩაატარეს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, აგრეთვე, გადაკვეთის წერტილებს პოულობენ დიპლომატიურ ველზეც, მაგალითად, ერთობლივი ფრონტით გამოდიან აშშ-ის გეგმების წინააღმდეგ სამხრეთ კორეაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების საკითხში“.

პეკინში აღნიშნავენ, რომ რუსეთისა და ჩინეთის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა სირიისა და ავღანეთის საკითხებშიც. თანამშრომლობის გაღრმავება შეიმჩნევა ეკონომიკაშიც: რუსეთი ჩინეთისთვის ნავთობის მიმწოდებელი უმსხვილესი ქვეყანა გახდა. ჩინეთის საბაჟოს სტატისტიკით ბოლო წელიწადს ორმხრივი ბრუნვა 3,6%-ით გაიზარდა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ არჩევნები მხოლოდ საქართველოს მთავრობას როდი უბნევს გზა-კვალს. შეერთებულ შტატებში ვითარება საპრეზიდენტო კამპანიის კვალდაკვალ იძაბება. **დონალდ ტრამპი ჰილარი კლინტონისგან** ნარკოტესტის ჩაბარებას მოითხოვს და საკუთარი ოფისის დაწვაში მის მხარდამჭერებს ადანაშაულებს. მეტიც, ტრამპმა უკვე განაცხადა, რომ აშშ-ში არჩევნები ყალბდება (იქ უკვე დაწყებულია წინასწარი ხმის მიცემა).

რაკი სოციოლოგია ჩვენში ხშირად გამოიყენება საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის იარაღად, ამერიკულ სოციოლოგიასაც შევხედოთ. ერთ-ერთი ბოლო კვლევის თანახმად („ამერიკის ხმის“ მონაცემებით“), რესპონდენტთა 41% (ოჰ, ეს საკრალური 41!) სკეპტიკურად უყურებს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას და მიიჩნევს, რომ გაყალბება ტრამპის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. პარტიული ნიშნით ციფრები ასე გამოიყურება: ფალსიფიკაციის სჯერა რესპუბლიკელთა 73%-ს, ხოლო დემოკრატების — მხოლოდ 17%-ს.

**2004 წელს, ჰაიტიზე ამერიკელების მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, დამხობილი პრეზიდენტ ჟან-ბერტრან არისტიდის ადვოკატმა ასეთი კითხვა დასვა: „რატომ არასოდეს ხდება სახელმწიფო გადატრიალება ვაშინგტონში“? და თვითონვე უპასუხა: „იმიტომ რომ იქ არ არის აშშ-ის საელჩო“!**

ვაშინგტონში აშშ-ის საელჩო არ გახსნილა, მაგრამ „ვაშინგტონ პოსტი“ უკვე წერს, რომ პუტინმა გადაწყვიტა, შური იძიოს აშშ-ზე „ფერადი რევოლუციების“ გამო და იმავე სცენარს განახორციელებს ამერიკის ტერიტორიაზე. სტატიის თანახმად, ტრამპის განცხადებები იმის შესახებ, რომ კორუფცირებული ელიტა მას ხელისუფლებაში არ უშვებს, ამერიკულ საზოგადოებაში საპროტესტო განწყობებს აღვივებს.

ასეა თუ ისე, არჩევნების მიმართ უნდობლობა საქართველოშიც არის და ამერიკაშიც. სხვა საქმეა, მოხერხდება თუ არა ამ უნდობლობის გადაქცევა „რევოლუციად“. ამას მეორე ტური და მისი შედეგები გვაჩვენებს. **საააკაშვილისთვის „კოჭის გაგორება“ და „ნაცმოძრაობისთვის“ 27%-ის დაწერა „ქართულ ოცნებას“ ძვირი რომ დაუჯდება, ეს ამთავითვე ცხადია. ყოველ შემთხვევაში, „სამართლიან და დემოკრატიულ“ არჩევნებს კარგად ახასიათებს „ქართულ ოცნებაზე“ მომუშავე ერთი პიარტექნოლოგის ნიშანდობლივი „წამოცდენა“:**

„მე არ ვთვლი, რომ არჩევნებზე ცოტა ხალხი მივიდა. დასწრების პროცენტი, ჩვენთან არის ძალზე პირობითი, ვინაიდან დღემდე უცნობია, რამდენი ამომრჩეველი ცხოვრობს ფაქტობრივად საქართველოში. ჩემი სუბიექტური შეფასებით, საქართველოში მცხოვრებ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 1 მლნ 500 – 600 ათას ამომრჩეველს. ამ შემთხვევაში 1 მლნ 800 ათასზე მეტი ამომრჩევლის მისვლა საარჩევნო უბნებზე ვერანაირად ვერ ჩაითვლება დაბალ დასწრებად“.

**როგორია?**

**1 მილიონ 600 ათასი ამომრჩევლიდან 1 მილიონ 800 ათასი ამომრჩევლის მისვლა „დაბალ დასწრებად“ ვერ ჩაითვლება? იქნებ პირიქით?**

**არითმეტიკის არმცოდნეთათვის: გამოდის, რომ იმაზე ორასი ათასით მეტი ამომრჩეველი მისულა არჩევნებზე, ვიდრე რეალურად არსებობს!**

**ცნობისთვის: „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სწორედ 200 ათასით მეტი ხმა მიიღო, ვიდრე წინა არჩევნებზე!**

მაშ, ლუარსაბ თათქარიძისა არ იყოს, გაფრენილან, თორემ მანამდე ნაკლები იყო?

დასასრულ — ვისაც მეორე ტურში „ოცნების“ მიერ „გაპრავებული“ „ნაცმოძრაობისთვის“ მხარდაჭერა „ტექნიკური“ ხმის მიცემა ჰგონია, საკუთარი ბებია მოატყუოს ჭკუაში; სინამდვილეში ეს ოთხი წლით რეანიმაციაში მოფერიანებული დამნაშავე პარტიის ხელისუფლებაში ნაწილ-ნაწილ დაბრუნების მცდელობაა, რომელსაც, ჩვენებური მაძღარი „ენჯეოშნიკებისგან“ განსხვავებით, მშიერი და ნაწამები ხალხი არ დაუშვებს, ისევე, როგორც ძველი და ახალი ხელისუფლების გარიგებით — ძალაუფლების უზურპაციას.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქართველმა ხალხმა დაკარგა სახელმწიფოებრივი აზროვნება, დაკარგა განცდა, რომ მისი ხმა საჭიროა და რომ პასუხისმგებლობის მქონეა ყველა, რომ ქვეყნის წინაშე ვალი გვაქვს მოსახდელი. ჩვენ ერი არ ვართ, ბრბოდ ჩამოვყალიბდით, ერთიანობის განცდა დავკარგეთ. ერთნაირად არ გვტკივა, ერთი განცდა არ გვაქვს. აი, ამას მიაღწიეს ავადმყოფმა სააკაშვილმა და ამერიკამ ერთობლივად“.

# ელიზბარ ჯაველიძე: მივიღეთ ის საქართველო, რომელზეც ამერიკა ოცნებობდა

**2015 წლის 19 ოქტომბერს ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა კვლევა ჩაატარა, რომლის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში საქართველოს შესვლას გამოკითხულთა 31% ემხრობა, ხოლო რესპონდენტთა 46% მხარს არ უჭერს ამ იდეას. 22%-მა არ იცოდა, რა ეპასუხა, 1%-მა კი პასუხს თავი აარიდა.**
**2015 წლის შემდეგ ეს მონაცემები ბევრჯერ შეიცვალა. ქართველი პოლიტოლოგები ამბობდნენ, რომ ეს მონაცემიც კი არ იყო ზუსტი და ენ-დი-აიმ შეამცირა პროცენტი. 2016 წლის მარტში ჩატარებული კვლევის მიხედვით კი, 24%-მდე ჩამოვიდა ევრაზიულ კავშირში გაერთიანების მომხრეთა რაოდენობა, ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც ევრაზიულ კავშირთან ურთიერთობა ურჩევნიათ ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობას, 3 პროცენტიც არ არის. რა მოხდა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში? რეალურია შედეგი, რომელიც მივიღეთ? სად დაიკარგა ევრაზიულ კავშირთან ურთიერთობის მომხრეთა ხმები თუ, საერთოდ, არ მივიდნენ არჩევნებზე?**
**ამ შეკითხვებზე პასუხის მისაღებად აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს დავუკავშირდით.**



**«ქართველები, რომლებმაც ხმა «ნაცმოძრაობას» მისცეს, იმ ადამიანების შთამომავლები არიან, რომლებიც თავის დროზე შვილებს ყიდდნენ, დედას, სამშობლოს ყიდდნენ. ამომრჩეველთა 27%-მა სული გაყიდა, თითქმის ხუთასი ათასი ადამიანი უსამშობლო და მოღალატე აღმოჩნდა»**

**— ბატონო ელიზბარ, ელოდით თუ არა ამ საპარლამენტო არჩევნების ასეთ შედეგს, ფიქრობდით, რომ „ნაცმოძრაობა“ მეორე ძალად დარჩებოდა და პარლამენტში 27%-ით შევიდოდა?**

— ბარიერს რომ გადალახავდნენ მხოლოდ და მხოლოდ და მეტი შედეგი არ ექნებოდათ, ვიცოდი. თუმცა, წინასაარჩევნოდ მათ მოძრაობას თვალყურს რომ ვედევნებდი, ვფიქრობდი, უფრო მეტს მიაღწევენ-მეთქი, მაგრამ ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი, დიდი-დიდი ათი კაცით შესულიყვნენ.

ჩვენი უბედურება არის ის, რომ ქართველი ხალხი ტვინგამორეცხილი, გონგადაშლილი, არაადამიანური თვისებების მქონე აღმოჩნდა, ანუ უკვე დაიწყო ის პროცესი, რომლისაც ასე ძალიან მეშინოდა და რასაც ამერიკა წლების განმავლობაში ცდილობდა, ჩვენგან გამოეყვანა. ცხოველთან გაგვაიგივეს.

**ქართველები, რომლებმაც ხმა „ნაცმოძრაობას“ მისცეს, იმ ადამიანების შთამომავლები არიან, რომლებიც თავის დროზე შვილებს ყიდდნენ, დედას, სამშობლოს ყიდდნენ. ამომრჩეველთა 27%-მა სული გაყიდა, თითქმის ხუთასი ათასი ადამიანი უსამშობლო და მოღალატე აღმოჩნდა.**

ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხალხს იმედი გაუცრუა და ასეთი შედეგი იმიტომ მივიღეთო, მაგრამ ეს გამართლება არ არის. „ოცნებამ“ თუ იმედი გაგიცრუა, თუ უკმაყოფილო ხარ, მხარდაჭერა სხვას გამოუცხადე, მაგრამ არამც და არამც — მტარვალებს, საქართველოს გამაუპატიურებლებს, ქვეყნისთვის ღირსების ამყრელებს...

**— „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუებში ხშირად აღნიშნავდით, რომ საქართველოში არჩევნები არ ტარდება, არჩევნების შედეგები სადღაც სხვაგან იწერება და შემდეგ აქ ეს ყველაფერი ერთი-ერთზე აისახება...**

— დიახ, ამას სულ ვამბობ, რომ **საქართველოში არჩევნები არ ტარდება, შედეგი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, რადგან ქართველები დამოუკიდებლები არ ვართ. დიახ, შედეგზე ამერიკა ზრუნავს და, რასაც იტყვის, ის კეთდება. ჩვენ ხომ ქვეყანა არ გვაქვს, ჩვენ ამერიკის მონები ვართ, ჩვენ ხმის ამოღება არ შეგვიძლია.**

არავინ გაბედოს საბჭოთა კავშირის გინება, რადგან იმხანად გაცილებით მეტი თავისუფლება გვქონდა, ვიდრე დღეს გვაქვს. დღეს **მენაგვეს ვერ ვნიშნავთ ამერიკასთან შეუთანხმებლად და რა პარლამენტის არჩევაზეა საუბარი?!** საქმე ის არის, რომ პროტესტსაც ვერ გამოვთქვამთ იმის შიშით,ვაითუ, ჩვენი არეულობით ვინმემ ცუდად არ ისარგებლოს.

**— ბატონო ელიზბარ, არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე ამერიკულმა კვლევითმა ინტიტუტმა გამოაქვეყნა კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ამომრჩეველთა 31% ევრაზიულ კავშირში გაწევრების მომხრე იყო. სად წავიდა ის ამომრჩეველი და რატომ არ აისახა ეს შედეგი 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში?**

— **ქართველმა ხალხმა დაკარგა სახელმწიფოებრივი აზროვნება, დაკარგა განცდა, რომ მისი ხმა საჭიროა და რომ პასუხისმგებლობის მქონეა ყველა, რომ ქვეყნის წინაშე ვალი გვაქვს მოსახდელი. ჩვენ ერი არ ვართ, ბრბოდ ჩამოვყალიბდით, ერთიანობის განცდა დავკარგეთ. ერთნაირად არ გვტკივა, ერთი განცდა არ გვაქვს. აი, ამას მიაღწიეს ავადმყოფმა სააკაშვილმა და ამერიკამ ერთობლივად.**

სამწუხაროა, რომ ყოფილი პრეზიდენდის ცოლს საკანონმდებლო ორგანოს წევრობის ამბიცია აქვს. ამ ქვეყანაში საუბრობენ ადამიანები, რომლებიც, დიდი ხანია, ციხეში უნდა ისხდნენ, იმედი მაქვს, რომ მალე ვიხილავ სააკაშვილსა და მის დამქაშებს ციხეში, მის ცოლსაც, რომელიც აგენტად მოგვევლინა დიდი ხნის წინათ; ქალს, რომელიც ბედავს, დაგვემუქროს — თუ დიდი მოძრაობა და პროტესტი დაიწყება, მე მათ ვერ გავაჩერებო. ხალხი კი ვაძლევთ ამის თქმის საშუალებას.

აი, ასეთებად ვიქეცით ჩვენ, ყველა თავზე გვაზის. **ვაი, ჩვენს დღეს, მართლაც „ფურთხის ღირსია“ ეს საქართველო. მატლები გვასხედან თავზე. ურჩხულები გვემუქრებიან, გვლანძღავენ და გვაშინებენ.**

ის 32% პროცენტი, რომელმაც ევრაზიულ კავშირში გაწევრების სურვილი გამოთქვა თავის დროზე, ვფიქრობ, ან რაღაცა უკეთეს შეთავაზებას ელოდა პარტიებიდან, ან სამშობლო საკმარისად არ უყვარს, რადგან, როდესაც სათქმელსა და ხმას ვერავის აწვდი, სულ ცოტა, პროტესტის განცდა მაინც უნდა გაგიჩნდეს, უნდა დაიძახო, რომ შენც ამ ქვეყნის მოქალაქე ხარ და რაღაცა გეთქმის. არ შეიძლება შენ თვალწინ იქცეოდეს ქვეყანა და ეს არ გაწუხებდეს.

როგორც ჩანს, მივიღეთ ის საქართველო, რომელზეც ამერიკა ოცნებობდა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# არასამთავრობო სექტორი «ნაციონალურ მოძრაობას» დაუფარავად ლობირებს

**სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა განცხადებით, არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობის დამკვიდრების საფრთხე არსებობს. ამის თავიდან აცილების შანსი კი, მათი აზრით, არის ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიპოვოს პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა.**

სწორედ ამიტომ საგანგებო მიმართვის 45 ხელმომწერი პირი პროდასავლურ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდნენ, მოუწოდებს, არჩევნების მეორე ტურში მხარი ოპოზიციის კანდიდატებს დაუჭირონ. მიმართვის ხელმომწერთა განცხადებით, კონსტიტუციური უმრავლესობის ყოლა პარლამენტში, ფაქტობრივად, ერთპარტიულ საკანონმდებლო ორგანოს და, შესაბამისად, ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს.

**„საკონსტიტუციო უმრავლესობა შესაძლებლობას აძლევს მმართველ პარტიას, შეცვალოს კონსტიტუცია და დაარღვიოს სახელისუფლო შტოებს შორის ძალთა ბალანსი. პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან უკვე გაკეთდა მინიშნებები პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის გაუქმებისა და მისი უფლებამოსილების შეკვეცის შესახებ, რამაც, შესაძლოა, გზა გაუხსნას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით წარმოდგენილი პარტიის ერთპიროვნულ მმართველობას, გადაიყვანოს ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზიდან და დააკარგვინოს ის მონაპოვარი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ 2012 წელს ხელისუფლების არჩევნების გზით გადაბარების სახით მოიპოვა... ერთი პარტიის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობის თავმოყრა გზას უხსნის იმ რეალობას, რომელიც გვეგონა, რომ ჩვენმა ქვეყანამ განვითარების უკანასკნელი 25 წლის მანძილზე უკან მოიტოვა. ნუ დავბრუნდებით წარსულში!“** — ეს არის ამონარიდი სამოქალაქო საზოგადოების ნაწილის მიერ გავრცელებული მიმართვიდან.




პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი სამოქალაქო საზოგადოების მიმართვას არ ითვალისწინებს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ამ მიმართვას აფასებენ, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აგორებულ პიარკამპანიას, რომელიც ამავე პოლიტიკური ძალის „გადარჩენას“ ისახავს მიზნად. ოპოზიცია არ აპირებს, მოუწოდოს საზოგადოებას, რომ მეორე ტურში „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცენ ხმა. პირიქით, პოლიტიკურ პარტიებს აქვთ შეკითხვა არასამთავრობოების მიმართ — სად იყვნენ ისინი მაშინ, როცა „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავდა საპარლამენტო უმრავლესობა? პარტიები არც იმას ემხრობიან, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ერთ პოლიტიკურ ძალას ჰქონდეს. პარტია, რომელიც არ მიემხრო ზემოაღნიშნულ მიმართვას, არის „გირჩი“. მოწოდებას იმის შესახებ, რომ ამომრჩეველმა „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუჭიროს მხარი მეორე ტურში, ემიჯნებიან „ახალი მემარჯვენებიც“. „თავისუფალი დემოკრატები“ აღნიშნავენ, რომ მოქალაქეს აქვს სრული უფლება, მხარი დაუჭიროს ნებისმიერ პარტიას, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს, და სხვა პარტიებსაც მოუწოდებენ, პატივი სცენ უფლებას თავისუფალი არჩევანის შესახებ.

**იქ, სადაც გიორგი კვირიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, დავით ბაქრაძე და გიგა ბოკერია არიან, რომელ ეროვნულ და მართლმადიდებლურ ფასეულობებზე შეიძლება ლაპარაკი?! მათ დაუმატეთ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც რეფერენდუმი არ დანიშნა საქართველოს კონსტიტუციაში იმის ჩასაწერად, რომ ოჯახი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, და მიხვდებით, რა გველის უახლოესი 4 წლის განმავლობაში.**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვენისთანა ავადმყოფი განა არის სადმე ერი?

**გაყალბდა არჩევნები-არ გაყალბდა — ორივე მოსაზრებას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, მაგრამ ორივე შემთხვევაში დამარცხებული საქართველოა, რადგანაც არჩევნების შედეგები აშშ-ის დიდი ხნის ოცნების ასრულებას ნიშნავს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ აუხდინა ოკეანისგაღმელ პატრონებს — პოლიტიკური სისტემა, მსგავსად ამერიკისა, საქართველოშიც აუცილებლად ორპარტიული უნდა ყოფილიყო, თანაც პარლამენტის ე.წ. უმრავლესობაც („ქართული ოცნება“) და ე.წ. უმცირესობაც („ნაცმოძრაობა“) — უეჭველად პროდასავლურ-ნეოლიბერალური იდეოლოგიის (წაიკითხე — ანტიეროვნულ-ანტიმართლმადიდებლური).**



## ავადმყოფის გარდა, შეიძლებოდა, ვინმეს ხმა მიეცა ნაცხროვისთვის, რომელმაც 9 წლის განმავლობაში გენოციდი მოუწყო საკუთარ ხალხს და სული ამოჰხადა?!

გადახედეთ ნაცებ-ქოცების საარჩევნო სიებს და დარწმუნდებით, რომ არ ვაჭარბებ:

იქ, სადაც **გიორგი კვირიკაშვილი, თამარ ჩუგოშვილი, დავით ბაქრაძე და გიგა ბოკერია არიან,** რომელ ეროვნულ და მართლმადიდებლურ ფასეულობებზე შეიძლება ლაპარაკი?! მათ დაუმატეთ პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**, რომელმაც რეფერენდუმი არ დანიშნა საქართველოს კონსტიტუციაში იმის ჩასაწერად, რომ ოჯახი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, და მიხვდებით, რა გველის უახლოესი 4 წლის განმავლობაში.

„ქართული ოცნება“ როლში შეიჭრა და აშშ-ს დავალება გეგმის გადაჭარბებით „შემოესრულა“ — სინამდვილეში, ორპარტიული კი არა, ერთპარტიული პარლამენტი მივიღეთ!

დიახ, ერთპარტიული, რადგან ჯერ კიდევ გაგანია კოაბიტაციის პერიოდში ვწერდი, რომ ეს, ნაცებისა და ქოცების კოაბიტაცია კი არა, პოლიტიკურად ერთნაირსქესიანთა ქორწინებაა ნაცებისა და ქოცების შეწყვილებით-მეთქი და ეს პოლიტიკური „ბოიფრენდები“ 8 ოქტომბერს აშშ-ის ელჩის ხელისმომკიდეობით ოფიციალურად დაქორწინდნენ კიდეც.

გეგმა გადაჭარბებით შემოესრულა-მეთქი, იმიტომ ვწერ, რომ ე.წ. ლიბერალური არასაპარლამენტო ოპოზიციაც დაიბევეს ნაცებ-ქოცებმა.

იმ ფონზე, როცა თითქმის ყველა პარტია აპროტესტებდა (საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ — ეს სხვა საკითხია) არჩევნების შედეგებს, **გაიხსენეთ, პარლამენტს მიღმა დარჩენილთაგან პირველმა ვინ აღიარა ნაცებისა და ქოცების არჩევნებით ქორწინება სამართლიან და ლეგიტიმურ პროცესად... ვინ და ალასანიას „თავისუფალმა დემოკრატებმა“, რომლებიც დამარცხებულთაგან ყველაზე ახლოს იყვნენ 5 %-იან ბარიერთან, მაგრამ არც კი უფიქრიათ, ებრძოლათ საჭირო ხმების მოსაპოვებლად;** რესპუბლიკელმა **დავით უსუფაშვილმა**, რომლის პარტიამაც ჩვეული პროცენტ-ნახევარი მიიღო, და **პაატა ბურჭულაძის** ბლოკის წარმომადგენელმა „ახალმა მემარჯვენეებმა“ **მანანა ნაჭყებიას** პირით!

სამივე ეს სუბიექტი, იმთავითვე რომ მიჩნეულნი იყვნენ სააკაშვილის სატელიტებად, ხოლო „ახალი მემარჯვენეები“ 2009 წლის მარათონული საპროტესტო აქციების პერიოდში თავფეხიანად რომ იყიდა **მიშა სააკაშვილმა**, არახალია, ძველია!

აქედან გამომდინარე, მარტივი დასკვნა: აშშ-ის ელჩმა უბრძანა ხსენებულ პარტიებს, ეცნოთ არჩევნების შედეგები, რითაც, ერთი მხრივ, საზოგადოებას ეტყოდნენ — აი, „ავტორიტეტულმა“ დამარცხებულებმა თუ აღიარეს არჩევნების შედეგები სამართლიანად ე.ი. ასეც არისო, და, მეორე მხრივ, „პატრიოტთა ალიანსის“ მარგინალიზაციას შეეცადნენ. **მათ დავუმატოთ, ასევე, აშშ-ის ბაგაზე დაბმული ქართული ე.წ. არასამთავრობოები, რომლებიც ყველა ანტიქართული იდეა-პროექტის მხარდამჭერები იქნებიან პარლამენტს გარეთ და რა ქაქშიც სურთ გვამყოფონ მომდევნო 4 წელიწადი, ნათელია.**

ვითომ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები ჯერ საჯაროდ, ჩვენ „დასაბოლებლად“ ერთმანეთს დაჭამენ პარლამენტში და შემდეგ რომელიმე პრესტიჟულ რესტორანში ვახტანგურად ეს მერამდენედ შესვამენ გაბითურებული საქართველოს სადღეგრძელოს.

ეს კინო გასული 4 წლის განმავლობაში არაერთხელ ვნახეთ, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც გველის ხვალ, რაც ვნახეთ, ჟურნალი ყოფილა და კინო აწი დაიწყება.

იმის მიუხედავადაც კი, ვინ მოიგებს მაჟორიტართა მეორე ტურებს, ანუ ფორმალურადაც ექნებათ თუ არა ქოცებს საკონსტიტუციო უმრავლესობა, პოლიტიკურად ერთნაირსქესიანთა ქორწინებიდან გამომდინარე, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან აშშ-ის რჩევების (წაიკითხე — ბრძანებების) შესასრულებლად „მოჩვენებით მოჩხუბარი ცოლ-ქმარი“ ოჯახურ ერთიანობას საკმარისად უზრუნველყოფს. ამის ნათელი დასტურია თუნდაც ანტიდისკრიმინაციული კანონის (რომელსაც საქართველოს პატრიარქმა ქვეყნის დამღუპველი კანონი უწოდა) ერთხმად მიღება — აშშ-ის ელჩმა ივანიშვილს „ურჩია“, ხოლო ბიძინამ მაგიდაზე მუშტების ბრახუნით მიაღებინა საპარლამენტო უმრავლესობას ეს კანონი; პარლამენტის სპიკერსა და რესპების მთელს „სასტავს“ ნაცებთან ერთად ხვეწნა-მუდარა რომ არ დასჭირდებოდათ ქვეყნის დამღუპველი კანონის მისაღებად, არ მგონია, სადავო იყოს.

ამავე ოპერიდან არის ნაციონალების გადარჩენა, რომლის შესახებაც განაცხადა **დავით უსუფაშვილმა** და აკი გადაარჩინეს კიდეც. წინამდებარე წერილი არჩევნების გაყალბება-არ გაყალბებით დავიწყე და ახლა განვაგრძობ თემას: გაყალბდა — ვაია ქვეყნისთვის, არ გაყალბდა და, თუ გაუყალბებლად მიიღო ნაცბანდამ 27 %, მაშინ — ვუი ქართველ ერს, რადგანაც ამ შემთხვევაში გაცილებით მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რასაც ილიას ცნობილი ლექსის პერიფრაზით ვიტყვი: ჩვენისთანა ავადმყოფი განა არის სადმე ერი?

**ავადმყოფის გარდა, შეიძლებოდა, ვინმეს ხმა მიეცა ნაცხროვისთვის, რომელმაც 9 წლის განმავლობაში გენოციდი მოუწყო საკუთარ ხალხს და სული ამოჰხადა?!**

ანდა **უკრაინა** ავიღოთ — საქართველოში სისხლის სამართლის დამნაშავედ ცნობილი, ძებნილი **მიშა სააკაშვილი** ოდესის გუბერნატორია და იქიდან არხეინად გეგმავს სახელმწიფო გადატრიალებას, მისი ბანდის სხვა წევრებიც უკრაინის ხელისუფლებაში მაღალ პოსტებს იკავებენ და სააკაშვილის ანტიქართულ ავანტიურებში არიან ჩართულნი, რაც ქართველი ერის სულში ჩაფურთხების ტოლფასია და, მსგავსი არამეგობრული დამოკიდებულების გამო, **ნებისმიერი, ოდნავ მაინც თავმოყვარე ხელისუფლება კიევთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტაზე იფიქრებდა. ჩვენმა ხელისუფლებამ კი, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა კი არა, საპროტესტო ნოტის გაგზავნაც ვერ გაბედა.**

**რატომ? იმიტომ, რომ ამერიკას არ სურს; ამერიკას, რომელიც გვკარნახობს, ვისთან უნდა ვიმეგობროთ და ვის ვუმტროთ.**

ასეთივე ლოგიკით არის ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთიც, რომლის ტერიტორიაზეც სარფში, საქართველო-თურქეთის საზღვართან, ღიად მართავდა „სხოდკას“ მიხეილ სააკაშვილი და ინსტრუქციებს აძლევდა ნაცბანდის წევრებს, ხოლო ჩვენი „მეგობარი“ თურქეთი, იმის მაგივრად, რომ ძებნილი სააკაშვილი დაეკავებინა და საქართველოს მართლმსაჯულებისთვის გადმოეცა, ცინიკურად დუმდა. აღარაფერს ვიტყვი იმ ათასობით ქართველზე, რომლებიც მონურ შრომას ეწევიან თურქეთში, და ათასობით თურქზე, რომლებმაც აჭარის ფინანსურ-ეკონომიკური ოკუპაცია პრაქტიკულად უკვე განახორციელეს(!).

არჩევნების წინ უკლებლივ ყველა ექსპერტი თუ პოლიტოლოგი ერთხმად წინასწარმეტყველებდა, რომ მომავალი პარლამენტი მრავალპარტიული, სულ ცოტა, ხუთსუბიექტიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მივიღეთ ნაცებისა და ქოცების ერთპარტიული პარლამენტი. იყო რამდენიმედღიანი იწილო-ბიწილო ცესკოსი — ხან მოუმატებდნენ „პატრიოტთა ალიანსს“ რამდენიმე მეასედ პროცენტს, ხან დაუკლებდნენ. **ბოლოს, როგორც ჩანს, მიხვდნენ ჩვენი ამერიკელი „მეგობრები“, რომ ამ „პროცენტობანას“ გაუთავებელი თამაშის შედეგად შეიძლებოდა საპროტესტო აქცია მიეღოთ ლოზუნგით „ძირს აშშ, როგორც არჩევნების მთავარი მანიპულატორი!“.**

ამიტომ ამერიკელებმა, როგორც იტყვიან, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და „პატრიოტთა ალიანსს“ საარჩევნო ბარიერი გადაალახვინეს, — იყოს პარლამენტში 6 ეროვნულად მოაზროვნე დეპუტატი, რას უნდა გახდეს ასზე მეტ ნარჩევ ლიბერასტთან ჭიდილშიო.

მაგრამ ცდება ბატონი **იან კელი** — იმ 6 დეპუტატმა ანტიქართული კანონის მიღების მცდელობის შემთხვევაში შეიძლება ისეთი ხმაური ატეხონ პარლამენტის ტრიბუნიდან, რომ ქუდზე კაცი გამოვიდეს და ერთიანად წალეკოს „ცოლ-ქმარი“ ნაცები და ქოცები და მათი „ხელისმომკიდე“, რომელმაც, იმედია, იცის, რომ პირადი თავგანწირვა სასწაულებს შვრება და მეტოქის რიცხობრივი უპირატესობა ნულამდე დაჰყავს. არც ის არის გამორიცხული, რომ 6 დეპუტატი უფრო მეტადაც იქცეს — ალაგ-ალაგ ქოცებშიც არიან ეროვნულად მოაზროვნენი...

**ამერიკული ენ-დი-აის მიერ ახლახან გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 33% ევრაზიული კავშირის მომხრეა. აქედან გამომდინარე, საქართველოს პრაქტიკულად ორპარტიულ პარლამენტში მოსახლეობის ამ ერთი მესამედის ნება არ არის ასახული და წარმოდგენილი.**

სად წავიდა, სად გაქრა ეს ერთი მესამედი? ფაქტია, მათ ხმა არ მიუციათ ნინო ბურჯანაძისთვის, რომლის პარტიამ ბარიერიც ვერ გადალახა. ისიც ფაქტია, რომ ეს მკაფიო პოლიტიკური პოზიციის მქონე ამომრჩეველი „ნაციონალურ მოძრაობას“ არ მისცემდა ხმას და არც ნატო-ევროკავშირის სიკეთეებზე მოქოთქოთე ქოცებს დაუჭერდა მხარს... არც დაუჭირა და დიდი ნაწილი შინ დარჩა ან, თუ მივიდა ურნასთან, ხმა „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ მისცა, რადგან სხვა არჩევანი არ ჰქონდა.

**ეს ყველაფერი იმითაც იყო განპირობებული, რომ ვერც ერთმა პარტიამ და პოლიტიკოსმა, მათ შორის, ვერც ნინო ბურჯანაძემ, ვერ გაბედეს, ეთქვათ გასაგებ, ადამიანურ ენაზე, რომ საქართველოს მტერი ულმერთო აშშ და ევროკავშირია, საიდანაც გარყვნილების მეტი არაფერი შემოდის და თუნდაც მხოლოდ ამიტომ უნდა ვაქციოთ ზურგი დასავლეთს და პირი რუსეთისკენ ვიბრუნოთ. ამას დავუმატოთ რუსული ბაზრის უალტერნატივობა საქართველოსთვის და ნინო ბურჯანაძეს ბარიერის გადალახვის პრობლემა არ ექნებოდა.**

ანალოგიური რამის თქმა „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართაც შეიძლება — მათაც ვერ გააგებინეს ამომრჩეველს, რა სურდათ. ერთი მხრივ, ნატოს წევრ თურქეთს საქართველოს დაუძინებელ მტერს უწოდებდნენ, მეორე მხრივ, სტრასბურგ-ბრიუსელის გზა ტკეპნეს და, აქედან რაც გამოვიდა, კი ვნახეთ.

არჩევნების წინ პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა **დავით თარხან-მოურავმა** გაგვანდო პირდაპირ ეთერში, — რასაც ჩვენგან დასავლეთი ითხოვს, არის ის, რომ თურქებსა და სააკაშვილს არ შეეხოთო. ამის შემდეგ, არჩევნებზე კი არა, საერთოდ, რაზე შეიძლება ვილაპარაკოთ დასავლეთთან?!

ვინმეს მოსწონს თუ არა, რუსეთია მართლმადიდებლობის დამცველი და ბურჯი ქრისტიანული ზნეობისა, მართლმადიდებლობისა, რომელიც ერთადერთი გზაა საქართველოს გადარჩენისა!

ეს სიმართლე ამჯერად პარლამენტის ტრიბუნიდან უნდა თქვას „პატრიოტთა ალიანსმა“ და მერე ვნახავთ, რამხელა სახალხო მხარდაჭერას მოიპოვებს პარლამენტში გასული 6 დეპუტატი და მათი პარტია.

ხალხის ნების წინაშე თვით „ყოვლის შემძლე“ აშშ-ც კი უძლური იქნება!

თორემ, ნატოში არ მიგვიღებენ და ამიტომ არ გვინდა ნატო (დავით თარხან-მოურავი), ამ კონფორმისტული პოზიციით შორს ვერ წავალთ.

რომც მიგვიღონ, მერე რა? ერთი ქვეყანა მაინც მიჩვენეთ, რომელშიც ნატო შევიდა და იქ მშვიდობაა?!

დროა, საკითხი პარლამენტის ტრიბუნიდანაც ასე დაისვას...

**დავით მხეიძე**

ხანდაზმულობის ვადის გარეშე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მე და ერთ ბიჭს, ჯერ გვცემეს, შემდეგ კი მორგში გადაგვიყვანეს, მე — ხელზე, იმას კი ფეხზე ბორკილი დაგვადეს, შუქი გათიშეს, მაცივარი ჩართეს და მთელი ღამე, მეორე დღის 12 საათამდე, მორგში დაგვტოვეს... ნაცემებმა, ტანსაცმელშემოხეულებმა, სველებმა, მთელი ღამე მორგში გავატარეთ. ეს პატიმრებზე ზეწოლის აპრობირებული მეთოდი იყო“**

# თორნიკე არევაძე: მორგში ჩაგვიყვანეს, შუქი გამორთეს, მაცივარი ჩართეს და მიცვალებულზე ბორკილით მიგვაბეს

**საზოგადოებამ საქართველოს ციხეებში პატიმრებისადმი არნახული სისასტიკით მოპყრობის შესახებ რამდენიმე წლის წინათ შეიტყო და ყოფილი ხელისუფლების მმართველობას წერტილი დაუსვა. მსოფლიომ შეიტყო, როგორი სისასტიკით უსწორდებოდნენ უდანაშაულო ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ წინააღმდეგ ხელისუფლებას პირადი მიზნები ამოძრავებდა. ამ ყველაფერს კი ყოფილი ხელისუფლება თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით ახორციელებდა. ციხეში არსებული წამების ფაქტებზე, მართალია, დროდადრო ვრცელდებოდა ინფორმაცია, მაგრამ მათზე რატომღაც ყველა თვალს ხუჭავდა და ყოფილი პრეზიდენტიც ამერიკელებისთვის — კვლავ „დემოკრატიის შუქურად“, საერთაშორისო საზოგადოებისთვის კი თავისუფლებისა და სამართლიანობის მედროშედ რჩებოდა. თუმცა, როგორც ყოფილი პატიმრები ამბობენ, დამნაშავეები არც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დასჯილან და არც ყოფილი პოლიტიკური პატიმრების რეაბილიტაცია განხორციელებულა. მეტიც, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოების ნაწილს პოლიტიკური ამნეზია დაემართა, ვინაიდან, ახლახან გამართულ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 27% მოიპოვა...**

**იმიტომ, რომ გავიხსენოთ და არასოდეს დავივიწყოთ ის სისასტიკე და უკანონობა, რომელიც ახლო წარსულში ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა, „საქართველო და მსოფლიო“ იწყებს რუბრიკას „ხანდაზმულობის ვადის გარეშე“, რომელშიც ყოფილი პოლიტპატიმრები, უდანაშაულოდ დაპატიმრებული ადამიანები თავიანთ ისტორიას მოყვებიან.**

**დღეს რუბრიკის სტუმარია ყოფილი პოლიტპატიმარი თორნიკე არევაძე, რომელიც პოლიტიკური აქტივობის გამო აღმოჩნდა რეჟიმის მსხვერპლი. მან სისასტიკით განთქმულ გლდანის ციხეში მოიხადა სასჯელი.**



— ორჯერ დამაპატიმრეს. პირველად — წელიწად-ნახევარი, მეორედ რვა თვე გავატარე ციხეში. პირველად „საკნების აქციის“ დროს დამიჭირეს 2009 წელს, 14 წელი მომისაჯეს და მხოლოდ დიპლომატიური კორპუსის ჩარევის შემდეგ გამათავისუფლეს პირობითი მსჯავრით. 26 მაისის აქციისას, მართალია, ვერ დამაპატიმრეს, რადგან იმ სასაკლაოდან როგორღაც გამოვაღწიე, მაგრამ ცოტა ხანში მაინც დამაკავეს. ჩემი დაპატიმრების მიზეზი შს იმჟამინდელი მინისტრის — **ვანო მერაბიშვილის** წინააღმდეგ გაკეთებული განცხადება შეიქნა. ტელეკომპანია „ობიექტივში“ კვირაში ერთხელ მიმყავდა გადაცემა „რეგიონის საათი“ და ერთხელაც **ვუპასუხე ვანო მერაბიშვილს, რომელმაც განაცხადა, ბოლო სამი წელია, ქართულ პოლიციაზე თავდასხმა არ მომხდარაო. არადა, ჩემი მეგობრები და თანამებრძოლები, 83 კაცი, სწორედ პოლიციაზე თავდასხმის ბრალდებით იხდიდა სასჯელს. მაშინ განვაცხადე, საინტერესოა, როდის ამბობს სიმართლეს და როდის გვატყუებს ბატონი მერაბიშვილი-მეთქი.** ამას ვინ გაპატიებდა, როცა მერაბიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ხერხემალი იყო. დამაბრალეს, ვითომ რესტრონაში სამი აზერბაიჯანელი ვცემე და აბსურდული ბრალდებით დამაპატიმრეს.

ორივე დაპატიმრებისას გლდანში, ერთსა და იმავე საკანში მომათავსეს. **ციხეში სადიზმის უმაღლესი გამოვლინება ვნახე.** სიმართლე გითხრათ, ადამიანს თუ ამხელა ფანტაზია ჰქონდა, არ მეგონა. პატიმრებს საუბარი, წამოწოლა, ფანჯარასთან მიახლოებაც კი აკრძალული გვქონდა. პატიმრის ცემისა და წამებისთვის მიზეზი არც სჭირდებოდათ. მაგალითად, იღებოდა კარი და პირდაპირ მეუბნებოდნენ, შენ როგორ გაბედე ვანო მერაბიშვილზე რამის თქმაო, და იწყებდნენ ცემას. **პატიმრებს ან იქვე საკანში, ან ოფიცრის ოთახში, ან სააბაზანოში სცემდნენ, მიზეზი ხშირად უბრალო საუბარი იყო — პატიმრებს ერთმანეთთან საუბარი ეკრძალებოდათ. ყოველდღე ვიღაცას სცემდნენ, შემოვიდოდნენ საკანში და განურჩევლად ყველას ურტყამდნენ.** ერთხელ გადავწყვიტე და ორი დღის განმავლობაში სპეციალურად ხმა არ ამომიღია. ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. წიგნის კითხვის გამო ხომ ვერ მცემდნენ? თუმცა **პატიმრებს ლოცვის გამოც სცემდნენ.** ორი-სამი დღის განმავლობაში რომ არ გცემდნენ, ეს მათთვის ბევრი იყო და, როგორც ჩანს, ვეღარ მოითმინეს. ერთხელაც გაიღო კარი და მეუბნებიან, შენ წყნარად რომ ზიხარ მანდ, შენს შვილს სალომე არ ჰქვიაო, და ვერ გავიმეორებ, ისეთი სიტყვები თქვეს... 16 წლის შვილის გაუპატიურებით დამემუქრნენ. ბუნებრივია, ამას უკვე ვეღარ მოითმენ და ასეთ შემთხვევაში აღარც ის გაინტერესებს, გცემენ თუ არა. მეც შევაგინე და იმ დღეს ჯერ სასტიკად მცემეს, შემდეგ მორგში ჩამიყვანეს და იქ მთელი ღამით დამტოვეს.

**პატიმრების მეუღლეებისა და შვილების სახელები იცოდნენ და გვემუქრებოდნენ, რომ, თუ არ დავემორჩილებოდით, რაღაცას დაუშავებდნენ.**

**— ზოგს არამხოლოდ ემუქრებოდნენ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ იყო შემთხვევები, როდესაც პატიმრის შვილს ან ცოლს აუპატიურებდნენ...**

— დიახ, ასეც იყო, უბრალოდ, ოჯახები ამას მალავენ და არ ასაჯაროებენ, თორემ, რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტებიც ხდებოდა...

**— მორგში რა ვითარებაში დაგტოვეს?**

— მე და ერთ ბიჭს, ჯერ გვცემეს, შემდეგ კი მორგში გადაგვიყვანეს, მე — ხელზე, იმას კი ფეხზე ბორკილი დაგვადეს, შუქი გათიშეს, მაცივარი ჩართეს და მთელი ღამე, მეორე დღის 12 საათამდე, მორგში დაგვტოვეს... ნაცემებმა, ტანსაცმელშემოხეულებმა, სველებმა, მთელი ღამე მორგში გავატარეთ. ეს პატიმრებზე ზეწოლის აპრობირებული მეთოდი იყო.

**— იმ დროს მორგში მიცვალებულებიც იყვნენ?**

— დიახ, მიცვალებულზე ბორკილით ვიყავი მიბმული...

**ციხეში ჩვეულებრივი ამბავი იყო გინება, დამცირება, გირტყამდნენ ყველგან, არ ერიდებოდნენ, რომ შეიძლებოდა ადამიანი შემოჰკვდომოდათ. როგორც კი გათენდებოდა, 7 საათზე, ჩაცმული უნდა მდგარიყავი და მას შემდეგ დაწოლისა და დაჯდომის უფლება არ გვქონდა. საგანგებოდ ჰყავდათ მორიგე, რომელიც გვითვალთვალებდა, და თუ ასე არ მოვიქცეოდით, სასტიკად გვცემდნენ. ციხის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, დაახლოებით 6-7 კაცი, შემოდიოდა და საკანშივე უსწორდებოდნენ პატიმრებს.** ხშირად მოითხოვდნენ პატიმრებისგან, — აბა, დაიჩოქეთ, ნარის ქვეშ შეძვერითო და ასეთ დამამცირებელ რაღაცებს, რასაც, რა თქმა უნდა, პატიმრები არ ვასრულებდით და ამის გამო, ყოველთვის გვცემდნენ გონების დაკარგვამდე. მე მალე ვითიშებოდი, ამიტომ თავს მანებებდნენ ხოლმე. **ისე მცემდნენ, ციხიდან რომ გამოვედი, კბილები აღარ მქონდა. ციხის რეჟიმის განყოფილების უფროსი ოლეგ ფაცაცია და ციხის კორპუსის უფროსი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ კბილს ჩამიმტვრევდა ერთი დარტყმით.**

პირადად **ოლეგ ფაცაცია** ხშირად მონაწილეობდა ჩემი და სხვა პატიმრების წამებაში და არამხოლოდ ის, თითქმის ყველა ოფიცერი, რომლებიც იმხანად ციხეში მუშაობდნენ, პატიმრებს აწამებდა. ყოფილა შემთხვევა, სასტიკი ცემისგან გონებადაკარგულისთვის წყალი შეუსხამთ და, როგორც კი გონზე მოვსულვარ, ცემა გაუგრძელებიათ. ერთხელ, როცა ცემას ვეღარ გავუძელი, ოღონდ თავი დაენებებინათ, ხელზე ხორცი ამოვიჭამე. თუ რამეს დაიზიანებდი, დროებით შეგეშვებოდნენ. ერთხანს „ბრიტვით“ ვიდექი კარში და ვიძახდი, არ შემოხვიდეთ, თორემ თავს მოვიკლავ, ყელს გამოვიჭრი-მეთქი. ეს ერთ-ერთი მეთოდი იყო, დროებით მაინც რომ შემეკავებინა ძალადობა. ამის შემდეგ ორ-სამ დღეს თავს მანებებდნენ.

ექიმი რამდენჯერაც მოვითხოვე, არასდროს მოუყვანიათ. არც წამალი გვქონდა, არც ტკივილგამაყუჩებელი.

**— ხომ შეიძლებოდა ადამიანი შემოჰკვდომოდათ? თუ ეს არ ადარდებდათ?**

— ძალიან ბევრი შემ- ▶

**«როცა ცემას ვეღარ გავუძელი, ოღონდ თავი დაენებებინათ, ხელზე ხორცი ამოვიჭამე»**



**«ისე მცემდნენ, ციხიდან რომ გამოვედი, კბილები აღარ მქონდა. ციხის რეჟიმის განყოფილების უფროსი ოლეგ ფაცაცია და ციხის კორპუსის უფროსი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ კბილს ჩამიმტვრევდა ერთი დარტყმით»**

„ნეტა, ერთი კვირით ადრე მაინც გაევრცელებინათ ეს კადრები. 22 წლის ბიჭი ჩვენ გვერდით საკანში ცემით მოკლეს. სთხოვდა, არ მომკლათო. სამხედრო პირი იყო, რომელიც დეზერტირობის ბრალდებით დაიჭირეს. ეს ბიჭი ახალაიას პირადი პატიმარი იყო. მისი სახელი არ მახსოვს, მაგრამ მაშინაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ციხეში დაიღუპა ახალგაზრდა სამხედრო, სინამდვილეში კი ცემით მოკლეს. ის გადარჩებოდა, ცოტა ადრე რომ გავრცელებულიყო კადრები. საკნების წინ, დერეფანში ცემით მოკლეს“

ხანდაზმულობის ვადის გარეშე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ხელისუფლებას ციხეში დიდი ბიზნესი ჰქონდა»



◀ თხვევა იყო, როცა ადამიანი ცემისას მოუკლავთ. თუმცა, ეს არ აღელვებდათ. დღეს ხშირად ამბობენ, დამნაშავეები არიან ის ადამიანები, რომლებმაც ციხის კადრები გაავრცელესო. **ნეტა, ერთი კვირით ადრე მაინც გაევრცელებინათ ეს კადრები. 22 წლის ბიჭი ჩვენ გვერდით საკანში ცემით მოკლეს. სთხოვდა, არ მომკლათო. სამხედრო პირი იყო, რომელიც დეზერტირობის ბრალდებით დაიჭირეს. ეს ბიჭი ახალაიას პირადი პატიმარი იყო. მისი სახელი არ მახსოვს, მაგრამ მაშინაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ციხეში დაიღუპა ახალგაზრდა სამხედრო, სინამდვილეში კი ცემით მოკლეს. ის გადარჩებოდა, ცოტა ადრე რომ გავრცელებულიყო კადრები. საკნების წინ, დერეფანში ცემით მოკლეს.**

ვისაც პატრონი ჰყავდა და ადვოკატი აკითხავდა, არ სურდათ, რომ სახეზე დასტყობოდა ცემის კვალი, ამიტომ დაიჭერდნენ ფეხებითა და ხელებით და მთელი ძალით კედელზე ანარცხებდნენ. ბუნებრივია, ეს შინაგანი ორგანოების დაზიანებას იწვევდა. პატიმარს სისხლდენა ეწყებოდა, ექიმსაც მხოლოდ 5-6 საათის შემდეგ მიიყვანდნენ და საკნიდან გამოიტანდნენ მიცვალებულს. როგორც ჩანს, ხელს აძლევდათ მეტი დაღუპული და მეტი შიშიც.

**ხელისუფლებას ციხეში დიდი ბიზნესი ჰქონდა. ჩემს საკანში რამდენიმე ადამიანი იყო, რომლებსაც მილიონებს და ასი ათასებს სთხოვდნენ და, ბუნებრივია, თუ ადამიანს შიში არ ექნებოდა, რომ მოკლავდნენ, ფულს არ გადაიხდიდა. ასეთი ფაქტების შემდეგ კი ეს პატიმრები რეკავდნენ და ოჯახებს სთხოვდნენ, ყველაფერი გაყიდეთ, ოღონდ აქედან გაგვიყვანეთო.**

**ჩემი საკნის ფანჯრები პირდაპირ საავადმყოფოს უყურებდა და, დღე არ გავიდოდა, იქ ორი-სამი მიცვალებული არ შეეყვანათ. რაც დრო გადის, მით უფრო მიღრმავდება ეჭვი, რომ ციხის საავადმყოფოში ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდნენ.**

## «ჩემი საკნის ფანჯრები პირდაპირ საავადმყოფოს უყურებდა და, დღე არ გავიდოდა, იქ ორი-სამი მიცვალებული არ შეეყვანათ. რაც დრო გადის, მით უფრო მიღრმავდება ეჭვი, რომ ციხის საავადმყოფოში ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდნენ»

**— რატომ გაგიჩნდათ ეს ეჭვი?**

— საეჭვოდ იქცეოდნენ. მაგალითად, ორი-სამი დღე ისე გავიდოდა, რომ მიცვალებული არც მორგში მიჰყავდათ და არც ექსპერტიზაზე. საკუთარი თვალით ვნახე, რომ თითქმის ყველა მიცვალებული იყო გაჭრილი და ყველაფერი ამოცლილი ჰქონდა. პატიმრის გარდაცვალებას ოჯახს მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ატყობინებდნენ და, ცხედარს ექსპერტიზიდან რომ აბრუნებდნენ, მხოლოდ 3-4 დღის შემდეგ ატანდნენ პატრონს.

**— განსაკუთრებული სისასტიკით ვის ექცეოდნენ?**

— განსაკუთრებული სისასტიკით ექცეოდნენ ადამიანებს, რომლებსაც დიდძალ ფულს სთხოვდნენ, და პოლიტპატიმრებს. **ჩემგან ითხოვდნენ, მეთქვა, რომ 26 მაისის აქციას რუსეთის დაფინანსებით ვატარებდით. რამდენიმე ვერსია ჰქონდათ დაწერილი. მაგალითად, უნდა მეღიარებინა, როგორ გადავედი ცხინვალში, შევხვდი რუს გენერალს, მომცა ფული და მივუტანე პარტიის ხელმძღვანელობას. სურდათ, გვეთქვა, ვითომ აგენტები ვიყავით და რუსეთის ფულით ვაპირებდით გადატრიალებას.** ქვემო ქართლის კუდის უფროსი **ზაზა ტატიკიშვილი** უშუალოდ მიგზავნიდა ხალხს ციხეშიც და გარეთაც მოთხოვნით, პოლიტიკური აქტივობისთვის თავი დამენებებინა. დღეს ეს ადამიანი თავისუფლად დადის ქუჩაში და ერთხელაც არავის გადაუხედავს მისი საქმისთვის.

**— ციხეში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ შემოდიოდნენ?**

— სამწუხაროდ, ციხის კადრების გავრცელებამდე არავინ შემოდიოდა. ულრმესი მადლობა ქალბატონ **ნონა ფილაურს**, ჩემს ადვოკატს, რომელიც უყვიროდა ციხის თანამშრომლებს, ღმერთი არ გაგიწყრეთ, ნაცემი არ დამხვდესო. ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ოთახი, რომელშიც ადვოკატს ვხვდებოდი, ისმინებოდა და, როცა მეკითხებოდა, ნაცემი ხარო, უარვყოფდი, რადგან მისი გასვლის შემდეგ, საკნამდეც ვერ მივაღწევდი... მეტიც, კადრების გავრცელების შემდეგაც კი უცხოელები მაინც უნდობლად გვიყურებოდნენ...

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თვალით ნახეს, რა პირობებშიც ვიყავით.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ იყვნენ უნდობლად განწყობილები უცხოელები, მათთვის უსიამოვნო აღმოჩნდა იმის გაგება, რომ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული პრეზიდენტის ციხეებში მსგავსი ფაქტები ხდებოდა, თუ უბრალოდ არ სჯეროდათ, რომ ეს ყველაფერი შეიძლებოდა რეალურად მომხდარიყო?**

—როგორც აღვნიშნე, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩვენთან მხოლოდ ციხის იმ ცნობილი კადრების შემდეგ შემოვიდნენ და არ სჯეროდათ კი არა, უფრო არ სიამოვნებდათ, როდესაც ასეთ რაღაცებს ვუყვებოდით და ვაწერინებდით. ძირითადად ჩვენი, ქართველი, უფლებამდაცველები აქტიურობდნენ.

**— დღეს პოლიტპატიმრის სტატუსი გაქვთ. თუ მოხდა თქვენი სრული რეაბილიტაცია?**

— არა. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, 184 პოლიტპატიმრიდან ერთადერთი ვარ, ვისაც გამამართლებელი განაჩენი აქვს. პროკურატურამ ვერ შეძლო ჩემთვის ბრალის დამტკიცება და გამამართლეს. **სასამართლოს მივმართე ჩემ სრულ რეაბილიტაციაზე, მაგრამ, როგორც ჩვენთან ხშირად ხდება, დამამცირებელი და დამცინავი პასუხი მივიღე, — თუ გინდათ, 8 ათას ლარს მოგცემთ და წყნარად იყავითო. არ გაითვალისწინეს არანაირი მორალური ზარალი, რომელიც ოჯახს მიადგა.**

**— რვა ათას ლარზე უარი თქვით?**

— დიახ, მე გავასაჩივრე და მეორე ინსტანციამ განაჩენი დატოვა. ახლა, თვეზე მეტია, უზენაეს სასამართლოში მაქვს სარჩელი შეტანილი და პასუხი ჯერჯერობით არ მიმიღია. არანაირი რეაგირება უზენაესი სასამართლოს მხრიდან არ არის. ვითხოვ, დაიწყოს გამოძიება, დაისაჯონ დამნაშავეები და ჩემი სრული რეაბილიტაცია მოხდეს.

სამწუხაროდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩემი მოთხოვნა, დაეკითხათ ჩემს საკანში მყოფი ადამიანები, რომლებიც ამ წამებასა და ცემას დაადასტურებდნენ, რადგან, როგორც ჩანს, ეს ხელს არ აძლევდა წინა ხელისუფლებას და, როგორც ჩანს, არც ახალ ხელისუფლებას აძლევს ხელს წამების ფაქტების გამოვლენა.

**— დღეს ზოგიერთი ამტკიცებს, ციხის კადრები დადგმული იყოო. რას ეტყოდით ამ ადამიანებს?**

— დაეწყოთ გამოძიება და ნახავდნენ, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული. ეს გამოიწვია კოაბიტაციამ და ნაციონალების მოფერებამ.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ახლახან ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ხმების 27%?**

— ამ არჩევნების შემდეგ კარგად გამოჩნდა, რომ ამ ხელისუფლებას ბუმერანგივით უკან დაუბრუნდა თავისი უმოქმედობა. სამწუხაროდ, ნაციონალებმა შეძლეს, რომ ტყუილებითა და უტიფარი გამოსვლებით გარკვეული მხარდაჭერა მოეპოვებინათ და ამას გარდა, როგორც ჩანს, დღესაც ბევრი ადამიანია მათგან დავალებული ან მათზე კომპრომატები აქვთ. **პოლიციელები, რომლებიც ჩვენ დაკავებაში მონაწილეობდნენ, ყველა მუშაობს, ბევრი დააწინაურეს კიდეც. ჩემი საქმის პროკურორი დღეს ისევ პროკურატურაშია და თანამდებობაზე მუშაობს, რა თქმა უნდა, ის საკუთარი თავის წინააღმდეგ საქმეს არ გამოიძიებს. ეს არის სწორედ ამ წყეული კოაბიტაციის შედეგი.**

მე ვიყავი ინიციატორი, 153-ე მუხლში შესულიყო ცვლილება, მივიღეთ კიდეც ეს კანონი, მაგრამ მაინც არ ხდება საქმეების გადახედვა. ჩვენ ვითხოვთ, დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა, მოხდეს საქმეების გადახედვა და ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ უკანონო დაკავებასა და წამებაში მონაწილეობდნენ, დაისაჯონ!

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

## «პოლიციელები, რომლებიც ჩვენ დაკავებაში მონაწილეობდნენ, ყველა მუშაობს, ბევრი დააწინაურეს კიდეც. ჩემი საქმის პროკურორი დღეს ისევ პროკურატურაშია და თანამდებობაზე მუშაობს, რა თქმა უნდა, ის საკუთარი თავის წინააღმდეგ საქმეს არ გამოიძიებს. ეს არის სწორედ ამ წყეული კოაბიტაციის შედეგი»





# კლინტონის შტაბი რესპუბლიკელთა ოფისის დაწვის ფაქტს ეხმაურება

**ჩრდილოეთ კაროლინაში რესპუბლიკელთა ოფისზე განხორციელებულ თავდასხმას ჰილარი კლინტონის საარჩევნო შტაბი ეხმაურება. პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატის თანაგუნდელები ვანდალურ აქტს გმობენ და თანამოქალაქეებს ძალადობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებენ.**

რესპუბლიკელთა ოფისზე თავდასხმა გვიან ღამით ქალაქ ჰილსბოროში განხორციელდა. თავდამსხმელებმა შენობაში მოლოტოვის კოქტეილები შეაგდეს, შედეგად ოფისის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიწვა. დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბი თავდასხმაში კლინტონის მხარდამჭერებს ადანაშაულებს.



# დონალდ ტრამპი მზად არის, გამარჯვების შემთხვევაში ვლადიმერ პუტინს ინაუგურაციამდე შეხვდეს

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი მზად არის, გამარჯვების შემთხვევაში ვლადიმერ პუტინს ინაუგურაციამდე შეხვდეს.**

ამის შესახებ ტრამპმა რადიოგადაცემაში განაცხადა.

„ვფიქრობ, პუტინს ჩემი ადმინისტრაციის მუშაობის დაწყებამდე შევხვდებოდი. ჩემი მოსაზრებით, ეს შესანიშნავი იქნებოდა“, — განაცხადა ტრამპმა. მისი თქმით, პრობლემა ისაა, რომ ამერიკელი ლიდერები მეტისმეტად ხშირად აყენებენ პუტინს შეურაცხყოფას, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რუსეთის ლიდერს ობამა და ჰილარი კლინტონი სძულს. როგორც „ბიბისი“ აღნიშნავს, პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა რუსეთთან ურთიერთობის დალაგების სურვილი არაერთხელ გამოთქვა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ისინი, ვისაც დავალებული აქვს ამ ტერაქტის გამოძიება, გააჭიანურებენ შესწავლას ან პროფესიულად ვერ გამოიძიებენ, ეს სხვა ეჭვს გააჩენს და ურთიერთგადაბრალებას ხელს შეუწყობს, როცა ნაცების მომხრენი თავიანთ აზრზე დარჩებიან, მოწინააღმდეგენი — თავისაზე და გაჩნდება ახალი კითხვა — ხომ არ იყო ეს ტერაქტი დაპირისპირებული ძალების „ერთობლივი პროექტი“, იმ მიზნით მოწყობილი, რომ ამომრჩეველთა ყურადღება ამაზე გადაეტანათ და არჩევნების თავისუფლად მანიპულირების საშუალება მისცემოდათ?“**

# თარგამაძის მანქანის აფეთქება «ერთობლივი პროექტი» იყო?

**გენერალ-მაიორი ლევან კენჭაძე საქართველოში შექმნილი პირველი ანტიტერორისტული ცენტრის პირველ უფროსად 1999-2002 წლებში მუშაობდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სტრუქტურა მისი ჩამოყალიბებულია. ამ პერიოდში იგი სამხრეთ კავკასიაში უძლიერეს პროფესიულ დანაყოფად იყო მიჩნეული. თქმულიდან გამომდინარე, უპრიანი იქნება, 4 ოქტომბერს თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე მომხდარი ტერორისტული აქტის შეფასება სწორედ ბატონ ლევანს ვთხოვოთ.**



ლევან კენჭაძე

— უწინარეს ყოვლისა, უნდა დავეთანხმო უშიშროების გენერალ-მაიორ **ანზორ მაისურაძეს**, რომელმაც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ **„ტერაქტების მოწყობა, მოწინააღმდეგეების ფიზიკური ლიკვიდაცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მოწოდება და მეთოდია, სხვისთვის გადაბრალება — მათი ხელწერა“.** დავუმატებდი, რომ ამასთანავე, ისინი შავი პიარის დიდოსტატები იყვნენ ყოველთვის და არიან ახლაც. აქედან გამომდინარე, შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთებაც, თუ ვინ დგას ამ ტერაქტის უკან. ჯერჯერობით ეს დასკვნები ლოგიკას ეფუძნება, რეალისტურ ლოგიკას და, ერთგვარად, ვარაუდების სფეროდან გამომდინარეობს, მაგრამ ძალიან ახლოსაა რეალობასთან, ამიტომ ახლა მთავარია გამოძიების ჭკვიანურად ჩატარება.

ჩვეულებრივ, **ტერაქტის მომწყობი პროფესიონალები ასაფეთქებელ მექანიზმს, დავარქვათ ასე, ისე ამონტაჟებენ ობიექტზე, ამ შემთხვევაში — ავტომანქანაზე, რომ პიროვნება, რომელსაც თავს ესხმიან, აუცილებლად იყოს ლიკვიდირებული.**

**— 4 ოქტომბერს ასე არ მოხდა.**

— და სწორედ ეს აჩენს ეჭვს, რომელსაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომელსაც ლოგიკა გვიკარნახებს. მართალია, შემთხვევის ადგილზე არ ვყოფილვარ, ტელევიზიით ვნახე, მაგრამ **ხომ ფაქტია, რომ ნახევარი მანქანა არ არსებობდა, შიგ მსხდომთ კი ნაკაწრიც არ ეტყობოდათ! ესაა საეჭვო.**

**— იქნებ შემთხვევის ბრალია?**

— ასეთ შემთხვევას ტერაქტების ისტორია არ იცნობს.

**— აფეთქების დისტანციურ მართვაზე რას იტყვით?**

— დაბეჯითებით ვერაფერს, მაგრამ თქვენს ყურადღებას მივაქცევ ერთ გარემოებას: **დისტანციური მართვა ნიშნავს, რომ ტერორისტი მაშინ აამოქმედებს ასაფეთქებელ მოწყობილობას, როცა საჭიროდ მიიჩნევს, გარემო პირობებიდან გამომდინარე.**

გეკითხებით: **რატომ ააფეთქა მანქანა ბოროტმოქმედმა მაინცდამაინც მაშინ, როცა აფეთქების რადიუსში მოძრაობდნენ ადამიანები, ჩვენი თანამოქალაქეები? იმიტომ ხომ არა, რომ ჩანაფიქრის თანახმად, ამ ტერაქტს უნდა შეწიროდა რაც შეიძლება მეტი სიცოცხლე, გამოეწვია მასობრივი მღელვარება ხელისუფლების წინააღმდეგ და უზრუნველეყო „ნაცმოძრაობის“ მხარეს ამომრჩეველთა გადასვლა?**

**— რატომ მაინცდამაინც ნაცების მხარეს?**

— იმიტომ, რომ მანქანა მათი ერთ-ერთი ლიდერის — გივი თარგამაძისა იყო. მასის ფსიქოლოგია კი ისეთია, რომ დაჩაგრულის მხარეს იჭერს ყოველთვის.

ასეთია ჩემი ვარაუდი. დასკვნა კვალიფიციურმა ექსპერტებმა უნდა გამოიტანონ.

თუ ისინი, ვისაც დავალებული აქვს ამ ტერაქტის გამოძიება, გააჭიანურებენ შესწავლას, ან პროფესიულად ვერ გამოიძიებენ, ეს სხვა ეჭვს გააჩენს და ურთიერთგადაბრალებას ხელს შეუწყობს, როცა ნაცების მომხრენი თავიანთ აზრზე დარჩებიან, მოწინააღმდეგენი — თავისაზე და გაჩნდება ახალი კითხვა — **ხომ არ იყო ეს ტერაქტი დაპირისპირებული ძალების „ერთობლივი პროექტი“, იმ მიზნით მოწყობილი, რომ ამომრჩეველთა ყურადღება ამაზე გადაეტანათ და არჩევნების თავისუფლად მანიპულირების საშუალება მისცემოდათ?**

ასეთია ჩემი კერძო აზრი.

გამოძიებას დიდი შრომა კი სჭირდება, მაგრამ ეს ტერაქტი არც ისეთი რთული საქმეა, როგორიც იყო პრეზიდენტ კენედის მკვლელობა.

**— გამოძიების მიმდინარეობის შესახებ საზოგადოებრიობის ინტერესი ხომ უნდა დაკმაყოფილდეს?**

— ზოგადი შტრიხებით — კი, დეტალურად — არა. ყველაფრის დროზე ადრე სააშკარაოდ გამოტანა მხოლოდ დააზარალებს გამოძიებას. პროფესიონალი უნდა იყოს ჩუმად, აკეთოს თავისი საქმე და დადოს შედეგი.

მაგრამ თუ ამ საქმესაც ისე გამოიძიებენ, როგორც ზოგიერთ სხვა საქმეს (თუ ნებას მომცემთ, ამაზეც მოგახსენებთ), მაშინ ეს ძალიან უარყოფითად აისახება ჩვენი ხელისუფლების პრესტიჟზე ჩვენი მოქალაქეების მხრიდან (არაფერს ვამბობ მსოფლიო თანამეგობრობაზე), რომლებსაც გაუჩნდებათ ან გაუძლიერდებათ ეჭვი, რომ ჩვენი ხელისუფლება მართლაც არაფრის გამკეთებელი არ ყოფილა. ამიტომ ოპერატიულობა, და არა აჩქარება, ამ ეტაპზე უპირველესი მოთხოვნა უნდა იყოს.

**— რომელ „სხვა საქმეებს“ გულისხმობდით, ბატონო ლევან, რომელთა გამოძიება არ გაკმაყოფილებთ?**

— რადგან მე ვარ თქვენი რესპონდენტი, ჩემს საქმეზე მოგახსენებთ.

ჩვენი მთავრობის წევრები ერთხმად აცხადებენ, რომ **სააკაშვილი, კეზერაშვილი, ადეიშვილი, ოქრუაშვილი** და კიდევ სხვები არიან იმ რეჟიმის შემქმნელები, რომელმაც ჩვენი ხალხი 9 წლის განმავლობაში უბედურებაში ამყოფა. არც ერთს, ვინც ამას ამბობს, რეპრესიები არ შეხებია. ზოგიერთი თანაუგრძნობდა კიდეც. ახლა უტევენ. კარგია, რომ მართალს ამბობენ... დღეს მაინც.

მე იმ რეჟიმმა 8 წელიწადი მომისაჯა.

2013-დან 2016 წლის სექტემბრამდე ყოველთვე ვწერ და ვუგზავნი საჩივრებს პრემიერმინისტრებს, პრეზიდენტს, სახალხო დამცველს. ვის არ მივწერე, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიმიღია. ვითხოვ რას? არც იმას, რომ გამამართლონ, ან, ღმერთმა დამიფაროს, გმირად გამომაცხადონ. **ვითხოვ, გამცენ პასუხი — მე ვიყავი მართალი თუ სააკაშვილის რეჟიმი?**

ასეთი პასუხის გარეშე, ჩვენი პროკურატურის ოფიციალური დასკვნის გარეშე, უფლება არ მაქვს, სარჩელი გავგზავნო საერთაშორისო ინსტანციებში. მეტსაც გეტყვით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარეა ქალბატონი **ეკა ბესელია**, სამჯერ მიმართა პროკურატურას, რატომ არ აძლევთ პასუხსო. ეს მოთხოვნაც რეაგირების გარეშე დატოვეს.

სამაგიეროდ, წლევანდელი ზაფხულიდან არაოფიციალურად დაიწყეს ჩემი გაფრთხილება, — თავი დაანებე საჩივრების წერასო. მე არ გავჩერდი. აგვისტოში პარლამენტს კვლავ გავუგზავნე წერილი.

ჩემი ინიციატივით ხომ არ დავიწყებ სამართლიანობის აღდგენას? კარგად მესმის, რომ ეს დანაშაული იქნება. ვარ ომის ვეტერანი, საქართველოში სადაც ტყვია გავარდა, ყველგან ვმონაწილეობდი, მიღებული მაქვს სახელმწიფოს საბრძოლო ჯილდოები.

ვწერდი საჩივრებს, სხვა რა უნდა გამეკეთებინა?!

სამაგიეროდ მომიწყვეს პროვოკაცია.

რამდენიმე დღის წინათ, 14 სექტემბერს, ვინმე სტაჟიორმა გამომძიებელმა, რომელიც, როგორც თქვენ, მეც არ მინახავს, ჩემ წინააღმდეგ აღძრა საქმე, რომ მე თურმე ამა წლის მაისში ჩემი მეზობლისთვის შეურაცხყოფა მიმიყენებია.

ლაც არ მინახავს, და სასამართლოც დამინიშნეს.

**თუ ასე იძიებს პროკურატურა 4 ოქტომბრის ტერაქტს, მაშინ ცუდ დღეში ვყოფილვართ.**

ნაცები ხომ ვიცით, ვინც არიან, ჩვენი მთავრობა კი... იცით, რას გეტყვით? ეტყობა, **ეს პროკურატურა ამჟამინდელ ხელისუფლებას არაფრად აგდებს, ან სხვა რაღაც ხდება, რაც ჩემთვის სრულიად გაუგებარია.**

ერთ საკითხსაც მინდა ხაზი გავუსვა: გამოდის ტელევიზიით **ირაკლი ოქრუაშვილი** და ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელებს ლანძღავს.

პასუხს არავინ სთხოვს.

სამი წლის განმავლობაში ვჩივი, რომ ჩემს საქმეში ერთ-ერთი დამნაშავე იყო ოქრუაშვილი. არც ერთხელ არ დაუკითხავთ.

ასეთი მფარველები ვინა ჰყავს ამ კაცს?!

ოქრუაშვილის დაუკითხაობა არ მიკვირს, რადგან ჩემს საქმეზე მეც არავის დავუკითხივარ გასული სამი წლის განმავლობაში.

**— თქვენს მეზობელთან რა კონფლიქტი მოგივიდათ?**

— როგორც კი მოხდა ეს კონფლიქტი, მე, როგორც კანონმორჩილი მოქალაქე, მივედი პოლიციის განყოფილებაში და ვთხოვე, გამოეძახებინათ ჩემი მეზობელი და გაეფრთხილებინათ, რომ კვლავაც არ მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა ჩემ მიმართ,

ამის გამო **16 სექტემბერს სასამართლოში დამიბარეს და აღმკვეთი ღონისძიების ნაცვლად 1000 ლარის გირაო შემიფარდეს. გავასაჩივრე მაშინვე. 21 სექტემბერს მითხრეს, რომ ჩემ წინააღმდეგ აღძრული საქმე სწორია. ე.ი. 7 დღეში ეს ყველაფერი ოპერატიულად მოაგვარეს და 2 ნოემბერს დამინიშნეს სასამართლო, რომელიც გადაწყვეტს, უნდა დამაკაონ თუ არა.**

სამი წელია, ვჩივი და პროკურატურა ყურადღებას არ მაქცევს. ახლა კი, სამი წლის თავზე, ერთ კვირაში, კიდეც აღძრეს საქმე ჩემ წინააღმდეგ, კიდეც მოიკვლიეს ისე, რომ გამომძიებელი ერთხე-

რადგან ამას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყოლოდა.

დაიბარეს და ხელწერილიც ჩამოართვეს, რომელშიც ნათქვამია, რომ არავითარი პრეტენზია არა აქვს, რადგან არც მე მიმიყენებია მისთვის შეურაცხყოფა, არც მას — ჩემთვის. ამ ხელწერილის ასლი მე მაქვს.

ეს დოკუმენტი მაისშია დაწერილი, სექტემბერში კი ბრალი დამდეს, თითქოს მას მსუბუქი დაზიანება მივაყენე.

**— გაოგნდება კაცი! ბატონო ლევან, ჩვენი მკითხველი ბოლომდე რომ გავარკვიოთ, ეგებ ორიოდე სიტყვით გვიამბოთ, რატომ მოგისაჯეს 8 წელიწადი სააკაშვილის ჟამიანობის დროს?**

— გამასამართლეს ორი მუხლით თანამდებობის გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების ბრალდებით: თითქოს რომელიღაც ფირმას გადავეცი ჩამოწერილი იარაღი ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად. არადა, საქმეში დევს უშიშროების მინისტრის რეზოლუცია და ყველა სხვა დოკუმენტი, რომლებითაც მტკიცდება, რომ ამ საქმეში ჩემი ინიციატივა ნულის ტოლია: მე მხოლოდ შევასრულე ის, რაც ხელმძღვანელობამ დამავალა. გამოძიების მსვლელობისას პროკურორმა **პაატა ჯაველიძემ** პირდაპირ მითხრა: ბატონო ლევან, არ გინდა მინისტრის ან სხვების მოწმეებად დასახელება. გადაწყვეტილია, რომ უნდა დაგიჭირონ და რამდენ მოწმესაც დაასახელებ, მათაც დაიჭერენ, შენ კი არ გაგათავისუფლებენო. ამიტომ ჩემ წინააღმდეგ შეკერილი საქმე სასამართლოზე არ გამოაჩინეს.

ჩემი ადვოკატი იყო შემდგომში მთავარი პროკურორი **არჩილ კბილაშვილი**. ამ თანამდებობაზე რომ დანიშნეს, სამჯერ მივედი და ვთხოვე, გაერკვია, რატომ ჭიანურდებოდა რეაქცია ჩემს საჩივრებზე — მან ხომ კარგად იცოდა, როგორც შემითითხნეს ბრალდება. მისი საბოლოო პასუხი იყო: ეს საქმეები ჯერჯერობით გამოძიებული ვერ იქნებაო.

თორმეტი მოწმის ჩვენება არის ჩადებული ჩემს საქმეში. არც ერთი მათგანი დღემდე არავის დაუკითხავს.

აქ კიდევ ერთი დეტალია მნიშვნელოვანი. მაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა, რომ არ ვარ ნასამართლევი. პროკურატურის სტაჟიორმა კი ჩემ წინააღმდეგ მეზობელთან მომხდარი კონფლიქტის გამო აღძრულ საქმეში ჩაწერა, რომ მე ვარ ადრე ნასამართლევი და ამიტომ აუცილებელია ჩემ მიმართ აღმკვეთი ღონისძიების განხორციელება...

თუ ცნობა ყალბია, მოსთხოვონ პასუხი მის გამცემს. თუ ნამდვილია, მაშინ აგოს პასუხი იმან, ვინც შეგნებულად გააყალბა სინამდვილე...

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. და არის ახლა ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებულივით გენერალ-მაიორი ლევან კენჭაძე — უდანაშაულო დამნაშავე.**

**მკითხველს სრული უფლება აქვს, ამ კერძო ფაქტიდან გამომდინარე, თავად უპასუხოს შეკითხვას: ძალიან ნელა ხომ არ მოძრაობს ის ურემი, რომლითაც სამართალი დაიარება ამ ქვეყანაზე?**

**„წარმოშობით სოფელ კორცხელიდან ვარ, იქ ნაციონალების ბუდეა, მაგრამ 8 ოქტომბერს არჩევნებში დამარცხდნენ. იყო დრო, როდესაც სირცხვილად ითვლებოდა კორცხელის ხსენება, ახლა ვამაყობ — ამ სოფლის მოსახლეობამ თავისი სათქმელი თქვა და მჯერა, კიდევ ერთხელ იტყვის. კორცხელში მცხოვრებნი დაამტკიცებენ, რომ მათთვის სამშობლო და მისი კეთილდღეობა უმთავრესია“.**

## არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გენადი ქობალია: მას შემდეგ, რაც სანდრა რულოვსის მაჟორიტაროზის ამბავი შევიტყვე, კარდაკარ დავდივარ და ყველას ვეუბნები, რომ მისთვის ხმის მიცემა სამშობლოს ღალატის ტოლფასია

**2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ 53 საარჩევნო ოლქში საჭირო შეიქნა მეორე ტურის ჩატარება და თითქმის ყველგან ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალების კანდიდატები დაუპირისპირდებიან. „ქართული ოცნების“ კანდიდატებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ გაიმარჯვებენ. ერთადერთი, ზუგდიდის რაიონულ ოლქზე ნერვიულობენ, სადაც ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი „ოცნების“ კანდიდატს — ედიშერ თოლორაიას უპირისპირდება. 8 ოქტომბრის არჩევნებისას ჰოლანდიელმა ქალბატონმა თოლორაიას მის მშობლიურ სოფელ ინგირში რამდენიმე ათეული ხმით მოუგო, რამაც რულოვსს გამბედაობა შეჰმატა და მეორე ტურში გამარჯვების იმედიც ჩაუსახა. ამას ისიც ემატება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ხალხს მოუწოდებენ, მხარი ოპოზიციის კანდიდატებს დაუჭირონ, რათა ხელისუფლებამ საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მიიღოს. ვესაუბრეთ ეროვნული მოძრაობის წევრს, ზუგდიდში მცხოვრებ გენადი ქობალიას და შევეცადეთ, მისგან შეგვეტყო, რა ვითარებაა მეორე ტურის წინ ზუგდიდში.**



**— ბატონო გენადი, როგორ ფიქრობთ, რა არის იმის მიზეზი, რომ სამეგრელო „ნაცმოძრაობის“ საყრდენად იქცა? უფრო მეტიც — ყოფილი პირველი ლედი, რომელიც თავის დროზე ზვიად გამსახურდიას ქსენოფობს უწოდებდა, ახლა ზუგდიდში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია და ხმების საკმაო რაოდენობაც მოაგროვა.**

— სამეგრელოში პრობლემები შევარდნაძის პერიოდიდან დაიწყო. ყველა არჩევნებში აქ მცხოვრებ ხალხს მოისყიდდნენ ხოლმე. მრცხვენია, ამ სიტყვებს რომ ვამბობ და ჩემს ხალხს ვამხელ, მაგრამ სიმართლე ხომ უნდა ითქვას?! მეკითხებით, რა ხდება სამეგრელოშიო და სირცხვილით ვკვდები, რა გითხრათ, არც კი ვიცი. **ზვიად გამსახურდიას აუგად მომხსენიებელი ვიღაც გადამთიელი ქალი მეგრელების მხარდაჭერას ითხოვს და თანაც, ეჭვი არ ეპარება, რომ გაიმარჯვებს, რაც ამ არჩევნებში დადასტურდა კიდეც. მან იმდენი ხმა მოიპოვა, რომ მეორე ტური შეიქნა საჭირო.**

მაგიჟებს იმაზე ფიქრი, ჰოლანდიელმა ქალმა ზვიადის აუგად ხსენება როგორ გაბედა ან როგორ მივუტევებთ ამ საქციელს ჩვენ. საქმე ის არის, რომ აქ, სოფლებში მედიისგან საკმარის ინფორმაციას ვერ იღებენ ადამიანები, სამაგიეროდ, ინფორმაციას პოლიტიკოსები არ ამადლიან, განსაკუთრებით — ნაციონალები, რომლებიც ხშირად სტუმრობენ ყველაზე მიყრუებულ სოფლებს და ხალხს ტყუილებს უებნებიან.

რამდენიმე დღეში მეორე ტურია, ერთმანეთს „ოცნების“ კანდიდატი **ედიშერ თოლორაია** და „ნაციონალების“ კანდიდატი **სანდრა რულოვსი** უპირისპირდებიან. მინდა, ვირწმუნო, რომ ზუგდიდელები გონს მოეგებიან და სწორ არჩევანს გააკეთებენ. მე, როგორც ერთი რიგითი ქართველი, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ხალხს თვალი ავუხილო და სწორ გზაზე დავაყენო. **ერთი ხმაც კი, მიცემული სანდრა რულოვსისთვის, სიცოცხლის რამდენიმე წელს წამართმევს, გულის ნაწილს მომგლეჯს.**

**— რატომ ხართ ასეთი გაბრაზებული ნაციონალებზე? ზუგდიდში ამბობენ, რომ საკაშვილმა მათთვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა...**

— მე ნაცებზე კი არ ვარ გაბრაზებული, ჩემს სამშობლოზე, ჩემს მიწა-წყალზე ვარ შეყვარებული და მისთვის საუკეთესო მემეტება. **არავინ მინდა ისეთი, ვინც ამ ხალხს, ამ მიწას შეურაცხყოფს. არ მინდა, ჩემი ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები ვიღაცამ აუგად მოიხსენიოს, საფლავები წაბილწოს, ისტორია დაამახინჯოს და წარსული დაგვავიწყოს.**

ისე ვიცხოვრე, ჩემკენ თითს ვერავინ გამოიშვერს და იტყვის, რომ რაიმე შეცდომა დამიშვია, ახალგაზრდობიდანვე ეროვნულ მოძრაობაში ვიყავი, ეროვნულ მთავრობას ვუჭერდი მხარს და დღესაც მაქვს ამბიცია, რომ ეროვნული, უფლის მოშიში კაცი ვარ. ვცდილობ, ადგილობრივ ხელისუფლებაში მყოფებს შეცდომებზე მივუთითო, შეცდომის დაშვების უფლება არ მივცე.

**მას შემდეგ, რაც სანდრა რულოვსის მაჟორიტარობის ამბავი შევიტყვე, კარდაკარ დავდივარ და ყველას ვეუბნები, რომ მისთვის ხმის მიცემა სამშობლოს ღალატის ტოლფასია.**

გული მწყდება, ჩვენს ქვეყანას პატრონი რომ არ გამოუჩნდა და, თუ ვინმე გამოჩნდა, მოკლეს, ქვეყნიდან გააძევეს და ახლა უცხოტომელების, ბოკერიებისა და მისნაირი ურჩხულების ხელში ვართ დარჩენილი. ვოცნებობ ეროვნულ მთავრობაზე, მცირე წინსვლაც კი მახარებს, მსიამოვნებს, როდესაც კარგ სიტყვას მოვისმენ, მსიამოვნებს, თუკი ვინმე იტყვის, რომ ქართველის სიცოცხლე და მომავალი ძვირად ულირს.

**— მეორე ტური მალე ჩატარდება. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?**

— ფაქტია, „ნაცები“ დიდ გულზე არიან, ისიც ფაქტია, რომ მათ ამომრჩეველი ნამდვილად ჰყავთ და თანაც — არამხოლოდ სამეგრელოში. მათ მუშაობაც შეუძლიათ, ფულიც ბევრი აქვთ, დევნილები მხარს უჭერენ, ზუგდიდში სოფელი არ არის დარჩენილი, სადაც დევნილები არ არიან მიწერილები, მათი მისამართები ნაცებმა იციან. გალის რაიონიდან გადმოჰყავთ საარჩევნოდ ბევრი ამომრჩეველი, საუკეთესო ცხოვრებას ჰპირდებიან, ხელისუფლებაში მოსვლით იმუქრებიან და ეს ინფორმაციას მოკლებული ხალხიც იჯერებს მათ ნათქვამს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **მოსახლეობის გარკვეული, არცთუ ცოტა, რაოდენობა, ფულზე იყიდება, მრცხვენია, მაგრამ ეს უნდა ვაღიაროთ და ხმამაღლა ვთქვათ.**

**— არასამთავრობო ორგანიზაციები მოსახლეობას მოუწოდებენ, რომ მეორე ტურში მხარი ოპოზიციის კანდიდატებს დაუჭირონ, რათა ერთი პარტიის ხელში არ აღმოჩნდეს კონსტიტუციის ბედი. რა ვითარებაა ზუგდიდში?**

— **დიდი იმედი მაქვს, რომ ზუგდიდში მეორე ტურს „ქართული ოცნება“ მოიგებს.** ხალხი მობილიზებულია, გონსაც მოეგნენ. ისინი, ვინც პირველ ტურში არჩევნებზე არ მივიდა, ახლა აპირებენ, მონაწილეობა მიიღონ, გარდა ამისა, სხვა პარტიების მხარდამჭერებიც „ოცნების“ კანდიდატს დაუჭერენ მხარს. ასე რომ, ღმერთი არ გაგვწირავს.

ძნელია, ხალხის აზრი გაიგო, შესაძლოა, სხვანაირად ლაპარაკობენ და სხვა გადაწყვეტილება მიიღონ, მაგრამ მაინც **დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი მოიგებს.**

**წარმოშობით სოფელ კორცხელიდან ვარ, იქ ნაციონალების ბუდეა, მაგრამ 8 ოქტომბერს არჩევნებში დამარცხდნენ. იყო დრო, როდესაც სირცხვილად ითვლებოდა კორცხელის ხსენება, ახლა ვამაყობ — ამ სოფლის მოსახლეობამ თავისი სათქმელი თქვა და მჯერა, კიდევ ერთხელ იტყვის, კორცხელში მცხოვრებნი დაამტკიცებენ, რომ მათთვის სამშობლო და მისი კეთილდღეობა უმთავრესია.**

თქვენი გაზეთის საშუალებით ზუგდიდელებს მივმართავ: ნუ გაწირავთ მომავალ თაობას, ცოდვაში ფეხს ნუ ჩადგამთ. ორი კაპიკისთვის ქვეყანას ნუ გაყიდით, ფული დამთავრდება, შაქარი და ფქვილი გამოილევა და ჩვენ კიდევ ოთხი წელი ჯოჯოხეთში მოგვიწევს ცხოვრება. ვიფიქროთ იმაზე, რომ მეგრელებმა როგორღაც სირცხვილი ჩამოვირეცხოთ, სირცხვილი, რომელიც ნაცებმა ჩვენდა უნებურად მოგვცხეს. აქ ზვიად გამსახურდიას მიწა-წყალია, აქ მისთვის ხალხი თავს წირავდა, ახლა ამ უსამშობლო ხალხისთვის ნუ გადავიკიდებთ დანარჩენ საქართველოს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## ორი კაპიკისთვის ქვეყანას ნუ გაყიდით, ფული დამთავრდება, შაქარი და ფქვილი გამოილევა და ჩვენ კიდევ ოთხი წელი ჯოჯოხეთში მოგვიწევს ცხოვრება. ვიფიქროთ იმაზე, რომ მეგრელებმა როგორღაც სირცხვილი ჩამოვირეცხოთ, სირცხვილი, რომელიც ნაცებმა ჩვენდა უნებურად მოგვცხეს

## «მაგიჟებს იმაზე ფიქრი, ჰოლანდიელმა ქალმა ზვიადის აუგად ხსენება როგორ გაბედა ან როგორ მივუტევებთ ამ საქციელს ჩვენ»





# ინგლისის ბანკის ინდექსი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა

**ინგლისის ბანკის ინდექსი, რომელიც ბრიტანეთის სავაჭრო პარტნიორების ვალუტის კალათაში გირვანქა სტერლინგის შეფარდებას აღნიშნავს, რეკორდულად დაეცა. ინდექსმა 73.38 პუნქტამდე დაიწია.**

„ფაინენშელ თაიმსის“ ინფორმაციით, ასეთი მაჩვენებელი გაერთიანებულ სამეფოში ბოლოს 168 წლის წინათ აღინიშნა. მსგავსი კრიტიკული პერიოდი ბრიტანულ ვალუტას 1930-იან წლებშიც არ ჰქონია, როდესაც ქვეყანამ ოქროს სტანდარტზე უარი თქვა. როგორც ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, თუ ბრიტანეთი ევროკავშირში არ დარჩება, შესაძლოა, ფრანკფურტმა ლონდონს ევროპის უმსხვილესი საფინანსო ცენტრის სტატუსი ჩამოართვას.



# რუსეთმა, შესაძლოა, თურქეთს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები მიაწოდოს

**რუსეთი თურქეთისთვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდების საკითხს განიხილავს. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.**

„არ შემიძლია კონკრეტულ დეტალებზე ვისაუბრო, მაგრამ სამხედრო ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის საკითხი პრეზიდენტ პუტინისა და ერდოღანის მოლაპარაკების დღის წესრიგში ნამდვილად იყო; ნახსენები იყო რამდენიმე სახეობის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. თუ თურქული მხარის სურვილი იქნება, რა თქმა უნდა, თურქეთისთვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდება შეგვიძლია, ეს კომერციის საკითხია“, — აღნიშნა პესკოვმა.

ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ზოგიერთი პარტია და მისი ლიდერ-წევრები ბოღმითა და სისულელით იქამდეც კი მივიდნენ, რომ თავის ამომრჩეველს მოუწოდეს, ხმა ნაციონალებს მისცენ, რათა ქვეყანაში არ წარმოიქმნას ახალი ურჩხული — საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართული ოცნების“ სახით... ალბათ, სწორედ ბოღმა უბნელებს მათ გონებას იმის გასათვითცნობიერებლად, რომ 50-დან, დავუშვათ, 10 ოლქშიც კი ნაციონალების კანდიდატებმა რომ მოიგონ არჩევნები, ეს მართლა როგორ ურჩხულს წარმოშობს სამომავლოდ.**

**ამ არჩევნების შედეგებით ქართველმა ხალხმა შეურაცხყოფა მომაყენა და ამიტომ მე წავალ ხაშურიდანო! — განაცხადა ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ვალერი გელაშვილმა....**
**— ამ არჩევნების შედეგებს არ ვცნობ, შეურაცხყოფილი ვარ, მაგრამ არსადაც არ მივდივარ პოლიტიკიდან, ვრჩები! — რიხიანად განაცხადა ანი მიროტაძემ...**

# საკონსტიტუციო მაიმუნობა, ანუ მოეწონება თუ არა «ბონდოს» თავისი საქციელი?




**2012 წელს «ქართულმა ოცნებამ» ამომრჩეველთა 60 პროცენტის ხმა მიიღო, მაგრამ საკონსტიტუციო უმრავლესობა — ვერა. 2016 წელს კი უკვე 48-პროცენტიანი, ანუ მთელი 12 პროცენტით ნაკლები ნდობის მქონე «ოცნებას» აუცილებლად ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა**

კიდევ კარგი, ანი რჩება, თორემ ვალერას წასვლამ ლამის სულით დამაგდო.

ასეა, ბოლომდე მაინც არ წირავს ხოლმე ღმერთი საქართველოს...

ანი რჩება, გუბაზაც...

აი, ამ ირონიულ-სავალალო შესავლით შეიძლება ამომწურავად შევაფასოთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. ზოგს ლამის მთელი ცხოვრება პარლამენტში ყოფნა ისე გაუტკბა და ზოგს კი არაფრიდან უცებ რომ აიღეს და პარლამენტში დადეს, ისე „ბუნებრივ“ ამბად ეჩვენება უკვე, რომ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თავიანთ გარეშე ველარ წარმოუდგენიათ.

საზოგადოდ, **ეს „წასვლით“ დამუქრება ან „დარჩენით“ მოსახლეობის დამშვიდება ისეთ მოდურ ტენდენციად იქცა ქართულ პოლიტიკაში, გეგონება, სულ ციცერონების, კატონებისა და გრაკხუსების ცვენა გვქონდეს, რომ ხალხს ან მათ წასვლაზე დასწყდეს გული, ან კიდევ მათი დარჩენა რამედ ულირდეს...**

რა თქმა უნდა, ნებისმიერ მკითხველს შეუძლია ირონიულად მითხრას — შენ თვითონ რატომღა იყრიდი კენჭს მაჟორიტარ კანდიდატადო?

პასუხი მარტივია: — მე არასოდეს მითქვამს, გინდა თუ არა ჩემს უბანში დავანგრევ ყველას და არჩევნები ასპროცენტიანი მოგებული მაქვსმეთქი და არც ახლა ვაწრიალებ ქვეყანას, — არიქა, გამიყალბეს და ხმები მომპარესო!

მე, უბრალოდ, სამომავლოდ შესაძლო გამოსადეგი გამოცდილება მივიღე და ეგ იყო.

არადა, დედას გეფიცებით, არჩევნების წინ, ვინც კი ვნახე უბანში, ყველამ მითხრა, — რას ამბობ, რაზეა ბაზარი, აუცილებლად შენ გაძლევ ხმასო.

ზუსტად მაქვს ყველაფერი დათვლილი, მათგან:

**234-მა შვილები დაიფიცა!**
**456-მა კეთილები დაიგინა!**
**ხოლო 884-მა სულაც „ბოიშვილი ვიყო“-ო, —თქვა!**

მე კი საბოლოოდ, სულ რაღაც, 137 ხმა მივიღე!

ეს არ არის გაყალბება? როგორ, ამ 137-ის გარდა, დანარჩენებმა „შეიწერეს“? ასე რომ, ფაქტია, გამიყალბეს. ამიტომ მოვითხოვ, ხელახლა გადაითვალოს ყველა ბიულეტენი. დარწმუნებული ვარ, 78 პროცენტი მაქვს აღებული.

არა, მე კი ვხუმრობ, მაგრამ ზოგიერთი „დიდი პოლიტიკოსის“ იმიჯის მქონე ქალი და კაცი ამ ტიპის ძალიან არასერიოზული „არგუმენტებით“ სერიოზულად რომ ითხოვს მთელი საქართველოს შედეგების ხელახლა გადათვლას, ვითომ ეს სასაცილოა?

არადა, ნამდვილად არ ვიჩემებ „ვანგობას“ და „ნოსტრადამუსობას“, მაგრამ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ჩემთვის უკვე ნათელი იყო, რომ ბიძინა ივანიშვილი 2016 წლის არჩევნებში აუცილებლად ჩაატარებდა ერთგვარ ფოკუსმოკუსს სახელწოდებით „საკონსტიტუციო უმრავლესობა“. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამას საკონსტიტუციო მაიმუნობა უფრო ჰქვია და ბიძინა ივანიშვილის ზნეობრივი კრიტერიუმის მქონე ადამიანისგან სულაც არ არის მოულოდნელი.

სწორედ მაშინ, **ერთ-ერთ ინტერვიუში, როდესაც ივანიშვილს ჰკითხეს, „ქართული ოცნება“ რეიტინგს კატასტროფულად კარგავს და რას აპირებთ 2016 წლის არჩევნებზეო, პირდაპირ და უდარდელად წამოსცდა, — 2016 წელს „ოცნება“ საკონსტუტუციო უმრავლესობას მოიპოვებსო.**

ფოკუს-მოკუს-მაიმუნობა კი შემდეგში მდგომარეობს: **2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა 60 პროცენტის ხმა მიიღო, მაგრამ საკონსტიტუციო უმრავლესობა — ვერა. 2016 წელს კი უკვე 48-პროცენტიანი, ანუ მთელი 12 პროცენტით ნაკლები ნდობის მქონე „ოცნებას“ აუცილებლად ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა.**

ვიდრე ბიძინას „დიადი ნიჭით“ აღფრთოვანებულთა ყიჟინას მოვისმენდეთ, ყველას შევახსენებ, რომ ეს „ფოკუსი“ მათ ბელადს სულაც არ მოუგონია. ის, უბრალოდ, ბოროტად იყენებს მისი წინამორბედი ბელადის — **ედუარდ შევარდნაძის** დანერგილ და **მიხეილ სააკაშვილის** მიერ ასევე ეფექტიანად ათვისებულ „ფოკუსებს“, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს სწორედ არსებული მახინჯი მაჟორიტარული არჩევნების სისტემა, რომლის გამოც, 30-40-პროცენტიანი ნდობის შემთხვევაშიც კი, მმართველ და გამარჯვებულ პარტიას შეუძლია პარლამენტში არსებული ადგილების 70-80 პროცენტი და მაშასადამე, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს...

ამის შესახებ დაწვრილებით უკვე ვწერდი ჩვენი გაზეთის წინა ნომერში და დეტალების განხილვით თავს აღარ შეგაწყენთ.

დღევანდელ წერილში უფრო იმას მივაქცევ ყურადღებას, როგორ ცდილობენ ოპონენტები, ბიძინა ივანიშვილი „ნამუსზე“ ააგდონ და შეუძახონ, რომ ასეთ ვითარებაში და, საზოგადოდაც, საკონსტიუტუციო უმრავლესობის აღება „ცუდი საქციელია“.

სხვა არგუმენტი ბიძინა ივანიშვილის ოპონენტებისგან, ფაქტობრივად, ვერ მოვისმინე.

რა თქმა უნდა, „ნაციონალურ მოძრაობაზე“ საუბარიც არ მაქვს, რადგან **ნაცებისგან განგაშის ზარის შემოკვრა, — არიქა, როდესაც „ოცნება“ და გინდა, საერთოდ, ვინმე, საკონსტიტუციო უმრავლესობას იღებს, დემოკრატიის დასამარება და სახელმწიფოს კატასტროფააო, — ძალიან სასაცილო უტიფრობაა.**

არავის სჭირდება იმის შეხსენება, რომ, რაც კი საქართველოს კონსტიტუციას უბედურება სჭირს, სწორედ ნაცებისდროინდელი საკონსტიტუციო უმრავლესობის „კანონშემოქმედების“ შედეგია...

მე აქცენტს სწორედ იმ პარტიებზე გავაკეთებ, რომლებიც „ნაცმოძრაობასაც“ ერჩიან და არც „ოცნება“ ეხატებათ გულზე. **რა ღონეს მიმართეს მათ განვლილი ოთხი წლის განმავლობაში იმისათვის, რომ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ მოეპოვებინა? მხოლოდ და მხოლოდ, როგორც ზევით აღვნიშნე, „ნამუსზე აგდების“ მეთოდს, რომელიც პოლიტიკაში დიდი ვერაფერი შედეგის მომტანია.**

უფრო ნათლად რომ დავხატოთ სიტუაცია, ერთ ძველ ანეკდოტს მოგიყვებით:

ნარკომანი მაგარ კაიფშია და რატომღაც ბანკში შევა. უცებ ბანკში შევარდება მძარცველი და ყვირის: „მე ბონდო ვარ, ცნობილი მძარცველი, ვინც არ მემორჩილება, ყველას ვკლავ! დაწექით ყველა! მე ოცდახუთი ბანკი გავძარცვე, ჩვიდმეტი ადამიანი მოვკალი! თორმეტი მანქანა ავაფეთქე, რვა ბანკში ბომბი შევაგდე, არავის ვინდობ, იცოდეთ! დაწექით ყველა!“

ბანკში მყოფები შიშით იზაფრებიან და იატაკზე წვებიან. ნარკომანი კი ნელა შემოტრიალდება, მძარცველის მიმართულებით ხელებს გაშლის და წყნარი ტონით ეკითხება:

— მერე, მოგწონს, ბონდო, ახლა შენ შენი საქციელი?

ზუსტად ამ ნარკომანს ჰგავნან „ბურჯანაძე-დემოკრატები“, „ალასანია-დემოკრატები“, რესპუბლიკელები და სხვები, რომლებიც ცდილობენ, ბონდოს, ანუ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ძალიან ბევრი უნახავს, ძალიან ბევრი კონკურენტი ჩამოუშორებია, არც უზნეობაზე დაუხევია უკან და ყოველთვის ნებისმიერი მეთოდით ცდილობს, თავისი გაიტანოს, პასუხი მოსთხოვონ კითხვაზე — მოსწონს თუ არა მას თავისი საქციელი?

**ზოგიერთი პარტია და მისი ლიდერ-წევრები ბოღმითა და სისულელით იქამდეც კი მივიდნენ, რომ თავის ამომრჩეველს მოუწოდეს, ხმა ნაციონალებს მისცენ, რათა ქვეყანაში არ წარმოიქმნას ახალი ურჩხული — საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართული ოცნების“ სახით...**

ალბათ, სწორედ ბოღმა უბნელებს მათ გონებას იმის გასათვითცნობიერებლად, რომ 50-დან, დავუშვათ, 10 ოლქშიც კი ნაციონალების კანდიდატებმა რომ მოიგონ არჩევნები, ეს მართლა როგორ ურჩხულს წარმოშობს სამომავლოდ.

კიდევ უფრო იოლი შემთხვევაა ის პარტიები, რომლებმაც ასევე ბოღმის საფუძველზე, მართალია, მთლად ნაცების მხარდაჭერა ვერ იკისრეს, მაგრამ საკუთარ ამომრჩეველს მოუწოდეს, მეორე ტურში მონაწილეობა არ მიეღოთ.

საბედნიეროდ, ასეთი პარტიების ამომრჩეველთა ჯამური პროცენტიც კი ვერ ცდება სამპროცენტიან ნიშნულს და არა მგონია, მათ კიდეც რომ დაუჯერონ თავიანთ ლიდერებს, რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ არჩევნების მეორე ტურის საბოლოო შედეგზე.

პირდაპირ ვამბობ: საკონსტიტუციო უმრავლესობა კი არა, სულაც ხელმწიფე-იმპერატორის ტიტულიც რომ მოიპოვოს ბიძინა ივანიშვილმა არჩევნების მეორე ტურის შედეგების მიხედვით, ნაცებისთვის ხმის მიმცემი მაინც არ ვარ და არ არც შინ დამრჩენი ვარ! მიუხედავად ჩემი სასტიკად ნეგატიური დამოკიდებულებისა კოაბიტირებული მმართველი პარტიის მიმართ, არჩევნების მეორე ტურზე მივალ და „ქართულ ოცნებას“ შემოვხაზავ!

არავის ეგონოს, არ მესმოდეს აზრი და მნიშვნელობა მთავარი კითხვისა — როგორ გამოიყენებს „ქართული ოცნება“ იმ საკონსტიტუციო უმრავლესობას, რომელიც მას, შეიძლება ჩაითვალოს, რომ უკვე მოპოვებული აქვს, მიუხედავად დაბოღმილი ლიდერების უაზრო მოწოდებებისა. რა თქმა უნდა, ამ კითხვას ახლავს გარკვეული ლეგიტიმური ეჭვი და შიში.

ისიც კარგად მესმის, რომ არაჯანსაღია „ბონდოს“ თაყვანისმცემელთა სრულიად ტუტუცური მტკიცებაც, — აქაოდა, ივანიშვილი ძალიან ჭკვიანი, კეთილი და პატრიოტი „ბიძიაა“ და მის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობა „ხიხია“ არ არისო. ეს სრული აბსურდია და, სამწუხაროდ, **ასეთ ადამიანებს ჯერ კიდევ სჭირდებათ ახსნა, რომ რეალური დემოკრატიის პირობებში საკონსტიტუციო უმრავლესობის ასეთი მეთოდებით მოპოვება, უბრალოდ, უხერხულია, სულაც ანგელოზმა და წმინდანმაც რომ მოიპოვოს ის.**

არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: თუ რეალური დემოკრატია გვსურს, მაჟორიტარული სისტემა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს და ნებისმიერი სახელისუფლო ძალისთვის საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას, თუ, საერთოდ, შეუძლებელს არ გავხდით, ამისათვის ძალიან დიდი ჯაფა მაინც უნდა დადგეს ხოლმე. ასე იოლად და უტიფრად საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება არ უნდა იყოს შესაძლებელი. **გამარჯვებულმა ძალამ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის შიგნით, მრავალპარტიულ პარლამენტში, უნდა იმუშაოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა თანხმობის მისაღებად და ქუჩიდანვე „კონსტიტუციის შემცვლელის“ სტატუსით არ შედიოდეს პარლამენტში.**

რადგან უკვე ფაქტის წინაშე ვდგავართ, თავი იმით მაინც ვინუგეშოთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ სასტიკად დამახინჯებული საქართველოს კონსტიტუციის კვლავ აზრზე მოყვანას იქნებ სწორედაც სჭირდებოდეს და იქნებ სულზეც კი მიუსწროს „ქართული ოცნების“ თუნდაც უტიფარი და მიუღებელი მეთოდებით მოპოვებულმა საკონსტიტუციო უმრავლესობამ...

ასეა თუ ისე, 2020 წელს ჩვენთვის, ქართველი საზოგადოებისთვის, ყველაფერი ნამდვილად ნათელი იქნება...

ნათელი იქნება ისიც, მოეწონება თუ არა „ბონდოს“ ოთხი წლის შემდეგაც თავისი საქციელი?

**ევროპელმა დამკვირვებლებმა მალე შენიშნეს ერთი უცნაური ფაქტი: მართალია, ქართველი პოლიტიკური ლიდერები ვერაფრით თანხმდებიან, საით არის რეალურად ევროპა და ევროპისკენ რომელი მათგანის მიმართულებაა სწორი, მართალია, ისინი ევროპად სრულიად სხვადასხვა მიმართულებას ასახელებენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა მათგანმა ზუსტად იცის, საით, რომელი მიმართულებით და რომელ მხარეს არის პუტინი.**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სად არის ევროპა?




**ეს კითხვა უკვე სერიოზულად აშფოთებთ როგორც ქართველ, ასევე თვითონ უცხოელ, კერძოდ, ევროპელ ექსპერტებს. საქმე ის არის, რომ განგაში ევროპაში სწორედ საქართველოდან ატყდა და ამ განგაშის წამომწყები ის ევროპელი დამკვირვებლები არიან, რომლებიც საქართველოში არჩევნების პროცესს აკვირდებოდნენ.**

მოვლენები კი ისე განვითარდა, ვიღას ეცალა არჩევნების დასაკვირვებლად. უცხოელი დამკვირვებლები პირველად იმან გააკვირვა, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების ლიდერები სათითაოდ მიდიოდნენ მათთან და საიდუმლოდ ეუბნებოდნენ, — ჭეშმარიტი პროევროპელები მხოლოდ ჩვენი პარტიის მხარდამჭერები არიან, სხვა ყველა პარტია სინამდვილეში რუსეთის შენიღბული მომხრეაო.

მათი ასეთი უცნაური საქციელით გაკვირვებულმა ევროპელებმა არჩევნების დაკვირვებას თავი დაანებეს და ამ პარტიების ლიდერების სრულიად უაზრო განცხადებებზე დაიწყეს დაკვირვება.

სწორედ ამან გამოიწვია პანიკა ევროპელებში. მათ შენიშნეს, რომ თითოეული ქართული პოლიტიკური პარტიის ლიდერი საკუთარ ამომრჩეველს ევროპისა და ევროპელობისკენ მოუწოდებდა, თუმცა ყოველი მათგანი სხვადასხვა მიმართულებით ექაჩებოდა მხარდამჭერებს.

„ჩვენ წაგიყვანთ ევროპისკენ!“ — ამ ერთი და იმავე ლოზუნგის წარმოთქმის შემდეგ ხსენებული პარტიები აბსოლუტურად სხვადასხვა მხარეს იწყებდნენ მოძრაობას და ცდილობდნენ, ქართველი საზოგადოებაც იმ მიმართულებით წაეყვანათ.

რაც მთავარია, ეს მიმართულება არ იყო არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი, არც სამხრეთი და მით უმეტეს — არც ჩრდილოეთი.

ქართული პოლიტიკური ლიდერები რაღაც გაურკვეველი, მხოლოდ მათთვის ცნობილი მიმართულებით მოუთითებდნენ „ევროპისკენ“, ხოლო ზოგი მათგანი, სულაც, ზეცისკენ იშვერდა ხელს და ამტკიცებდა, — ევროპა სწორედ აქეთ არის, წამოდით, მხოლოდ მე შემიძლია ევროპაში შეგიყვანოთო.

ამ ფონზე ევროპელ დამკვირვებლებს ნერვული აშლილობა დაეწყოთ, — რაღაც მოჯადოებულ მხარეში მოვხვდით და იქნებ მართლა ველარც გავარკვიოთ, საით არის ევროპა და შინ ველარც დავბრუნდეთ ვერასოდესო!

ასე დაპანიკებული და დაბნეული ევროპელი დამკვირვებლები ისევ და ისევ **ვლადიმერ პუტინმა** იხსნა, უფრო ზუსტად, ისინი გონს მოიყვანა და სერიოზული დეპრესიისგან იხსნა რუსეთის პრეზიდენტის არსებობამ. საქმე ის არის, რომ **ევროპელმა დამკვირვებლებმა მალე შენიშნეს ერთი უცნაური ფაქტი: მართალია, ქართველი პოლიტიკური ლიდერები ვერაფრით თანხმდებიან, საით არის რეალურად ევროპა და ევროპისკენ რომელი მათგანის მიმართულებაა სწორი, მართალია, ისინი ევროპად სრულიად სხვადასხვა მიმართულებას ასახელებენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა მათგანმა ზუსტად იცის, საით, რომელი მიმართულებით და რომელ მხარეს არის პუტინი.**

ანუ დაბნეულ ევროპელ დამკვირვებლებს, თუკი ისინი ქართველ პოლიტიკურ ლიდერებთან ურთიერთობისას ვერ გაარკვევენ, საით არის მათი სამშობლო ევროპა, ამ შემთხვევაში შეუძლიათ ჰკითხონ მათ, საით არის პუტინი?

ასეთ კითხვაზე ყველა ქართველი პოლიტიკოსი ერთხმად მხოლოდ ერთი და იმავე მხარეს მიუთითებს.

ასეთი მეთოდით ევროპელ დამკვირვებლებს უკვე თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ ჩრდილოეთის მიმართულება, რადგან ყველამ იცის, რომ პუტინი, კრემლი და მოსკოვი ჩრდილოეთშია.

ხოლო თუ იცი, სად არის ჩრდილოეთი, მეექვსე კლასის გეოგრაფიის ცოდნაც საკმარისია იმისთვის, რომ დაადგინო, საით არის დასავლეთი, ანუ ევროპა.

აი, ამ აღმოჩენის შემდეგ ევროპელი დამკვირვებლები დამშვიდდნენ, თავდაპირველი სტრესიდანაც გამოვიდნენ და უკვე აუღელვებლად განაგრძეს ქართული არჩევნების დაკვირვება.

ხოლო იმ შემთხვევისთვის, თუ პოლიტიკური ლიდერების ტუტუცობით დაბნეული რომელიმე უბრალო მოქალაქე, ანუ ჩვეულებრივი ამომრჩეველი ჰკითხავს ევროპელ დამკვირვებლებს:

— თქვენი ჭირიმე, თქვენ მაინც გვითხარით, საით არის ევროპა, თორემ ეს ჩვენი ლიდერები სულ სხვადასხვა მხარეს გვითითებენო, დიპლომატიაში გამოცდილ ევროპელ დამკვირვებლებს ნეიტრალური პასუხიც უკვე ნასწავლი აქვთ. რათა არც ერთი „პროევროპელი“ პოლიტიკური ლიდერის უკმაყოფილება არ გამოიწვიონ, ისინი ქართველ ამომრჩეველს შეწუხებულ-შეშფოთებული, მზრუნველი სახით პასუხობენ:

— ვაიმე, არ ვიცი, ძმაო, მე ამ უბნელი არ ვარ!

**ვაჟა გადირია**

# მეგის, ირინასა და «იმის» ოდესური თავგადასავალი

## (გაგრძელება)

**წინა ნომერში შემოგთავაზეთ მასალა მეგის, ირინასა და „იმის“ საიდუმლო ვიზიტის შესახებ ოდესაში. როგორც იცით, ყოველივე იმით დასრულდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა მათ ბიძინა ივანიშვილისთვის გაკეთებული ჯადოს უხარისხობაში დასდო ბრალი და კაბინეტიდან გამოაძევა. სამივე უმოწყალოდ ჩამოყარეს ავტობუსის გაჩერებაზე და მიატოვეს. ჩვენს ძალიან ცნობისმოყვარე კორესპონდენტს რაღა მოასვენებდა და კვალდაკვალ მიჰყვა მათ.**

*ოდესა. 16:00 საათი.* თოვს, ქარი ზუზუნებს, კაბინეტიდან გამოძევებული სამეული გზას ავტობუსის გაჩერებისკენ იკვალავს. ირინემ ჩანთიდან ამოიღო სახლში მომზადებული სამი ბუტერბროდი, გაუნაწილა თანამოაზრეებს. ცოტა დანაყრდნენ.

— ცოტა დავაცადოთ და მერე კიდევ მოვუსინჯოთ კბილი, – თქვა მეგიმ და პურის ნამცეცები კაბიდან ჩამოიფერთხა.

— მაგისთანები მომითმენია და ამიტანია? — გააბოლა და ეშმაკურად ჩაიღიმა ირინამ.

„ის“ კი თვალებამღვრეული იჯდა და თითქოს სხვა სამყაროში იყო.

— აი, ავტობუსიც მოვიდა, — თქვა მეგიმ.

– ავტობუსი კი მოვიდა, მაგრამ თბილისში როგორ ჩავალთ? ერთი გზის ბილეთები გვქონდა... — უპასუხა ირინამ.

მეგიმ თავში ხელი შემოიტყა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაყარა და მეგობრებს უთხრა:

— აეროპორტამდე მივიდეთ და რამეს მოვიფიქრებთ.

ჩასხდნენ გოგონები ავტობუსში და გაუყვნენ გზას. ისხდნენ მობუზულები, თავჩაქინდრულები და ხმას არ იღებდნენ. მეგიმ ფანჯარაში გაიხედა და მოულოდნელად სიხარულით შეჰყვირა.

— იზვინიწე, ასტანავიწე, პაჟალუსტა! — უთხრა მძღოლს და მეგობრებს მოუწოდა, ავტობუსიდან ჩამოსულიყვნენ.

მძღოლმა შიშისგან ისე დაამუხრუჭა ავტობუსი, რომ სამივემ ერთმანეთს ახალა თავები.

„ის“, რომელიც აქამდე ჩუმად იყო, ირინას მიუბრუნდა:

– რა მოხდა, გოგო?

ირინა გაშეშებული იყურებოდა და ხმას არ იღებდა.

— გოგოებო, კეზერა დავინახე მალაზიასთან. ის გაგვიშვებს თბილისში, — თქვა მეგიმ და ნაბიჯს აუჩქარა.

— კეზეეერ, კეზეეერ! — ყვიროდა მეგი, ერთი-ორჯერ დაუსტვინა კიდეც.

როგორც იქნა, კეზერაშვილმა მოიხედა.

— კეზეერ, შენი ჭირიმე, როგორ გამახარე, ბიჭო, რამდენი ხანია, არ მინახავხარ. გაიცანი, ესენი ჩვენი ახალი „სასტავჩიკები“ არიან, – გააცნო მეგიმ თანამოაზრეები.

— სასიამოვნოა, ორივეს გიცნობთ შორიდან, აი თქვენზე კი ბევრი მსმენია, კარგად მუშაობთ, – უთხრა კეზერამ „იმას“.

„იმან“ შეიფერა: — დიდი მადლობა, ბატონო დავით, ჩემთვის დიდი პატივია თქვენნაირი ადამიანის ასეთი შეფასება.

— ბატონო დავით, მინდა გითხრათ, რომ, რაც კი ცუდი მიფიქრია თქვენზე, ყველაფერი უკან მიმაქვს, დანახვამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა, — ალაპარაკდა ირინა.

ამ მომენტში მეგიმ ფეხი მიარტყა ირინას ნიშნად იმისა, რომ გაჩუმებულიყო და ზედმეტი არაფერი წამოცდენოდა, მერე კი სიტუაციის განმუხტვა იუმორითა და ყალბი სიცილით სცადა:

— ხოო, ცოტა ნასვამები ვართ და... რო იცოდე, რა დაგვემართა, მოკვდები სიცილით. ბიჭო, დავლიეთ რესტორანში და საფულე დავკარგეთ, თბილისში ველარ მივდივართ, წარმოგიდგენია?

მეგიმ გადაიკისკისა, მაგრამ ამ კისკისის უკან დიდი სევდა და დარდი იმალებოდა. კეზერამ კი გოგონებს შესთავაზა:

— ახლა ჯიბეში არ მაქვს ფული, ანგარიშებიც გაყინული მაქვს და აქ ვერ ვანაღდებ, მოდი, მიშას დავურეკავ და ვეტყვი, დღევანდელი ღამე სასტუმროში გაგატარებინოთ, დილით მოვხსნი თანხას და ბილეთებს გიყიდით.

მეგი შეცბა — არ უნდოდა, გაეგო კეზერას, რა შეემთხვათ მიშასთან, ამიტომ უარი უთხრა და სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას.

— ფუუ, რა ჭირი ვქნათ ახლა? ღამდება უკვე, — შეწუხდა მეგი.

— რა ვქნათ და რომელიმე სადარბაზოს შევაფაროთ თავი, რა უნდა ვქნათ, დილა გათენდება და მოვიფიქრებთ რამეს.

რა უნდა ექნათ, დაეთანხმნენ ირინას. ერთ-ერთ სადარბაზოს შეაფარეს თავი, შემოიხვიეს შალი და მიიძინეს.

მოულოდნელად სადარბაზოში ვილაც შემოვიდა და ეს ვილაც, არც მეტი არ ნაკლები, მიხეილი იყო. შეხედა, იცნო და თქვა:

— ამ საცოდავებს, უყურე, სად დაუძინიათ. წამოდით, წამოდით, მაინც ჩემი სარჩენები ხართ, ჯანდაბას თქვენი თავი,— უთხრა ქალებს და საგუბერნატორო ოთახში დაუთმო ღამის გასათევი.

**— კეზეეერ, კეზეეერ! — ყვიროდა მეგი, ერთი-ორჯერ დაუსტვინა კიდეც.
როგორც იქნა, კეზერაშვილმა მოიხედა.
— კეზეერ, შენი ჭირიმე, როგორ გამახარე, ბიჭო, რამდენი ხანია, არ მინახავხარ. გაიცანი, ესენი ჩვენი ახალი «სასტავჩიკები» არიან, — გააცნო მეგიმ თანამოაზრეები.**

**(გაგარძელება, იმედია, იქნება)**

**გრიგოლ ინგაძე**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ შეეცდება თავისი ძალების კონცენტრაციას ტერორისტების „დედაქალაქების“ — მოსულისა და რაკას — გასათავისუფლებლად. ორივე სახელმწიფოს განზრახული აქვს, თავიანთ მიზნებს სამხედრო გზით მიაღწიონ და დიდად არ ცდილობენ, კრიზისი დიპლომატიური მეთოდებით მოაგვარონ. რუსეთს განზრახული აქვს, სირიაში თავისი საკითხები „დიპლომატიური კამათის“ გარეშე მოაგვაროს, აშშ კი მზად არ არის კონსტრუქციული დიალოგისთვის, იმის გამო, რომ პრეზიდენტ ობამას მალე ამოეწურება უფლებამოსილების ვადა.**

# უპილოტო ტანკი T-90 ხელოვნური «თვალებით»

**რუსულმა კორპორაციამ ტანკ T-90-ის უპილოტო ვარიანტისთვის „ტექნიკური მხედველობა“ შეიმუშავა. მისი დახმარებით ერთ ოპერატორს შეეძლება სატანკო ქვედანაყოფის მართვა.**

„T-90-ისთვის ჩვენ შევქმენით „ტექნიკურ მხედველობა“ და ტანკის გარე ზედაპირზე დამონტაჟებული ყველა მოწყობილობა — რადარები, მანძილმზომები, მულტისპექტრული ვიდეოკამერები და სხვ., გამოჩნდება სამეთაურო ტანკის დისპლეიზე ბრძოლის ველის ციფრული სურათის გამოსახულებით“, — განაცხადა კონცერნ „რადიოელექტრონული ტექნოლოგიების“ წარმომადგენელმა **ვლადიმერ მიხეევმა.**



„ტექნიკური მხედველობის“ საშუალებით რობოტიზებული ქვედანაყოფის ოპერატორი უკეთ გაერკვევა ტაქტიკურ ვითარებაში, ამოიცნობს მოწინააღმდეგის შეიარაღებას და გასცემს ბრძანებებს მიზნების გასანადგურებლად.

T-90 დღეს რუსეთის შეიარაღებული ძალების ძირითადი ტანკია, რომელიც 1992 წლიდან არის ექსპლუატაციაში. ტანკის მთავარი კონსტრუქტორის — ვლადიმერ პოტკინის გარდაცვალების შემდეგ, რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, T-90-ს ეწოდა „ვლადიმერი“.

2001-2010 წლებში T-90 ყველაზე პოპულარული ტანკი იყო მსოფლიოში — ეს საბრძოლო მანქანა ყველაზე მეტი რაოდენობით გაიყიდა.



**ტექნიკური მახასიათებლები:**
* საბრძოლო მასა — 46,5 ტ;
* კორპუსის სიგრძე — 6860 მმ;
* სიგრძე ქვემეხთან ერთად — 9530 მმ;
* კორპუსის სიგანე — 3780;
* სიმაღლე — 2230;
* ჯავშნის ტიპი — კომბინირებული, ჭურვსაწინააღმდეგო, აქტიური და დინამიკური დაცვითი სისტემები — „შტორა 1/1M“; „კონტაქტ-5“; „რელიკტი“.

**შეიარაღება:**
* ქვემეხი — გლუვლულიანი, 125 მმ კალიბრის;
* ღამისა და დღის ხედვის დასამიზნებელი მოწყობილობები;
* 2 ტყვიამფრქვევი;
* ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი „რეფლექს-M“-ი;
* ძრავის სიმძლავრე — 1000 ცხ.ძ.;
* მაქსიმალური სიჩქარე — 65 კმ/სთ.;

არსებობს T-90-ის რამდენიმე მოდიფიკაცია, რომელსაც ეკიპაჟის 3 წევრი მართავს.

# Stratfror-ი: უახლოეს თვეებში მოიმატებს სირიაში რუსეთისა და აშშ-ის სამხედრო შეჯახების რისკი

**ამერიკული კერძო სადაზვერვო-ანალიტიკური კომპანია Stratfror-ის ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ 2016 წლის ბოლომდე ძალიან მოიმატებს სირიაში რუსეთსა და აშშ-ის სამხედრო შეჯახების რისკი.**

ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ ცდილობს თავისი ძალების კონცენტრაციას ტერორისტების „დედაქალაქების“ — მოსულისა და რაკას — გასათავისუფლებლად. ორივე სახელმწიფოს განზრახული აქვს, თავიანთ მიზნებს სამხედრო გზით მიაღწიონ და დიდად არ ცდილობენ, კრიზისი დიპლომატიური მეთოდებით მოაგვარონ.

**რუსეთს განზრახული აქვს, სირიაში თავისი საკითხები „დიპლომატიური კამათის“ გარეშე მოაგვაროს, აშშ კი მზად არ არის კონსტრუქციული დიალოგისთვის, იმის გამო, რომ პრეზიდენტ ობამას მალე ამოეწურება უფლებამოსილების ვადა.** ვითარებაზე გავლენა აქვს, აგრეთვე, რეგიონულ სახელმწიფოებსაც, მათ შორის, **თურქეთს**, რომლის ჯარისკაცებიც შეეცდებიან სირიის სამხრეთში გადაადგილებას აშშ-ის საფარქვეშ და ეს მოხდება რუსეთთან შეტაკების ალბათობის მინიმიზებისთვის. **სპარსეთის ყურის** ქვეყნები, თავის მხრივ, შეეცდებიან, ხელი შეუშალონ **ირანს** მისი ინტერესების გატარებაში და გააძლიერონ თავიანთი სუნიტი სატელიტები რეგიონში.

უფრო ადრე თურქეთის ვიცეპრემიერმა **ნუმან კურთულმუშმა** განაცხადა, რომ მსოფლიო დგას ახალი რეგიონული ან გლობალური ომის ზღურბლზე. ანალოგიური რამ განაცხადა სირიის პრეზიდენტმა **ბაშარ ასადმაც.**



# სუპერკომპიუტერი რობოტების არმიის სამართავად



**რუსეთში შექმნეს უმძლავრესი კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია მართოს ნებისმიერი კომპანია-მწარმოებლის საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო რობოტოტექნიკური კომპლექსი.**

რუსეთის ხელსაწყოთმშენებლობის კორპორაციის განცხადებით, ამ კომპიუტერს შეუძლია სხვადასხვა სისტემის რობოტოტექნიკას, თითოეულს, მათ ენაზე „დაელაპარაკოს“; ამასთანავე, კომპიუტერი დიალოგს აწარმოებს უამრავ მანქანასთან, მიუხედავად იმისა, რომელი პროგრამული უზრუნველყოფით მოქმედებს ისინი.

კორპორაციის წარმომადგენლის თქმით, სისტემის „ტვინი“ არის თხევადი სილიკონური გაცივების მქონე სუპერკომპიუტერი, რომლის მწარმოებლობა შეადგენს 8 ტერაფლოპსს, რომელიც დაახლოებით 40 ყველაზე მძლავრი თანამედროვე ნოუთბუქის სიმძლავრეს შეესაბამება. სისტემას გადაადგილებაც შეუძლია — მოქმედებს ჯგუფური მართვის მოდერნიზებული მობილური კომპლექსის — „ვოლოგდის“ ბაზაზე, რომელიც დამონტაჟებულია ყველგანმავალი „კამაზის“ შასიზე.

# იარაღი, რომელიც მიზანს უჭურვოდ, ენერგიით ანადგურებს

**რუსეთმა შექმნა რადიოელექტრონული იარაღი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს და რომელსაც ჭურვის გაუსროლად შეუძლია მოწინააღმდეგის ტექნიკის დაზიანება, მათ შორის — მაღალი სიზუსტის იარაღის.**

**„უკვე შექმნილია ასეთი იარაღის პირველი ნიმუშები და გამოცდისას დადასტურდა მათი ეფექტიანობა“,** — განუცხადა „ხელსაწყომშენებელი კორპორაციების გაერთიანების“ წარმომადგენელმა საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“.

ასეთი იარაღის განსაკუთრებულობა არის ის, რომ მას **შეუძლია მოწინააღმდეგის ტექნიკის დაზიანება და მწყობრიდან გამოყვანა ტრადიციული ჭურვების გამოყენების გარეშე — მიმართული ენერგიით, ანუ არაპირდაპირი ზემოქმედებით თვითმფრინავების, უპილოტო საფრენი აპარატებისა და მაღალი სიზუსტის იარაღების ელექტრონულ მოწყობილობებზე.**

# კალიის ზომის უპილოტო მზვერავი საფრენი აპარატები

**ეს მინიატურული საფრენი აპარატი უდიდეს დახმარებას გაუწევს მეომრებს ანტიტერორისტული ოპერაციების დაწყების წინ. რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთვის იქმნება საწარმოო ხაზი, რომელიც სადაზვერვო და ანტიტერორისტულ ოპერაციებში გამოსაყენებლად მინი უპილოტო საფრენ აპარატებს გამოუშვებს.**



ახალი უპილოტო საფრენი აპარატები ზომითა და დანიშნულების მიხედვით სხვადასხვანაირი იქნება და მათ გამოიყენებენ ამინდის, ლანდშაფტისა და დასახული ამოცანების გათვალისწინებით, ამასთანავე, ერთ-ერთი უპილოტო საფრენი აპარატი კალიის ზომისაა — ის ხელისგულზე თავსდება.

აპარატი უხმაუროა და შეიძლება გამოყენებულ იქნას საძიებო-სამაშველო ოპერაციებში, სამრეწველო და სამხედრო ობიექტების დასაცავად და სხვა მიზნებისთვის. აღჭურვილია ვიდეოთვალით და შეუძლია, ოპერატორს რეალურ დროში გადასცეს მაღალხარისხიანი ვიდეოგამოსახულება.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

„სექსუალური სურვილები ცვალებადია, ჰომოსექსუალური ლტოლვა არ არის „ჩადებული ბუნებაში“, ის, რომ „გეები ასეთებად იბადებიან“, არის მითი. გრძნობები ვერ მოერევა ნებისყოფას (საქციელი — ეს არის არჩევანი, ადამიანი ვალდებული არ არის დაემორჩილოს ნებისმიერ გრძნობას, განსაკუთრებით — სექსუალურს), არგუმენტი, რომ „ადამიანები ჰომოსექსუალებად იბადებიან“, პოლიტიკურია და არა მეცნიერული. სექსუალური ორიენტაცია ცვალებადია ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ჰომოსექსუალად არ იბადებიან — მეცნიერებმა უარყვეს ლგბტ-აქტივისტების ძირითადი არგუმენტი

**ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მთავარმა მკვლევარმა და ლესბოსელთა უფლებების დამცველმა აღიარა, რომ ჰომოსექსუალები „ასეთებად არ იბადებიან“. ექიმმა ლიზა დაიმონდმა, სექსუალურობისა და ფსიქოლოგიის შესახებ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ჟურნალის თანარედაქტორმა და ასოციაციის „ყველაზე პატივსაცემმა წევრმა, განაცხადა, რომ სექსუალური ორიენტაცია „ცვალებადია“ და არა მუდმივი.**



ფსიქოლოგმა **ლაურა ა. ჰეინსმა** დაიმონდის მიერ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები, აგრეთვე, მისი წიგნი და You Tube-ზე ატვირთული ლექციები ასე შეაფასა:

**„ბრძოლა იმის დასამტკიცებლად, რომ „გეები ასეთებად დაიბადნენ და შეცვლა არ შეუძლიათ“, უკვე დამთავრდა. დაიმონდი მოუწოდებს ლგბტ-აქტივისტებს, შეწყვიტონ ამ მითის წინ წამოწევა“.**

საწინააღმდეგოდ არგუმენტისა, რომ ჰომოსექსუალები „ასეთებად იბადებიან“ და შეცვლა არ შეუძლიათ, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ 2011 წელს ოფიციალურად აღიარა სექსუალური ორიენტაციის ცვალებადობა.

**კორნელის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვისას დაიმონდმა მხოლოდ შეაჯამა ამ საკითხთან დაკავშირებული შედეგები და განაცხადა, რომ, ბევრი კვლევის მიხედვით, სექსუალური ორიენტაცია, მათ შორის, სექსუალური ლტოლვა, ქცევები და თვითგამორკვევა ცვალებადი ხასიათისაა ორივე სქესის როგორც მოზარდების, აგრეთვე, ზრდასრულებისთვის.**

ეს დასკვნა სრულიად ეწინააღმდეგება კანონებს, რომლებიც აგიტაციას უწევენ ჰომოსექსუალებს და რომლებიც მიღებულია აშშ-ის რამდენიმე შტატში. ეს არის კანონი **„აღდგენითი თერაპიის“ აკრძალვის“** შესახებ. „აღდგენითი თერაპიის“ მიხედვით, დახმარება უნდა გაეწიოს პაციენტებს, რომლებსაც თავისივე სქესის წარმომადგენლების მიმართ აქვთ არასასურველი სექსუალური ლტოლვა.

**„აღდგენითი თერაპიის“ აკრძალვის კანონს ამართლებენ იმით, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც განიცდის თავისივე სქესის წარმომადგენლის მიმართ სექსუალურ ლტოლვას, არის არა მხოლოდ ჰომოსექსუალი და დაბადებულია ჰომოსექსუალად, არამედ მისი ჰომოსექსუალური ორიენტაცია უცვლელია. შესაბამისად, ასეთი ადამიანების მიმართ „აღდგენითი თერაპიის“ გამოყენება არა მხოლოდ უსარგებლოა, არამედ სასტიკიც. ამაზე მიუთითებს ელგბტ-აქტივისტების ლოზუნგიც: „შეცვლა იმისა, ვინც ხარ, არ შეიძლება!“.**

ამასთანავე, ბევრი ლგბტ-აქტივისტი სექსუალურ ორიენტაციას „ჩვენი დროის ადამიანის უფლების საკითხს“ უწოდებს და მას რასობრივი კუთვნილების საკითხთან აიგივებს, მაგრამ დაიმონდი და ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია ამ არგუმენტს უარყოფენ.

ღირსმა მამამ **იოჰანეს ჯეიკობსმა**, ამერიკული მართლმადიდებლური ინსტიტუტის დამაარსებელმა, დაიმონდის მიერ „კურსის შეცვლას“ განსაცვიფრებელი ცვლილება უწოდა.

**„სექსუალური სურვილები ცვალებადია, ჰომოსექსუალური ლტოლვა არ არის „ჩადებული ბუნებაში“, ის, რომ „გეები ასეთებად იბადებიან“, არის მითი. გრძნობები ვერ მოერევა ნებისყოფას (საქციელი — ეს არის არჩევანი, ადამიანი ვალდებული არ არის, დაემორჩილოს ნებისმიერ გრძნობას, განსაკუთრებით — სექსუალურს), არგუმენტი, რომ „ადამიანები ჰომოსექსუალებად იბადებიან“, პოლიტიკურია და არა მეცნიერული.** სექსუალური ორიენტაცია ცვალებადია ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ.



იდეა, რომ ადამიანის გრძნობები განსაზღვრავენ, ვინ არის ის (როგორი შექმნა ის ღმერთმა), სიცრუეა, — დაწერა იოჰანეს ჯეიკობსმა, — თუ ადამიანს აქვს ჰომოსექსუალური ლტოლვა, არ ნიშნავს, რომ ის ჰომოსექსუალად არის შექმნილი. თუ ადამიანს აქვს ჰომოსექსუალური სურვილები და სურს, ეს ორიენტაცია შეცვალოს ტრადიციული ორიენტაციით, არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ ასეთი ცვლილება შესაძლებელია“.

ბერმა **მარკმა** აღნიშნა, რომ „დაიმონდის აღიარება პრაქტიკულად ანულებს სექსუალურობის შესახებ ახლახან მიღებული კანონების გასამართლებლად ნებისმიერ აპელაციას მეცნიერებისადმი, მაგალითად, ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ კანონის, თვითიდენტიფიკაციის ან „გრძნობის“ საფუძველზე ტუალეტების ხელმისაწვდომობის შესახებ კანონის და სხვ.“.

იოჰანეს ჯეიკობსმა მოუთხრო ჟურნალისტებს, როგორ „შეარყია დაიმონდისა და ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის აღიარებამ ნიადაგი ჰომოსექსუალების დამცველთა ფეხქვეშ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ჰომოსექსუალური ორიენტაცია ინტეგრირებულია ადამიანის პიროვნებასთან ისევე, როგორც ჰეტეროსექსუალური. არგუმენტი, რომ ჰომოსექსუალებად იბადებიან, უკვე აღარ მუშაობს.

„ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ აღმოაჩინა, რომ სექსუალური ლტოლვა ცვალებადია. ის შეიძლება შეიცვალოს და ძალიან ხშირად ასეც ხდება, — განმარტავს ჯეიკობსი, — სექსუალური სურვილი დაფუძნებულია რაღაც სხვაზე და არა გენეტიკაზე, და საკითხები ადამიანის სექსუალურობის მართებულ და აუცილებელ შეზღუდვებზე — სამართლის, მორალისა და რელიგიის — ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად პირად და საზოგადოებრივ განვითარებაზე“. **დაიმონდის გამოკვლევების შედეგები ნიშნავს, რომ ექიმებს შეუძლიათ დაეხმარონ მათ, ვისაც სურს, გათავისუფლდეს თავისივე სქესის წარმომადგენლებისადმი ლტოლვისგან.**

„ყურადღება უნდა მივაქციოთ პიროვნებას, რომელსაც აქვს ჰომოსექსუალური ლტოლვა, მაგრამ სურს შეიცვალოს, — განაცხადა ჯეიკობსმა, — ადრე კონსულტანტებს არ ჰქონდათ უფლება, დახმარებოდნენ კლიენტებს ჰომოსექსუალური ორიენტაციის ჰეტეროსექსუალურით შეცვლაში და ეს იმ იდეოლოგიიდან გამომდინარე, რომ „გეებად იბადებიან“. ამ საკითხში ხელისუფლება ჩაერია და აკრძალა „აღდგენითი თერაპია“ ჰომოსექსუალთა აქტიურობის საპასუხოდ.

**ნიკა კორინთელი**

## ევროპარლამენტის დეპუტატი პედოფილიის ბრალდებით დააპატიმრეს

**ევროდეპუტატი, საფრანგეთის პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ვიცეპრეზიდენტი პედოფილიის, ექსჰიბიციონიზმისა და მასტურბაციის გამო დააპატიმრეს, — იუწყება France-Presse.**



60 წლის **რობერ როშფირი** ამა წლის 31 აგვისტოს დააპატიმრეს, მას შემდეგ, როცა ის ქალაქ ველიზი-ვიიაკუბლეს (ველიზის დეპარტამენტი) სამშენებლო მასალების მაღაზია DIY-ში ორი ბავშვის გვერდით მასტურბაციას ეწეოდა.

თვითონ როშფორი ბრალდებას უარყოფს და ამბობს, რომ დაკავების შემდეგ დანაშაული მხოლოდ იმიტომ აღიარა, რომ ძალიან შეეშინდა, პანიკაში ჩავარდა, რადგან არ უნდოდა, ღამე საკანში გაეტარებინა.

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, პედოფილებმა და გარყვნილებმა შეიძლება თავიდან აიცილონ პატიმრობა, ამისათვის კი სოლიდური თანხა უნდა გადაიხადონ.

## ლონდონის შუქნიშნებზე კაცუნები გაპედარასტდნენ

**ლონდონის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ლგბტ-თა სიმბოლოები, რომლებიც ქალაქის შუქნიშნებზე ივნისში გამოჩნდა, იქ სამუდამოდ დარჩება.**

ამა წლის ივნისში ლონდონის ხელისუფლებამ შუქნიშნებზე ტრადიციული „მწვანე კაცუნები“ ჰომოსექსუალური წყვილით შეცვალა და ეს გეიაღლუმის გამართვას მიუძღვნა.



ჰომოსექსუალური სიმბოლოები გამოჩნდა ლონდონის ცენტრში, ტრაფალგარის მოედანთან განლაგებულ 50 შუქნიშანზე. ხელიხელჩაკიდებული ორი მამაკაცი ან ორი ქალი გულს ქმნიან. ამას გარდა, შუქნიშნებზე ნახავთ ლგბტ-თა სხვადასხვა სიმბოლოსაც.

გეიაღლუმის ჩატარებიდან სამი თვე გავიდა, მაგრამ ჰომოსექსუალი კაცუნები არ გამქრალან. ცოტა ხნის წინათ კი ქალაქის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ შუქნიშნებზე ტრადიციული წყვილის დაბრუნებას არ აპირებს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



1953 წლის 26 ივნისს მოსკოვის დიდ თეატრში ყველაფერი მომზადებული იყო, რათა პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობა მთავრობის ლოჟაში დაეპატიმრებინა ლავრენტი ბერიას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი მალენკოვმა საიდუმლო არხებით შეიტყო, რომ მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება და ხრუშჩოვი და ბულგანინი დაიბარა. მცირეხნიანი საუბრის შემდეგ მალენკოვმა მათ მკაცრი ტონით განუცხადა, რომ საქმის კურსშია და მიღებულია კონტრსაწინააღმდეგო ზომები შეთქმულების გასანეიტრალებლად, თანაც სტუმრებს უტყუარი სამხილები დაუდო შეთქმულებაში მათი მონაწილეობის შესახებ.

# სტალინი და ჟუკოვი

დასასრული. დასაწყისი იხ. №32-37 (361-366)

## ნაწილი VII



**პენსიაზე გასული და სახელმწიფო უშიშროების გამადიდებელი ლუპის ქვეშ მცხოვრები მარშალი ჟუკოვი შორიდან ადევნებდა თვალს ქვეყნის ლპობასა და განადგურებას. 1964 წელს ხრუშჩოვსაც, ჟუკოვის მსგავსად, სამარცხვინოდ დაატოვებინეს ქვეყნის პირველი კაცობა, შემდეგ კი უსიცოცხლოდ ჩაეშვა ნოვოდევიჩის სასაფლაოზე გათხრილ ცივ სამარეში. ორ კლასდამთავრებული ჟუკოვი და უწიგნური ხრუშჩოვი აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებმაც ლომის წილი შეიტანეს სოციალისტური ბანაკის საძირკვლის მორყევაში, ამან კი მსოფლიო მუდმივ ქაოსში გადაიყვანა**

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსულმა **მიხეილ სუსლოვმა** ჩამოაყალიბა ყველა ის საკითხი, რომლებიც განხილული იყო სამხედრო უწყების პარტიულ ორგანიზაციებში. სუსლოვის შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ **ანასტას მიქოიანი, ლეონიდ ბრეჟნევი** და პრეზიდიუმის სხვა წევრები. მათ, ყველას, ერთნაირი თვალსაზრისი ჰქონდათ ჟუკოვზე, რომ იგი არ სცნობს **ნიკიტა ხრუშჩოვს**, როგორც სახელმწიფო მეთაურს, არად აგდებს პრეზიდიუმის მთელ შემადგენლობას, აბუჩად იგდებს შეიარაღებული ძალების სამმართველოს უფროსს და სამხედრო საბჭოს, აკნინებს სამხედრო-პოლიტიკურ მუშაობას ჯარის ნაწილებში, აწარმოებს არმიის დეპოლიტიზაციას.

გამომსვლელთა მიერ ჟუკოვისთვის წაყენებული ბრალდებები შეაჯამა და საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა ხრუშჩოვმა:

„არის მოსაზრება, გათავისუფლდეს ჟუკოვი თავდაცვის მინისტრის მოვალეობისგან და მის ადგილზე დაინიშნოს მარშალი **როდიონ მალინოვსკი**. ჩატარდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც განხილული იქნება საკითხი ჟუკოვის საქმიანობის შესახებ თავდაცვის სამინისტროში“.

ხრუშოვის წინადადებამ კენჭისყრაზე სრული მხარდაჭერა მიიღო.

მეორე დღეს შედგა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც წაკითხული მოხსენება და სიტყვებში გამომსვლეთა სტენოგრაფიული ჩანაწერები კრემლის საიდუმლო ლაბირინთებში შთაინთქა, როგორც „განსაკუთრებით საიდუმლო“.

ასე საიდუმლოდ ინახებოდა 1957 წლის პლენუმის მასალები 40 წლის განმავლობაში. ის მიუწვდომელი იყო იმ ადამიანებისთვისაც კი, რომლებიც მუშაობდნენ უახლესი ისტორიის საკითხებზე.

საკავშირო დეპეშათა სააგენტო საკდესი იუწყებოდა, რომ „პლენუმმა განიხილა არმიაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხი“.

**პლენუმის 90-ფურცლიანმა სტენოგრაფიულმა ანგარიშმა მხოლოდ 40 წლის შემდეგ იხილა მზის შუქი. ამ მასალებში ნათლად ჩანს „სახელგანთქმული მხედართმთავრისა და ომის „ერთადერთი მომგების“, მარშალ ჟუკოვის, საქმიანობა.**

და აი, ვფურცლავთ სტენოგრამის გვერდებს, რომლებზეც შავით თეთრზე წერია:

„პლენუმზე მხოლოდ ერთადერთი საკითხია განსახილველი — „არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ. მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი სუსლოვი.

**სუსლოვმა თავის მოხსენებაში ფართოდ მიმოიხილა ჟუკოვის პიროვნება და მისი ქცევისა და მოქმედების ნორმები არმიაში. ხაზი გაუსვა, რომ ჟუკოვისთვის დამახასიათებელია გამოთქმები — მოიხსნას, ჩამოიწეროს, განთავისუფლდეს, აახიეთ ლამპასები და ჩამოახიეთ სამხრეები, ხოლო პოლიტიკურ ხელმძღვანელებზე იყენებს გამოთქმებს: შეეჩვივნენ ლაყბობას, დაკარგეს ყნოსვის გრძნობა, როგორც ბებერმა კატებმა და სხვ.**

**დაკარგა რა თავმდაბლობა, მინისტრმა დაავალა, შეექმნათ მხატვრული ტილო, რომელზეც გამოსახული იქნებოდა ცეცხლწაკიდებული ბერლინის ფონზე, ბრანდერბურგის კარიბჭესთან ცხენზე ამხედრებული ჟუკოვი, რომელიც ძალზე წააგავს გიორგი ძლევამოსილის სახეს, და ეს ტილო დაკიდეს საბჭოთა არმიის მუზეუმში.**

პირველობის უზომო წყურვილმა და ბონაპარტიზმმა უკარნახა, სრულიად საიდუმლოდ შეექმნა სადივერსანტო სკოლა, რომელშიც გაერთიანებული იყო 2500 მსმენელი და ეს საიდუმლო მხოლოდ და მხოლოდ სამ კაცს უნდა სცოდნოდა: თვითონ მარშალ ჟუკოვს, შტემენკოსა და გენერალ მანსუროვს, რომელიც დანიშნული იყო ამავე სადივერსანტო სკოლის უფროსად. გენერალმა მანსუროვმა, როგორც მას პარტიის წესდება ავალებდა, ამ საიდუმლო შენაერთის არსებობა აცნობა ცენტრალურ კომიტეტს.

სუსლოვმა დაასრულა მოხსენება, რომელშიც უამრავი ბრალდება იყო წაყენებული ჟუკოვის მიმართ. მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდა პოლიტსამმართველოს უფროსი **ალექსეი ჟელტოვი.** მის მიერ გამოთქმული მკაცრი კრიტიკის შემდეგ ხრუშოვმა, როგორც „დემოკრატმა ხელმძღვანელმა“, სიტყვა მისცა ჟუკოვს.

ჟუკოვმა კატეგორიულად უარყო მისთვის მიწერილი ბევრი დანაშაული, ბევრიც აღიარა და ბოლოს დასძინა: „ნუთუ არ ეტყობა ჯარს, რომ იგი უფრო დისციპლინებული და ბრძოლისუნარიანია?“ მან ისიც განაცხადა, რომ აქ მსხდომი მარშლები და ჯარის სახეობათა სარდლები ნუთუ უფრო გაბედულად არ უნდა გამოვიდნენ ტრიბუნაზე და თქვან სიმართლე იმაზე, რაც თანამედროვე არმიაში სუფევს.

ტრიბუნაზე ავიდა მარშალი **სერგეი ბირიუზოვი**, რომელმაც განაცხადა:

„სამინისტროში ჟუკოვის მოსვლის დღიდანვე აუტანელი ატმოსფერო შეიქმნა. მისი მეთოდი იყო თანამშრომლებზე ზეწოლა. გინდათ მაგალითები? ახლავე: მინისტრმა დახია და ნაკუწებად აქცია ბრძანების პროექტი, რომელიც შეადგინა გენერალურმა შტაბმა და რომელიც შეეხებოდა მსხვილი სამხედრო ოპერაციის ჩატარებას. ჟუკოვმა განაცხადა, რომ ეს პროექტი არასერიოზულია, მან თქვა, რომ შაბლონებზე არააწყობს თავის მუშაობას და აქვს თავისი სამუშაო პროგრამა.

ტრიბუნაზეა მარშალი **ვასილ სოკოლოვსკი:**

„მე სრულიად ვეთანხმები ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას მინისტრის თანამდებობიდან ჟუკოვის მოხსნის თაობაზე. ვეთანხმები, აგრეთვე, პრეზიდიუმიდან და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან მის გარიცხვას.

ბოლოს მარშალმა სოკოლოვსკიმ გამაოგნებელი რამ განაცხადა:

**„ჟუკოვს სურს, ხელში ჩაიგდოს ქვეყნის მართვის მთელი ძალაუფლება, მართოს პარტია და მის ნება-სურვილს დაემორჩილოს ყველა და ყველაფერი“.**

მარშალი **ტიმოშენკო:**

**„ჟუკოვს სისხლში ჰქონდა გამჯდარი, დაუფლებოდა განუსაზღვრელ ძალაუფლებას და დარწმუნებული იყო თავის უცდომელობაში. იგი ამას ამჟღავნებდა, როცა იყო პოლკის მეთაური, დივიზიისა თუ კორპუსის. ის ჩანასახშივე ახშობდა ყოველგვარ პარტიულ საქმიანობას, რომელიც არმიაში წესდებით იყო გაწერილი. ეს იქნებოდა სახმელეთო ჯარში თუ საზღვაო ფლოტში“.**

სიტყვით გამოვიდნენ მარშლები: **კონევი, ერიომენკო, ჩუიკოვი, ზახაროვი** და გენერალი **კაზაკოვი**. მათ დადებითი არაფერი უთქვამთ ჟუკოვზე. ყველა გამომსვლელი მკაცრად აკრიტიკებდა მინისტრს არა მხოლოდ მისი მინისტრობის პერიოდში, არამედ ომის მიმდინარეობისას და შემდგომი მოღვაწეობისას.

მარშალი **კონსტანტინე როკოსოვსკი:**

**„ჟუკოვი ატარებდა არასწორ პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ 1946 წელს, როდესაც მის მიერ დაშვებული შეცდომების გამო სამხედრო საბჭოს სხდომა გაიმართა, როგორც სტალინს, ისე მთავარ სამხედრო საბჭოს მისცა პირობა, რომ არასდროს გაიმეორებდა მსგავს შეცდომებს და პატიებას ითხოვდა მომხდარზე, ის კვლავ უხეშად არღვევს როგორც სამხედრო დისციპლინას, აგრეთვე, ადამიანური ნორმების ფარგლებს“.**

შეცბუნებული ჟუკოვი უყურებდა მარშალ როკოსოვსკის და ამბობდა: „ნუთუ შენც, ჩემო ამხანაგო კოსტია, შენც ამას ამბობ? განა მე არ ვიყავი ის, ვინც 1941 წელს სტალინს სთხოვა თქვენი ციხიდან გათავისუფლება და მაშინვე მექანიზირებული კორპუსი ჩაგაბარე?!“

ჟუკოვი ყველაზე მეტად გააოგნა ხრუშჩოვის მიმართვამ პლენუმზე მოწვეული მაღალი ჩინის სამხედროების მიმართ — ჯარების სახეობათა, სამხედრო ოლქებისა და არმიის სარდლების, ფლოტის ადმირალების, სამხედრო საბჭოს წევრების, რომლებიც არ იყვნენ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში:

**„უნდა გკითხოთ თქვენი თვალსაზრისი — ვინც ხართ თანახმა, რომ ჟუკოვი გამოყვანილ იქნას როგორც ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, ასევე ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან, გთხოვთ, ხელის აწევით დაგვიდასტუროთ“.**

ჟუკოვმა თვალები დახუჭა, რათა არაფერი დაენახა, უნდა დაეხშო ყურებიც, რათა არაფერი გაეგონა, მაგრამ გაისმა ხრუშჩოვის საზეიმო განწყობით ნათქვამი ფრაზა:

„გთხოვთ, დაუშვათ. ვინ არის წინააღმდეგი? წინააღმდეგი არავინ არის. ▶

**ხრუშჩოვის სისულელეებით შეწუხებული საბჭოეთი და სოციალისტური ბანაკი გამოსავალს ეძებდა. ქვეყნის გადარჩენა «ძველმა გვარდიამ» იტვირთა. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგი სხდომის დაწყებამდე მოლოტოვმა ჟუკოვი გამოიძახა და საიდუმლო საუბარი გაუმართა ხრუშოვის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ. მოლოტოვი ჟუკოვს არწმუნებდა, რომ ხრუშჩოვის პირველ კაცად დატოვების შემთხვევაში ქვეყანა კატასტროფის წინაშე დადგებოდა. ჟუკოვმა მოლოტოვის შეგონება ბოლომდე არ შეისმინა და რჩევა მისცა მოლოტოვს, ეს ყველაფერი ხრუშოვთან მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტათ, მაგრამ მოლოტოვი თავის მომხრე მალენკოვთან, ბულგანინთან, კაგანოვიჩსა და სხვებთან ერთად პრეზიდიუმის სხდომაზე თავიანთი პირველი გადაწყვეტილებით შევიდნენ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სუსლოვმა თავის მოხსენებაში ფართოდ მიმოიხილა ჟუკოვის პიროვნება და მისი ქცევისა და მოქმედების ნორმები არმიაში. ხაზი გაუსვა, რომ ჟუკოვისათვის დამახასიათებელია გამოთქმები — მოიხსნას, ჩამოიწეროს, განთავისუფლდეს, აახიეთ ლამპასები და ჩამოახიეთ სამხრეები, ხოლო პოლიტიკურ ხელმძღვანელებზე იყენებს გამოთქმებს: შეეჩვივნენ ლაყბობას, დაკარგეს ყნოსვის გრძნობა, როგორც ბებერმა კატებმა და სხვ.“**



**დაკარგა რა თავმდაბლობა, მინისტრმა დაავალა, შეექმნათ მხატვრული ტილო, რომელზეც გამოსახული იქნებოდა ცეცხლწაკიდებული ბერლინის ფონზე, ბრანდერბურგის კარიბჭესთან ცხენზე ამხედრებული ჟუკოვი, რომელიც ძალზე წააგავს გიორგი ძლევამოსილის სახეს, და ეს ტილო დაკიდეს საბჭოთა არმიის მუზეუმში**

◀ დადგენილება ერთხმად არის მიღებული“.

მარშალი ჟუკოვი ასე არავის არასდროს შეურაცხუყვია. იგი წამოდგა ადგილიდან და სამხედრო ნაბიჯებით კარისკენ გაემართა. თავის თავს ჩუმად უმეორებდა ოდესღაც ნათქვამ სიტყვებს:

**„სტალინი მხსნიდა, მაქვეითებდა, მაგრამ არასოდეს მამცირებდა. აბა, გაებედა ვინმეს და ჩემზე ცუდი ეთქვა, იგი თავს წააცლიდა!“**

რა მოხდა, რატომ მოხსნა და რატომ დაამცირა ასე ოთხი თვის წინათ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად არჩეული მინისტრი, მარშალი ჟუკოვი ხრუშოვმა, რა იყო ამის მიზეზი, რომელმა შავმა კატამ გადაირბინა ჟუკოვსა და ხრუშჩოვს შორის? — საკითხავი სწორედ ეს არის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფაშიზმის დამარცხების მთავარმა შემოქმედმა პირებმა უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭეს ცივილიზებულ სამყაროში.

აშშ-ის გაერთიანებული სამხედრო ძალების სარდალი ევროპაში, გენერალი **დუაიტ ეიზენჰაუერი** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა. იუგოსლავიაში სახელმწიფოს მეთაურობა ხელთ იგდო ნაციონალურმა გმირმა, მარშალმა **იოსიფ ბროზ ტიტომ**, ალბანეთს სათავეში ჩაუდგა მარშალი **ენვერ ხოჯა**, ესპანეთს მართავდა გენერალისიმუსი **ფრანკო**, საფრანგეთს — გენერალი **დე გოლი**, ჩრდილოეთ კორეას — მარშალი **კიმ ირ სენი.**

ჟუკოვი?.. ვისზე ნაკლები მარშალი, ვისზე ნაკლები ამბიციების მქონე?

ამას ემატებოდა ისიც, რომ არც ერთ ქვეყანას არც ერთ ეპოქაში სათავეში არ ჰყოლია ისეთი განუვითარებელი და ზნედაცემული ადამიანი, როგორც იყო ხრუშჩოვი. რატომ ხრუშოვი და არა ჟუკოვი? — ეს კითხვა არ ასვენებდა ჟუკოვს, მაგრამ არც კრემლის არეოპაგს ჰქონდა მშვიდი ძილი ჟუკოვის გამო.

ამიტომ იყო, რომ **კრემლში გაზრდილმა და გათამამებულმა მელა ანასტას მიქოიანმა ერთ მშვენიერ დღეს ხრუშჩოვს ყურში ჩასჩურჩულა თავისი მოსაზრება. ხრუშოვმაც ყურები მხრებზე გადაიწყო და ცხვირი მკერდამდე ჩამოუშვა.**

—„შეიძლება“, „მართალია“, „ეს, ადრე თუ გვიან, ასე იქნება“, — ეს სიტყვები არ ასვენებდა ხრუშჩოვს და ერთხელ კიდევ დაეთათბირა თავის ერთგულ მრჩეველს.

მიქოიანმა კი დაწვრილებით შეახსენა თავის ახალ პატრონს ის სცენები, რომლებიც ხრუშოვის გამოლაყებულ თავს უკვე დავიწყებული ჰქონდა.

...1953 წლის 26 ივნისს მოსკოვის დიდ თეატრში ყველაფერი მომზადებული იყო, რათა პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობა მთავრობის ლოჟაში დაეპატიმრებინა **ლავრენტი ბერიას.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გიორგი მალენკოვმა** საიდუმლო არხებით შეიტყო, რომ მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება და ხრუშჩოვი და **ბულგანინი** დაიბარა. მცირეხნიანი საუბრის შემდეგ მალენკოვმა მათ მკაცრი ტონით განუცხადა, რომ საქმის კურსშია და მიღებულია კონტრსაწინააღმდეგო ზომები შეთქმულების გასანეიტრალებლად, თანაც სტუმრებს უტყუარი სამხილები დაუდო შეთქმულებაში მათი მონაწილეობის შესახებ.

**ხრუშჩოვი და ბულგანინი დარწმუნდნენ, რომ ისინი მალენკოვის კაბინეტიდან თავს მშვიდობით ვერ დააღწევდნენ, ამიტომ მხარდაჭერა აღუთქვეს მალენკოვს ბერიას წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში. შეთქმულების სცენარი იმავე კაბინეტში დაიწერა, დაიწყო სრულიად საიდუმლო მოლაპარაკებები პრეზიდიუმის სხვა წევრებთან, ამ მოლაპარაკებებში აქტიურ როლს ასრულებდა ხრუშჩოვი.**

ინტრიგებში გაწაფული ხრუშჩოვი ასევე ინტრიგებისა და თავგადასავლების მოყვარულ ჟუკოვს დაუკავშირდა და შეთქმულების საიდუმლო გაანდო. ჟუკოვს შურისძიების განცდა მოაწვა და მზად იყო, უსწრაფესად აღესრულებინა.

ბერიას დაპატიმრებაზე ბევრჯერ არის აღწერილი და მის გამეორებას აღარ შევუდგები, მაგრამ აუცილებელია, მოქმედების ტექსტიდან ერთი ნაწილის ამოღება, რომელიც ქვემოთ დაგვჭირდება.

„პრეზიდიუმის სხდომაზე შესული ჟუკოვი პირდაპირ ბერიას მიმართულებით მიდის და ზურგს უკან უჩერდება, იგი ბეჭზე ხელს ადებს ბერიას და უბრძანებს, ფეხზე ადგეს, რადგან იგი დაპატიმრებულია. ბერია ფეხზე დგება და მას ჟუკოვი ხელებს ზურგზე უწყობს და ბორკილს ადებს. გამარჯვებული ჟუკოვი ამაყად მიმართავს მალენკოვს:

**— ხომ არ დავაპატიმროთ ბერიასთან ერთად პრეზიდიუმის ის წევრები, რომლებიც შეთქმულებაში მონაწილეობდნენ?“**

როგორც ჩანს, ჟუკოვმა მალენკოვისგან იცოდა, რომ ბერიასთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ხრუშჩოვი და ბულგანინიც მონაწილეობდნენ. მალენკოვმა უარის ნიშნად თავი გადააქნია და შედეგად ბულგანინსა და ხრუშჩოვს ბორკილების დადება ასცდათ.

ჟუკოვი კვლავ გამოიყენეს მთავარ მოქმედ გმირად სახელმწიფო გადატრიალებაში. ხრუშჩოვის სისულელეებით შეწუხებული საბჭოეთი და სოციალისტური ბანაკი გამოსავალს ეძებდა. ქვეყნის გადარჩენა „ძველმა გვარდიამ“ იტვირთა. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგი სხდომის დაწყებამდე მოლოტოვმა ჟუკოვი გამოიძახა და საიდუმლო საუბარი გაუმართა ხრუშჩოვის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ. მოლოტოვი ჟუკოვს არწმუნებდა, რომ ხრუშჩოვის პირველ კაცად დატოვების შემთხვევაში ქვეყანა კატასტროფის წინაშე დადგებოდა. ჟუკოვმა მოლოტოვის შეგონება ბოლომდე არ შეისმინა და რჩევა მისცა მოლოტოვს, ეს ყველაფერი ხრუშჩოვთან მოლაპარაკების გზით გადაეწყვიტათ. მაგრამ მოლოტოვი თავის მომხრე მალენკოვთან, ბულგანინთან, კაგანოვიჩსა და სხვებთან ერთად პრეზიდიუმის სხდომაზე თავიანთი პირველი გადაწყვეტილებით შევიდნენ.

მოლოტოვის დამაჯერებელმა განმარტებებმა ხრუშჩოვის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ შედეგი გამოიღო და პრეზიდიუმის უმრავლესობა დათანხმდა ხრუშჩოვის გადაყენებას. სხდომა თითქმის დასრულებული იყო, როდესაც სიტყვა აიღო ჟუკოვმა, რომელმაც განაცხადა:

— თუ ამ საკითხზე პრეზიდიუმი დადგენილებას მიიღებს და დაამტკიცებს, ის ამ შემთხვევაში მიმართავს ჯარის ნაწილებს საბრძოლო მზადყოფნის შესახებ.

ჟუკოვის წინადადებით, უნდა ჩატარებულიყო პარტიის რიგგარეშე პლენუმი, რომელზეც პლენუმის წევრები გადაწყვეტდნენ ხრუშჩოვის თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა უშედეგოდ დასრულდა და მეორე დღეს დაინიშნა რიგგარეშე პლენუმი. პლენუმის წევრთა შესაკრებად ჟუკოვმა სამხედრო თვითმფრინავები გაგზავნა საბჭოეთის მთელ ტერიტორიაზე და აქტიური მუშაობა გამართა მათთან. ჟუკოვის მუქარამ გაჭრა და გამოტანილ **საკითხს ხრუშჩოვის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე პლენუმმა მხარი არ დაუჭირა. შედეგად, უმცირესობაში აღმოჩნდა ძველი გვარდია და იმავე პლენუმზე ჟუკოვის აქტიურობით „ძველი გვარდია“ გაიწვიეს, როგორც პრეზიდიუმისა და ცეკას წევრობიდან, ასევე, გარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებიდანაც.**

ზემომოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ **ჟუკოვმა ორჯერ იხსნა ხრუშჩოვი და მისი ხროვა ფიასკოსგან —1953 და 1957 წელს. 1957 წლის ოქტომბრის პლენუმის დასრულების შემდეგ აღფრთოვანებული ხრუშჩოვი ასე მიმართავდა თავის მხსნელს:**

— გიორგი კონსტანტინეს ძევ, შენ გადამარჩინე მე და გადაარჩინე მთელი ქვეყანა, რასაც არასოდეს დაგივიწყებ.

ზუსტად ოთხი თვის შემდეგ ხრუშჩოვმა სწორედ ის მახე დაუგო ჟუკოვს, რომელშიც ბევრი პარტიული ფუნქციონერი გაბმულა.

სწორედ ზემოაღწერილი ორი ეპიზოდი და ორი ფრაზა შეახსენა ანასტას მიქოიანმა ხრუშჩოვს: 1953 წლის ივლისში ჟუკოვის მიერ წარმოთქმული — **„ბერიასთან ერთად ხომ არ დავაპატიმროთ მისი თანამოაზრეები“** და მეორე — 1957 წელს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოთქმული მუქარა: **„თუ პრეზიდიუმი ამ დადგენილებას მიიღებს და დაამტკიცებს, ის მიმართავს ჯარს“.** თან დასძინა: **„იქნებ კიდევ გამოჩნდეს სხვა მალენკოვები და მოლოტოვები და მათაც ისევე მოემსახუროს მარშალი ჟუკოვი“.** ცარიელ თავში სწორედ ამ მაგალითების ხელახლა ამოტივტივებამ გადააწყვეტინა ხრუშჩოვს იუგოსლავიაში მყოფი მინისტრის პოსტიდან გადაყენება, რითაც ამ სულელმა კაცმა კიდევ დიდხანს განიმტკიცა ქვეყნის პირველკაცობა.

პენსიაზე გასული და სახელმწიფო უშიშროების გამადიდებელი ლუპის ქვეშ მცხოვრები მარშალი ჟუკოვი კი შორიდან ადევნებდა თვალს ქვეყნის ლპობას და განადგურებას. 1964 წელს ხრუშჩოვსაც, ჟუკოვის მსგავსად, სამარცხვინოდ დაატოვებინეს ქვეყნის პირველი კაცობა, შემდეგ კი უსიცოცხლოდ ჩაეშვა ნოვოდევიჩის სასაფლაოზე გათხრილ ცივ სამარეში. ორ კლასდამთავრებული ჟუკოვი და უწიგნური ხრუშოვი აღმოჩნდა ის ორი ადამიანი, რომლებმაც ლომის წილი შეიტანეს სოციალისტური ბანაკის საძირკვლის მორყევაში, ამან კი მსოფლიო მუდმივ ქაოსში გადაიყვანა.

აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ **სწორედ ჟუკოვმა, იმხანად სსრკ-ის თავდაცვის მინისტრმა, გასცა 1956 წლის 9 მარტს სტალინის სახელის დასაცავად თბილისის ქუჩებში გამოსული ახალგაზრდობის დახვრეტის ბრძანება.** ამას ადასტურებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის იმჟამინდელი სარდლის — **ივანე ფედიუნინსკის** განცხადება.

დიდად ღირებულია **არსენ მარტიროსიანის** ფუნდამენტური კვლევა „22 ივნისი“, რომელიც ახლახან ორ ტომად გამოიცა. ამ კვლევაში გაანალიზებულია დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებში წითელი არმიის ტრაგიკული მარცხი, რომლის უშუალო შემოქმედი იყო არა მხოლოდ გენერალი **ვლასოვი,** არამედ, უწინარესად, თავდაცვის მინისტრი ტიმოშენკო და შტაბის უფროსი ჟუკოვი. ჩნდება კითხვა — რატომ არ დახვრიტეს №1 დირექტივის შეუსრულებლობისათვის ტიმოშენკო და ჟუკოვი? — სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა ამ უზარმაზარი კვლევის ძირითადი მიზანი.

ასე რომ, გრიფ „სრულიად საიდუმლოს“ მოხსნით უამრავი ბრალდება მოეხსნა სტალინს და უამრავი ბრალდება გაჩნდა სტალინის ცილისმწამებლების მიმართ. საიდუმლო არქივების გახსნის შემდეგ, რაც დრო გავა, მით მეტი სიმართლე გამჟღავნდება და ნათელი მოეჰფინება ბურუსით მოცულ ჩვენს უახლეს ისტორიას.

**P.S. მრავალი ზარისა და თხოვნის გათვალისწინებით, მინდა, თუ ამის ნებართვას მივიღებ მოსკოვიდან, წავიდე და ვიმუშავო სტალინის არქივებში სწორედ ამ თემაზე და ცალკე გამოვცე წიგნი „სტალინი და ჟუკოვი“.**




**ყურადღება!**

**„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნატოს ქედმაღლობის შედეგებმა 2008 წელს იჩინა თავი, უკრაინასთან დაკავშირებულ სკანდალზე (2014 წ) გაცილებით ადრე. შეერთებულმა შტატებმა მეორედ მოატყუა რუსეთი კოსოვოს საკითხში, როცა გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით (და რუსეთის მკაცრი ვეტოს მიუხედავად) ბებიაქალობა იკისრა ამ პროვინციისა, რომელმაც ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. შემდეგ ამერიკელმა ლიდერებმა კვლავ გამოავლინეს თავხედობა და ქედმაღლობა და განაცხადეს, რომ კოსოვოს სიტუაცია უნიკალური და უპრეცედენტოა. რუსეთმა ამ უაზრობას რამდენიმე თვეში უპასუხა, როცა კარგად გამოიყენა საქართველოს მიერ გადადგმული უგუნური სამხედრო ნაბიჯები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონების წინააღმდეგ.**



«ნეშენალ ინტერესტი»:

# ნატო და აშშ რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება

**ნეოკონსერვატორებს, მათ შორის, ადამ ტვარდოვსკის, სწყინთ, როცა რეალიზმისა და თავშეკავების ბანაკის წარმომადგენლები ბრალს სდებენ ნატოს ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობის გაუარესებაში. ტვარდოვსკი თავის ოპონენტებს უწოდებს „რუსეთის აპოლოგეტებს“, ნატოს გამკრიტიკებლებს კი „პუტინის აპოლოგეტებად“ მოიხსენიებს.**

აღნიშნული გამოცემის 22 სექტემბრის ნომერში ტვარდოვსკი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ნატოს მიმართ რუსეთის მტრული დამოკიდებულება ახალი მოვლენაა, რომელიც სათავეს იღებს უკრაინის 2014 წლის კრიზისიდან, და რომელსაც სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს. ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში და დასასრულს რუსი დიპლომატები, ჟურნალისტები და მეცნიერები არ მალავდნენ უკმაყოფილებას აღმოსავლეთით ნატოს გაფართოების შესახებ აშშ-ის გადაწყვეტილების გამო, მიუხედავად დასავლეთის დაპირებისა, რომ ამას არ გააკეთებდნენ. ისინი აშშ-ზე კიდევ უფრო გაბრაზდნენ მას შემდეგ, რაც ჩვენი ხელმძღვანელობით განხორციელდა ინტერვენცია ბალკანეთში — რუსეთის გავლენის ტრადიციულ სფეროში. იმხანად რუსეთი ძალიან სუსტი იყო და, უძალო პროტესტის გარდა, არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

დასავლეთზე რუსეთის გულის გატეხვამ თავი იჩინა ელცინის პრემიერმინისტრებს შორის ყველაზე უფრო საიდუმლო და ნაციონალისტურად განწყობილი ფიგურის — ვლადიმერ პუტინის პერიოდში. მან, როგორც ელცინის მემკვიდრემ, დაიწყო რუსეთის სამხედრო ძლიერების აღდგენა, ხოლო მისი საგარეო პოლიტიკა გაცილებით მკაცრი და ხისტი აღმოჩნდა.

ნატოს ქედმაღლობის შედეგებმა 2008 წელს იჩინა თავი, უკრაინასთან დაკავშირებულ სკანდალზე (2014 წ) გაცილებით ადრე. შეერთებულმა შტატებმა მეორედ მოატყუა რუსეთი კოსოვოს საკითხში, როცა გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით (და რუსეთის მკაცრი ვეტოს მიუხედავად) ბებიაქალობა იკისრა ამ პროვინციისა, რომელმაც ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. შემდეგ ამერიკელმა ლიდერებმა კვლავ გამოავლინეს თავხედობა და ქედმაღლობა და განაცხადეს, რომ კოსოვოს სიტუაცია უნიკალური და უპრეცედენტოა. რუსეთმა ამ უაზრობას რამდენიმე თვეში უპასუხა, როცა კარგად გამოიყენა საქართველოს მიერ გადადგმული უგუნური სამხედრო ნაბიჯები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონების წინააღმდეგ.

ტვარდოვსკი ამტკიცებს, რომ არ არსებობს „ეკზისტენციური“ საშიშროება. მე არ ვიცნობ არც ერთ რეალისტს, რომელიც დაეთანხმება ამ არგუმენტს, ასე ხშირად და გაუნურჩევლად რომ გამოიყენებენ ტვარდოვსკი და მისი ნეოკონსერვატორი კოლეგები, მაგრამ არა რეალისტები და არა რუსები.

ნატო ნამდვილად ემუქრება რუსეთის მნიშვნელოვან ინტერესებს, თუმცა არა როგორც „ეგზისტენციური საშიშროება“. არაერთხელ აღგვინიშნავს, კარგი იქნება, თუ დავფიქრდებით, როგორი რეაქცია ექნებოდა ჩვენს ქვეყანას, სხვა დიდ სახელმწიფოსთან ერთად ალიანსს თავის შემადგენლობაში რომ შეეყვანა, მაგალითად, ჩინეთი ან კარიბის აუზის, ცენტრალური ამერიკის და სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილის ქვეყნები? განვიხილოთ შესაძლო რეაქცია: ნეოკონსერვატორების ჩინურ ეკვივალენტს რომ მოენდომებინა ასეთ ალიანსში კანადისა და მექსიკის შეყვანა და ამ ქვეყნებში ჩინეთის შეიარაღებული ძალების განთავსება, ამერიკის ლიდერები და კეთილგონიერი ამერიკელები ქვეყნის უშიშროების საფრთხედ არ აღიქვამდნენ ასეთ ქმედებას?

აი, სწორედ ამგვარად მოეპყრო აშშ და ნატო რუსეთს, თუმცა ტვარდოვსკი მიიჩნევს, რომ რუსეთს არ აქვს ჩივილის უფლება. მისი პასუხი განზრახ სიბრმავის ტიპური გამოვლენაა.

«ანადოლუ»:

# თურქეთის ვიცეპრემიერმა განაცხადა, რომ მსოფლიო ომი კარსაა მომდგარი

**თურქეთის ვიცეპრემიერმა ნუმან ქურთულმუშმა განაცხადა, რომ მსოფლიო ახალი რეგიონული ან გლობალური ომის ზღურბლთან დგას, — იუწყება სააგენტო „ანადოლუ“.**



ამ მოხელის აზრით, მას შემდეგ, რაც ამოიწურება საშუალებები ომისათვის, რომელიც სხვისი ხელით წარმოებს, ღია კონფლიქტის დრო დგება.

„სირიაში ეს ლიმიტი უკვე ამოიწურა. აშშ და რუსეთი ერთმანეთს უშუალოდ დაუპირისპირდნენ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვდგავართ რეგიონული ან მსოფლიო ომის ზღურბლთან“, — განაცხადა მან.

ქურთულმუშმა დასძინა, რომ საკუთარი ქვეყნის მმართველობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სირიის მთავრობამ და არა რუსეთმა, ირანმა და ან აშშ-მა. „ჩვენ არ ვასწავლით სირიელ ხალხს, როგორ მართოს თავისი ქვეყანა... ეს გადაწყვეტილება სირიელმა ხალხმა თვითონ უნდა მიიღოს“.

რამდენიმე დღით ადრე თურქეთის მთავრობის თავმჯდომარემ **ბილანი ილდირიმმა** განაცხადა, რომ სირიის საკითხის მოგვარებაზე რუსეთისა და თურქეთის პოზიციები ერთმანეთს „მნიშვნელოვნად დაუახლოვდა“. ერთი დღით ადრე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ბორის ჯონსმა** ბრიტანელებს მოუწოდა, გამართონ საპროტესტო აქციები რუსეთის საელჩოსთან ლონდონში და რუსეთს ბრალი დასდო სირიაში სამხედრო დანაშაულებში ალეპოსთან გაეროს ჰუმანიტარული ქარავნის დაბომბვის ჩათვლით.

«რია ნოვოსტი»:

# ოლანდმა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას სახელი გაუტეხა



**ასე მიიჩნევს საფრანგეთის ყოფილი პრემიერმინისტრი ფრანსუა ფიიონი. ასეთ დასკვნამდე იგი საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ სირიის კრიზისის მოგვარების პოლიტიკის ანალიზის შედეგად მივიდა.**

**„იგი ისტორიაში დარჩება პრეზიდენტად, რომელმაც სახელი გაუტეხა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას“,** — ნათქვამია მის განცხადებაში. მან ხაზი გაუსვა, რომ ოლანდის დაეჭვებამ — საჭირო იყო თუ არა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრა, იგი დაცინვის ობიექტად აქცია.

„შეიძლება დაგმო რუსეთის სტრატეგია, მაგრამ რუსეთის დამცირება უსარგებლოა“, — მიაჩნია ფიიონს.

პუტინმა გასულ სამშაბათს გადაწყვიტა პარიზში თავისი ვიზიტის გადადება. ამასთანავე, მისი პრესმდივნის განცხადებით, პრეზიდენტი მზად არის, განიხილოს საფრანგეთის დედაქალაქში ჩასვლა იმ ვადაში, რომელიც ოლანდისთვის კომფორტული იქნება. თავის მხრივ, საფრანგეთის ლიდერმა განაცხადა, რომ მზად იყო, ეწარმოებინა მოლაპარაკება სირიის საკითხზე, მაგრამ არ მიიღებდა მონაწილეობას სხვა ღონისძიებებში. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ვიზიტის გაუქმება ხელს არ შეუშლის რუსეთთან დისკუსიისთვის სხვა შესაძლებლობების გამოყენებას.

«გელაპი»:

# ამერიკელები უკმაყოფილონი არიან ობამათი



**გელაპის ინსტიტუტი დაინტერესდა საკითხით, როგორ ერევა ფედერალური მთავრობა ამერიკელების ცხოვრებაში.**

სოციოლოგიური გამოკითხვა 2016 წლის 7-11 სექტემბერს ჩატარდა და მასში მონაწილეობდა 18 წელზე უფროსი 1000 ამერიკელი, რომლებიც კოლუმბიის ფედერალურ ოლქსა და ორმოცდაათივე შტატში ცხოვრობენ. ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა ფედერალური მთავრობის როლს ამერიკელების ცხოვრებაში.

ყოველი 10 ამერიკელიდან 4-მა (41 პროცენტი) მიიჩნია, რომ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში ფედერალური მთავრობა არასაკმარისად ერეოდა ამერიკელების ცხოვრებაში და ნაკლებად წყვეტდა საზოგადოებაში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს.

«რია ნოვოსტი»:

# აშშ გეგმავს «ისლამური სახელმწიფოს» ტერორისტების ერაყიდან სირიაში გადაყვანას ასადის წინააღმდეგ საბრძოლველად

**ამის თაობაზე შეთანხმდნენ აშშ-ისა და საუდის არაბეთის სპეცსამსახურები.**



სამხედრო-დიპლომატიურმა წყარომ მოსკოვში ჟურნალისტებს გააცნო ვაშინგტონის მზაკვრული გეგმა, რომლის თანახმად ათ ათასამდე ტერორისტი გადაყვანილი იქნება სირიაში ამ ქვეყნის სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად პალმირასა და დეირ ეზ-ზორის რაიონში. „შეთანხმდნენ, რომ შეტევის დაწყებამდე ყველა „ბოევიკს“ შესთავაზებენ უსაფრთხო მარშრუტს ქალაქიდან გასასვლელად ოჯახებთან ერთად.

მოსალოდნელია, რომ გადამწყვეტი შტურმი მოსულიზე ოქტომბერში განხორციელდება. შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო აშშ-ის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ**. ამ გადაწყვეტილების თანახმად, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები გაემართებიან სირიის ქალაქების დასაპყრობად.

Ruporters-ი იტყობინება, რომ სექტემბრის ბოლოს, **სირიის ელჩის** თქმით, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები იბრძოლებენ ისრაელისა და აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების დახმარებით.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თავდაცვის სამინისტრომ ერაყში ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს (საერთო ჯამში, 326 საქმის საფუძველზე) კომპენსაციის სახით უკვე გადაუხადა 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ნებისმიერი შეფასებით, ეს დიდი თანხაა და, აქედან გამომდინარე, დანაშაულიც მასშტაბურია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავდაცვის სამინისტრო სარჩელის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში იხდის ფულს, თუ მტკიცებულებები უეჭველია ან თუ მას (სამინისტროს) რაღაცის დამალვა სურს.

ვორლდნეტდეილი:

# პუტინმა იცის, როგორ იომოს

**სამხედრო ოპერაციების წარმართვის ზუსტი და მკაცრი მეთოდების გამოყენებით რუსეთი გვაჩვენებს, რომ არ აპირებს, ხანგრძლივად დარჩეს ახლო აღმოსავლეთის შუღლის ჭაობში.**



პარასკევს ჩვენმა უუნარო სახელმწიფო მდივანმა **ჯონ კერიმ,** რომელსაც თავი ყველაზე ჭკვიან ყმაწვილად მიაჩნია, მოითხოვა, რომ გამოიძიონ რუსი სამხედროებისა და სირიის მთავრობის მოქმედება სამხედრო დანაშაულის ჩადენის ბრალდებით „სირიაში სამოქალაქო პირებზე შეტევის“ გამო.

რუსეთის მხარემ პასუხად კერის სიტყვებს უწოდა „პროპაგანდა“, რომელიც გამოიწვევს ძალიან სერიოზულ სამართლებრივ შედეგებს და, ამასთანავე, სირიაში არსებული ვითარების ესკალაციას, მაგრამ რუსები ცდებიან: კერის არსი მხოლოდ ლაპარაკია და არავითარი ქმედება. იგი ხომ მიიჩნევს, რომ მსოფლიოში საუკეთესო მომლაპარაკებელია; ყველამ იცის, რასაც მიაღწია თუნდაც ირანთან გარიგებით.

გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ პუტინი ლაპარაკობს და მოქმედებს ერთი მიზნის მისაღწევად: აღადგინოს საბჭოთა კავშირის ძლიერება და ალიანსი ძველ პარტნიორებთან — სირიასა და ირანთან. მე არ ვაპირებ მისი ქმედების გამართლებას, იგი ჩინეთთან ერთად მსოფლიოს უდიდეს საფრთხედ წარმოდგება, მაგრამ მას მართლაც კარგად ესმის, რისი განხორციელებაა საჭირო, ომი რომ მოიგოს, ანუ ის, რაც ჩვენ ათწლეულების წინათ დავივიწყეთ.

ძველი ანდაზა — „ომი ჯოჯოხეთია“ — მხოლოდ ანდაზა არ არის. **პუტინს შეგნებული აქვს, რომ ომებში გამარჯვებას მხოლოდ სამხედრო ობიექტებზე წერტილოვანი დარტყმებით ვერ მოიპოვებს. ომში გასამარჯვებლად მტერი ხერხემალში უნდა გადატეხო; უნდა გაანადგურდეს ინფრასტრუქტურა, რაც მოწინააღმდეგეს სულიერად დასცემს... მტერი არ უნდა დაინდო, რადგან მას მიეცემა გადაჯგუფების და ამით ძალის მოკრების საშუალება.**

თუ ძალა არ შეგწევთ, შეეგუოთ ამ საშინელ მოთხოვნებს, ვერასოდეს გაიმარჯვებთ. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ან დამარცხდებით, ან ჩიხში აღმოჩნდებით. ასეთია ამერიკის ბედი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიაში. **აშშ-მა ძალით ჩაითრია თავი ახლო აღმოსავლეთის საქმეებში და ათ წელიწადზე მეტია, ამ ძლიერი მორევიდან ვერ ამოსულა. ამ 10 წლიდან ხუთი სირიას შეალია. რისთვის? რომელი მიზნის მისაღწევად? იქ რა დაგვკარგვია და რას ვეძებთ? როგორ დამთავრდება ეს თამაში?** პასუხი არ ჩანს.

ჩვენ სირიაში არავითარი სტრატეგიული ინტერესი არ გვაქვს, არც ლიბიაში, არც ერაყსა და ავღანეთში. ეს რეგიონი შავი ხვრელია, რომელიც შთანთქავს ყველაფერს, თუკი რამ მიუახლოვდება. ჩვენ კი იქ გაუთავებლად ვგზავნით ჩვენს ადამიანებს, ფულსა და სამხედრო ტექნიკას.

პუტინი შეიძლება სამხედრო დანაშაულების ჩამდენადაც კი მივიჩნიოთ ამ დეფინიციის დღევანდელი გაგებით, მაგრამ იგი არ აპირებს, ათეულობით წლების განმავლობაში ჩიხში დარჩეს.

სწორია თუ მცდარი, მისი მეთოდები ამართლებს.

«გარდიანი»:

# ბრიტანეთის არმიის მიერ ერაყში ჩადენილი დანაშაულების დამალვა შეუძლებელია

**პოლიტიკოსები და გენერლები ერაყში ომის მსხვერპლთა ახლობლების ბრალდებებს ემიჯნებიან და ამბობენ, რომ ყველაფერი ფულს დახარბებული ადვოკატების ბრალია, მაგრამ 326 საქმე, რომლებიც უკვე რეგულირებულია თავდაცვის სამინისტროს მიერ, საწინააღმდეგოს მეტყველებს, — წერს „გარდიანში“ ლეიტენანტ-პოლკოვნიკი ნიკოლას მერსერი, რომელიც ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს ერაყში 2003 წელს ხელმძღვანელობდა.**



ბოლო პერიოდში პოლიტიკოსები და გადამდგარი გენერლები ბევრს ლაპარაკობენ ბრიტანეთის ჯარისკაცების უსაფუძვლო დევნის შესახებ. გადამდგარი პოლკოვნიკი **ტიმ კოლინზი,** რომელიც ერაყში იბრძოდა, ადვოკატებს პარაზიტებს უწოდებს. **ტონი ბლერმა** (დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა), რომლის პერიოდშიც დაიწყო სამხედრო ოპერაციები ერაყსა და ავღანეთში, განაცხადა: „სამწუხაროა, რომ ჩვენი ჯარისკაცები და მათი ოჯახის წევრები იძულებულნი არიან, ისმინონ ასეთი შემოტევები“.

ეს კამპანია კარგად დადგმულ სპექტაკლს ჰგავს. პრესაში გამოსაქვეყნებლად შეგდებულ ისტორიებს გულმოდგინედ არჩევენ ჟურნალისტებისა და მკითხველების გასახარად, რეალურად კი საქმე სხვაგვარადაა.

**ჯერ ერთი,** თვით იდეა, რომ ბრალდებების უმეტესობა სიცრუის ნაყოფია, აბსურდულია. თავდაცვის სამინისტრომ ერაყში ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს (საერთო ჯამში, 326 საქმის საფუძველზე) კომპენსაციის სახით უკვე გადაუხადა 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ნებისმიერი შეფასებით, ეს დიდი თანხაა და, აქედან გამომდინარე, დანაშაულიც მასშტაბურია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავდაცვის სამინისტრო სარჩელის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში იხდის ფულს, თუ მტკიცებულებები უეჭველია ან თუ მას (სამინისტროს) რაღაცის დამალვა სურს.

**მეორე —** ტყვეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობის შესახებ განცხადებები კეთდებოდა ერაყის ომის დაწყებისთანავე, ანუ 2003 წლიდან. ომის პირველი ოთხი კვირის განმავლობაში ტყვეთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე განაცხადა სამმა პოლკოვნიკმა დივიზიის შტაბიდან. მოგვიანებით ორი საჯარო გამოძიების მიმდინარეობისას (**ბახა მუსასა** და **ჰამიდ ას-სვიდის** გარდაცვალების ფაქტებზე) გაირკვა, რომ ასეთი ფაქტი ცოტა არ არის. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, რომელიც ჰუმანიტარულ სამართალში მსოფლიოში ყველაზე უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციაა, ასევე განაცხადა ტყვეების მიმართ ცუდი მოპყრობის შესახებ.

**მესამე** — საგამოძიებო ჯგუფში შეტანილი განცხადებების ავტორები ყოველთვის ადვოკატები როდი იყვნენ. ამ ჯგუფს მიმართავდნენ ყოფილი და მოქმედი სამხედროები, რომლებსაც ამ საქმეებთან არავითარი ფინანსური ინტერესი არ აკავშირებდათ და რომლებიც მოითხოვდნენ ერთადერთ რამეს — სახელმწიფოს მიერ კანონიერების დაცვას. ამჟამად ამ საქმეებს განიხილავს სასამართლო, მაგრამ სავსებით დასაშვებია, რომ ისინი (საქმეები) აისბერგის მხოლოდ მწვერვალი აღმოჩნდეს. ბევრ მოწმეს ეშინია სიმართლის თქმის. დაახლოებით ხუთი თვის წინათ ვესაუბრე ყოფილ სამხედრო ღვთისმსახურს, რომელმაც თქვა, რომ საკუთარი თვალით ხედავდა, როგორ სცემდნენ ჯარისკაცები ერაყელებს. იგი რიგითებს უბრძანებდა შეეწყვიტათ ძალადობა, მაგრამ ხელმძღვანელობას მომხდარის შესახებ არ აცნობებდა.

## საიდუმლო საპყრობილეების არსებობა კარგად არის დოკუმენტირებული. ასეთი ციხეების არსებობა ჟენევის კონვენციის დარღვევაა, ხოლო ტყვეების ქვეყნიდან გაყვანა თუ დაუმტკიცდებათ, ეს უკვე სერიოზული დანაშაულია

ბახა მუსა დაკითხვის ცენტრში სასიკვდილოდ ცემეს, მიაყენეს სხეულის არანაკლებ 93 დაზიანება. 15 წლის **ქარიმ ალი** დაიხრჩო არხში, რომელშიც იგი გადააგდეს ბრიტანელმა ჯარისკაცებმა და შემდეგ მშვიდად შეჰყურებდნენ, როგორ იძირებოდა ეს ბიჭი. **ფაისალ ას-საადუნის** საქმის სასამართლოში განხილვისას გაირკვა, რომ მას მუცელში ესროლეს, გაუჩეჩქვეს თავი და გაუნადგურეს ავტომანქანა. ზემოთ ჩამოთვლილ არც ერთ შემთხვევაში ასეთი დაუნდობელი მოპყრობის არავითარი აუცილებლობა არ იყო.



დაუდ მუსა (ბახა მუსას მამა) შვილიშვილების ფოტოებით

განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ამ შემთხვევების უმეტესობა შეიძლება თავდაცვის სამინისტროს შეეხოს. მაგალითად, ბახა მუსას საქმეში არის ინფორმაცია იმაზე, რომ სამხედრო გამომძიებლები იყენებდნენ 1978 წელს აკრძალული „ხუთი ტექნიკის“ მეთოდს. კონტრდაზვერვის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ისინი „ემორჩილებოდნენ მხოლოდ ლონდონს“ (ანუ თავდაცვის სამინისტროს) და არ შედიოდნენ ჩვეულებრივ გუნდურ უმცროს-უფროსობის რიგში. თუ ეს მართალია, სამინისტროს შეექმნება პრობლემები: „ხუთი ტექნიკა“ დღეს წამებად ითვლება.

ბევრი ბრალდება ფიზიკური, სექსუალური ან რელიგიური ძალადობის ხასიათისაა. ეტყობა, ასეთი პრაქტიკა ჩვეულებრივი იყო და მისი გამოყენება დანაშაულად არ მიაჩნდათ „ლონდონს დამორჩილებულ“ გამომძიებლებს.

დასასრულ, თავისუფლების აღკვეთის ოფიციალური ადგილების გარდა, **საიდუმლო საპყრობილეების არსებობა კარგად არის დოკუმენტირებული. ასეთი ციხეების არსებობა ჟენევის კონვენციის დარღვევაა, ხოლო ტყვეების ქვეყნიდან გაყვანა თუ დაუმტკიცდებათ, ეს უკვე სერიოზული დანაშაულია.**

სამხედროები, როგორც წესი, ასრულებდნენ ბრძანებებს. ეს კი ნიშნავს, რომ ძირითადი ბრალი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ეკისრება. როცა მედესანტე **ბენ გრიფინმა** განაცხადა, რომ იგი აუცილებლად იტყვის, როგორ აწამებდნენ ტყვეებს ერაყსა და ავღანეთში, სასამართლომ (თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნით) აუკრძალა ჯარისკაცს განზრახვის სისრულეში მოყვანა. თუ არაფერი მომხდარა, რატომ ჩრის ბურთს პირში თავდაცვის სამინისტრო რიგით მედესანტეს?!

თუ სამხედროები არ იცავენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, მათ პასუხისგებაში აძლევენ, რაც სავსებით სამართლიანია.

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველო და მსოფლიო“ იწყებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ჩვენი გაზეთის ერთობლივი პროექტის — „ფერმერის სკოლის“ რეალიზაციას. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა სპეციალური ცოდნის დონის ამაღლებისა და გამრავალფეროვნებისთვის გამიზნული ამ რუბრიკის ოპერატიულად ასამოქმედებლად გაღებული წვლილისთვის მადლობას მოვახსენებთ აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გურამ ალექსიძესა და აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძეს. „ფერმერთა სკოლას“ გაუძღვება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქალბატონი გოგოლა მარგველაშვილი. წარმოგიდგენთ ამ სახელმოხვეჭილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს.

# საქართველოში გაუდაბნოება სამასი ათასი ჰექტარი მიწა განიცდის

1962 წელს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის, შემდეგ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ქალბატონი გოგოლა მარგველაშვილი აქტიურად ერთვება პრაქტიკულ სამეურნეო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში.
1970 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას, 1989 წელს კი ტიმირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიაში — სადოქტორო დისერტაციას. მომდევნო წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს დარგის რიგ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს. 1995 წელს აირჩიეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აკადემიკოსად; 2010 წლიდან აკადემიის საბჭოს წევრი და აგრონომიული განყოფილების აკადემიკოს-მდივანია. იგი ჩვენს ისტორიაში ერთადერთი ქართველი აკადემიკოსი ქალია აგროქიმიის სპეციალობით. გამოქვეყნებული აქვს 130-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათგან 2 მონოგრაფიაა და ორი — სახელმძღვანელო. მოამზადა 17 მეცნიერებათა კანდიდატი და 4 მეცნიერებათა დოქტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.



გოგოლა მარგველაშვილი

## ნიადაგის დეგრადაცია – გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხე

თანამედროვე კაცობრიობა კვების პროდუქტების 93 პროცენტს ნიადაგის ნაყოფიერებით იღებს. ნაყოფიერი ნიადაგის ფართობი კი თანდათან მცირდება, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა იზრდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობა 2050 წლისთვის გაიზრდება 3,0 მილიარდი ადამიანით და 9 მილიარდს მიაღწევს. თუკი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში მარცვლეული **მსოფლიოში კულტურებით დაკავებული ფართობი ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა 0,23-დან 0,12 ჰა-მდე, 2050 წლისთვის იგი შეადგენს, სულ რაღაც, 0,07 ჰექტარს. ეს უკვე კრიტიკული სიდიდეა, რომლის კომპენსირება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებით ძალიან ძნელი იქნება.**

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული ნიადაგების სულ უფრო მზარდი წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, ტყეების გაჩეხვა, ნიადაგების, მტკნარი წყლებისა და მსოფლიო ოკეანის ტექნოგენური დაბინძურება, სამრეწველო გამონაბოლქვი ატმოსფეროში — ყოველივე ამან გლობალური მასშტაბი მიიღო. კაცობრიობის ისტორიაში პირველად ადამიანის საწარმოო მოქმედებამ საფრთხე შეუქმნა ჩვენს პლანეტაზე ბუნებრივი პროცესების ჩამოყალიბებულ ბალანსს.

1934 წელს აშშ-ში ცენტრალური დაბლობის პრერიების ფართოდ და უკონტროლოდ გადახვნამ გამოიწვია ნიადაგების ძლიერი ქარისმიერი ეროზია (დეფლაცია), აიტაცა ჰაერში მტვრის უდიდესი მასა, რომელმაც გარკვეული დროით დააბნელა ვაშინგტონისა და ნიუ იორკის თავზე ცა. დაირღვა ნიადაგის სახნავი ჰორიზონტი დაახლოებით 40 მილიონ ჰექტარზე. მომხდარი გამოცხადდა ეროვნულ უბედურებად. **დასამახსოვრებელია ამ უბედურებისას აშშ-ის პრეზიდენტის — ფრანკლინ რუზველტის განაცხადება: „ხალხი, რომელიც არღვევს თავის ნიადაგს, ანადგურებს თავის თავს“.** აღნიშნული მოვლენის გამო 1935 წელს აშშ-ში შეიქმნა ნიადაგის დაცვის სახელმწიფო სამსახური, ხოლო 1939 წელს მიიღეს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ.

მსგავსი მოვლენა, ძლიერი მტვრიანი ქარიშხლები და ნიადაგების ქარისმიერი ეროზია, მოხდა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირშიც — ყამირი მიწების დიდი ფართობების გადახვნის შედეგად დასავლეთ ციმბირის სამხრეთ ნაწილში, ჩრდილოეთ ყაზახეთსა და ვოლგისპირეთში.

ამ ვითარებით შეშფოთებულმა რიგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა XX საუკუნის 80-90-იან წლებში ჩაატარეს ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, ნიადაგებისა და მსოფლიოს მიწის ფონდის მდგომარეობის ანალიზი. აღმოჩნდა, რომ **ჩვენს პლანეტაზე სახნავად ვარგისი მიწის ფართობი შეადგენს 3 მილიარდ 278 მილიონ ჰექტარს, ანუ ხმელეთის მთლიანი ფართობის 22%-ს; ამასთანავე, მაღალი და საშუალოდ პროდუქტიული ნიადაგები ხმელეთის მხოლოდ 9 პროცენტს. დანარჩენი მიწები, კლიმატური, გეოლოგიური და ოროგრაფიული პირობების მიხედვით, მიწათმოქმედებისთვის უვარგისია.**

**მსოფლიოში სახნავად ვარგისი 3 მილიარდ 278 მილიონი ჰექტრიდან დღეს იხვნება 1.5 მილიარდი ჰექტარი;** დარჩენილი მოუხნავი მიწები უპირატესად წარმოდგენილია დაბალნაყოფიერი ნიადაგებით და მათ ასათვისებლად დიდი დანახარჯებია საჭირო.

1990 წელს ნიდერლანდების საერთაშორისო საცნობაროსაინფორმაციო ნიადაგურმა ცენტრმა შეადგინა ნიადაგების ანთროპოგენური დეგრადაციის რუკა, რომელიც თვალსაჩინოდ უჩვენებდა ამ უაღრესად საშიში პროცესის გლობალურ მასშტაბს. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ხარისხის დეგრადაციით დაზიანებულია თითქმის 2 მილიარდი ჰექტარი ნიადაგი, მათგან 55,6% მოდის წყლისმიერ ეროზიაზე, 27,9% — ქარისმიერ ეროზიაზე, 12,2% — დამლაშებაზე, დაბინძურებაზე, ნიადაგის გამოფიტვაზე, 4,2% — მექანიკურ გამკვრივებაზე. აღნიშნულ მონაცემებს უნდა დაემატოს ისიც, რომ კაცობრიობამ ისტორიულ პერიოდში უკვე დაკარგა ოდესღაც ნაყოფიერი ნიადაგების 2 მილიარდი ჰექტარი, გადააქცია ისინი ანთროპოგენურ უდაბნოებად და უვარგის მიწებად. ნაყოფიერი ნიადაგების დაკარგვა გრძელდება თანამედროვე პერიოდშიც. ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო სარგებლობიდან ეთიშება დაახლოებით 15 მლნ ჰა პროდუქტიული ნიადაგი. დადგენილია, რომ ნიადაგის დეგრადაციის პროცესი მიმდინარეობს მზარდი სიჩქარით; გასული საუკუნის მეორე ნახევარში იგი საშუალო ისტორიულთან შედარებით 30-ჯერ გაიზარდა.

## ჩვენმა ქვეყანამ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აღიაროს

მსოფლიოზე დაკვირვების ვაშინგტონის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა **ლესტერ ბრაუნმა** ნიადაგის დეგრადაციის პროცესს მოსწრებულად უწოდა „პლანეტის ჩუმი კრიზისი“, ხოლო ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროში დიდი ავტორიტეტი, ფრანგი მეცნიერი **ჟან დორსტი** თავის ცნობილ წიგნში „მანამდე, სანამ მოკვდება ბუნება“ აღნიშნავდა: „ნიადაგი ჩვენი ყველაზე ძვირფასი კაპიტალი, სიცოცხლე და კეთილდღეობაა. მიწისზედა ბიოცენოზების მთელი კომპლექსის, ბუნებრივისა და ხელოვნურის არსებობა, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია თხელ ფენაზე, რომელიც ქმნის დედამიწის ყველაზე დიდ ზედა საფარს“. საუბარია რა, თქმა, უნდა ნიადაგზე.

სიღარიბესთან ბრძოლისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია, გადაიხედოს ნიადაგისადმი, როგორც სიცოცხლის მთავარი წყაროსადმი, დამოკიდებულება. **ვერც ქიმიური მრეწველობის განვითარებამ და მინერალური სასუქების წარმოების გაზრდამ, ვერც „მწვანე რევოლუციამ“ ვერ შეძლო შიმშილის დაძლევა დედამიწაზე, ამიტომ მთავარი ამოცანაა ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს ალტერნატული მეთოდების გავრცელებისა და დანერგვის კომპლექსური მიდგომით, ისეთით, როგორიცაა ნიადაგდაცვითი და რესურსდამზოგი მიწათმოქმედება, ორგანული სოფლის მეურნეობა, ოჯახური ფერმერული მეურნეობრიობა და აგროეკოლოგია.**

მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები ვერ თანხმდებიან დედამიწის სასურსათო პოტენციალის საკითხზე. „მწვანე რევოლუციის“ მამად წოდებული ნობელის პრემიის ლაურეატი **ნორმან ბერლოუგი** ამტკიცებდა, რომ დედამიწას შეუძლია უზრუნველყოს საკვებით ათი მილიარდი ადამიანი, თუმცა იქვე აღნიშნავდა, რომ ეს შეუძლებელია თანამედროვე აგროტექნიკის სერიოზული მიღწევებისა და განვითარების გარეშე. საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან სტენფორდის უნივერსიტეტის ბიოლოგები — **პოლი** და **ენი ერლიხები**. ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენ უკვე გავედით ჩვენი პლანეტის პოტენციალური მოცულობის ფარგლებს გარეთ, რომელიც მათ დაადგინეს დაახლოებით სამი მილიარდის ნიშნულზე.

**და მაინც, ვიდრე ნიადაგის ეროზია ნიადაგწარმოქმნას უსწრებს, იქმნება სიტუაცია, როცა სოფლის მეურნეობას უკვე არ შეუძლია მოსახლეობის მზარდი რაოდენობის საკვებით უზრუნველყოფა — ეს, უბრალოდ, დროის საკითხია.**



**ვერც ქიმიური მრეწველობის განვითარებამ და მინერალური სასუქების წარმოების გაზრდამ, ვერც «მწვანე რევოლუციამ» ვერ შეძლო შიმშილის დაძლევა დედამიწაზე, ამიტომ მთავარი ამოცანაა ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება**

**როგორი მდგომარეობა გვაქვს დღეს საქართველოში ნიადაგებთან დაკავშირებით? საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა ნიადაგის მრავალფეროვნებით.** ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობების, ნიადაგწარმომქმნელი ქანების მრავალფეროვნება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგის გავრცელებას განაპირობებს — დაწყებული შავმიწებიდან, დამთავრებული უდაბნოს ტიპისა და ტენიანი სუბტროპიკებისთვის დამახასიათებელი ნიადაგებით (49 ნიადაგური ტიპი). ამდენად, საქართველოს შეიძლება „ნიადაგური მუზეუმიც“ ეწოდოს.

მაგრამ **საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო ნიადაგი სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩა. ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა კრიტიკულ დონეს მიაღწია, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოში როგორც ბიომრავალფეროვნების ფორმირებასა და შენარჩუნებას, ისე სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, ამის დაშვების უფლება სახელმწიფოს არ აქვს.**

ჩვენი ქვეყნის მცირემიწიანობას ისიც ემატება, რომ მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს დეგრადირებულ ნიადაგებს, რომლებიც სავარგულების 35 პროცენტს შეადგენს.

მიწის დეგრადაცია საქართველოში განპირობებულია კლიმატურ-რელიეფური თავისებურებებით, გეოდინამიკური პროცესების აქტივობით, ტყეების უკონტროლო ჭრითა და არასწორი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკით (უკონტროლო ძოვება, დამრეც ფერდობებზე ხვნა, ღია კარიერული წესით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და ა.შ.) და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოში დათბობისა და კლიმატის არიდიზაციის პროცესები დროში დაემთხვა ნიადაგების გაძლიერებულ დეგრადაციას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქტიულობის დაცემას.

მიწის დეგრადაციის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა ჩვენს ქვეყანაში ეროზიაა. ეროზირებულ ნიადაგებს საქართველოში მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 33 პროცენტი უკავია. ეროზირებული მილიონი ჰექტრიდან 330 ათასი სახნავ-სათესი ფართობია, რომელთაგან 221 ათასი წყლისმიერ ეროზიას განიცდის, 109 ათასი ჰექტარი კი — ქარისმიერ ეროზიას.

ნიადაგების დეგრადაციაში მნიშვნელოვანია ქარისმიერი ეროზიის (დეფლაცია) როლი. აღმოსავლეთ საქართველოში — სამგორისა და ალაზნის ველზე, შირაქის, ტარიბანასა და ელდარის ფართობებზე, ქართლში ხშირად ძლიერი ქარები რამდენიმე დღეში აცლის ნიადაგს 5-6 სმ სისქის ზედა ფენას. ნიადაგის დანაკარგთან ერთად იკარგება საკვები ელემენტებისა და ჰუმუსის დიდი ნაწილი. ეს კი ამ ფართობების გაუდაბნოების რეალურ საშიშროებას ქმნის მთელი თავისი უარყოფი- ▶

„ზოგადი განათლების მიზანი უნდა იყოს, რომ სკოლადამთავრებულს შეეძლოს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, სოციალურ გარემოსთან ეფექტიანი ურთიერთობა და თავისი შესაძლებლობების მუდმივად განვითარება. ეს მგონია სკოლის უმთავრესი მისია“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგებით.

დეგრადაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა დამლაშებული ნიადაგები. საქართველოს ნახევრადგაუდაბნოებულ ტერიტორიებზე გავრცელებული **დამლაშებული** და **ბიცობი ნიადაგების** ფართობი 205 ათას ჰექტარზე მეტია.

ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 80 პროცენტამდე ღარიბია საკვები ელემენტებით; განსაკუთრებით დამაფიქრებელია, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის — **ჰუმუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია.**

მიწის დეგრადაციის ერთ-ერთი, მსოფლიოში ცნობილი სახეა გაუდაბნოება, რომელიც მშრალი სტეპებისა და ნახევარუდაბნოების მცენარეული საფარის თანდათანობით დაკარგვას იწვევს.

საქართველო არ იმყოფება უდაბნოების ზონის უშუალო სიახლოვეს, მაგრამ მოსალოდნელი გლობალური დათბობის ფონზე მის აღმოსავლეთ ნაწილში ზოგიერთ რეგიონს (კახეთი, ქვემო ქართლი) სისტემატური გვალვიანობის შემთხვევაში შეიძლება რეალურად შეექმნას ლოკალური გაუდაბნოების საშიშროება. **საქართველოში გაუდაბნოების პროცესს განიცდის 3 000 კმ², ანუ 300 000 ჰა; გაუდაბნოების პროცესის გააქტიურება შეიმჩნევა სამხრეთ საქართველოშიც — ახალციხის ქვაბულსა და შიდა ქართლში (კასპის რაიონი), სადაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქარსაცავი ზოლების თითქმის მთლიანად განადგურების, გვალვების სიხშირის გაზრდისა და ნალექების დეფიციტის პირობებში მომატებული ტემპერატურის ფონზე გაძლიერდა ქარისმიერი ეროზიის პროცესი.**

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, **ნიადაგების ასეთი მდგომარეობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, საფრთხეს უქმნის საქართველოში არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნების დაცვას, არამედ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასაც. დადგა დრო, გავიგოთ, რომ ნაყოფიერი ნიადაგი — ეს არის ბუნებრივი რესურსი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლისთვის, ვიდრე ჰაერი და წყალი.**

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, **რომ ჩვენმა ქვეყანამ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აღიაროს.**

აუცილებელია, შეიქმნას ნიადაგის დაცვის სახელმწიფო სამსახური. ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების პრობლემის გადაწყვეტა მისი მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია; „სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა“, — ასე მიაჩნიათ ევროპაში.

**მიწაზე დამკვიდრებული ყველა თაობის ვალია, იზრუნოს მის დაცვაზე, ნაყოფიერების ამაღლებაზე და ასე გადასცეს იგი შთამომავლობას.**

# ზინა გაბიჩვაძე: თუ გვინდა, კრიტიკული აზროვნება და ანალიზი ისწავლოს ბავშვმა, პროგრამასა და სახელმძღვანელოებს უნდა გადავხედოთ

**განათლების სფეროში უამრავი პრობლემა არსებობს, სისტემა გასაუმჯობესებელი და დასახვეწია. ქართული ენა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ „ღვთაებრივ საუნჯედ“ გვიანდერძა, ყოველდღიურად ბინძურდება, მიზეზებზე კი არავინ საუბრობს. სად ვეძებოთ გაუნათლებლობის მთავარი პრობლემა? რატომ ვერ იძლევა სკოლა სათანადო ცოდნას და მართებულია სასწავლო სახელმძღვანელოს პოლიტიკური ნიშნით აკრძალვა ან გამოცემა? რა არის განთლების სისტემის მთავარი პრობლემა? — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრა ფილოლოგი, ქალბატონი ზინა გაბიჩვაძე.**



**— ქალბატონო ზინა, საგანმანათლებლო სფეროში ჩატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, ფაქტია, რომ განათლების დონე დაბალია. როგორც პედაგოგი და ლექტორი, როგორ ფიქრობთ, რატომ იყო და რჩება გადაუჭრელ პრობლემად განათლების საჭირბოროტო საკითხები?**

— საგანმანათლებლო სფეროში ცვლილების სიმწირეს ნადვილად არ ვუჩივით. თითქმის ყოველ წელს, ყოველ თვეს თუ არა, რაღაც ახალს გვთავაზობს განათლების სამინისტრო. ხშირი ცვლილებები კი უარყოფითად აისახება არა მხოლოდ განათლების დონეზე, არამედ ქვეყნის მომავალზეც.

როდესაც საგანმანათლებლო ცვლილებებზე ვსაუბრობთ, ვაანალიზებთ, კონკრეტულად რა გვინდა, არის კი ეს ის ცვლილება, რომელიც განათლებას სჭირდება? როდესაც საუბარია განათლების სისტემაზე, ვფიქრობ, უნდა ვგულისხმობდეთ მთელ სისტემას — საბავშვო ბაღებით დაწყებულსა და უმაღლესი სასწავლებლებით დამთავრებულს. ეს არის ერთი სისტემა, რომლის ყველა რგოლი დაკავშირებულია ერთმანეთთან და თითოეულს თავისი განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია.

ჩემი აზრით, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს საშუალო განათლებას, რადგან სკოლას არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი ფუნქციაც აკისრია. აქ ხდება ადამიანის მენტალიტეტის, მისი ღირებულებების სისტემის ფორმირება, ამიტომ, მოდი, ჯერ გავარკვიოთ, რა არის სკოლის მიზანი — ცოდნის მიცემა თუ აღზრდა, მათგან რომელს უნდა მივანიჭოთ პრიორიტეტი. იქნებ მთავარი მათი სინთეზია? ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. **ზოგადი განათლების მიზანი უნდა იყოს, რომ სკოლადამთავრებულს შეეძლოს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, სოციალურ გარემოსთან ეფექტიანი ურთიერთობა და თავისი შესაძლებლობების მუდმივად განვითარება. ეს მგონია სკოლის უმთავრესი მისია.**

განათლების დონეს ვინ ზომავს და რა კრიტერიუმით, ესეც საინტერესოა. განათლებას სხვა მიდგომები სჭირდება, პრაქტიკოს მასწავლებლებს იშვიათად ეკითხებიან აზრს და, ალბათ, ერთ-ერთი, და არა ერთადაერთი, მიზეზი ესაა, რომ მარცვალი, რომელიც უნდა აღმოცენდეს და ნაყოფი მოგვცეს, ვერ ახერხებს განვითარებას.

**— განათლებას სკოლიდან ვიღებთ, მაგრამ ნათელია, რომ ახალგაზრდებს ისეთ შეკითხვებზე უჭირთ პასუხის გაცემა, რომლებიც დაწყებითი მასალის ცოდნას გულისხმობს. როგორ ფიქრობთ, სკოლა რატომ ვერ იძლევა სათანადო ცოდნას?**

— მაინტერესებს, რომელია ისეთი შეკითხვები, რომლებიც დაწყებითი მასალის ცოდნას გულისხმობს — რა მოხდა 11 სექტემბერს თუ რამდენი კუთხე აქვს სამკუთხედს? განა ასეთი კითხვებით შეიძლება ადამიანის განათლების დონის განსაზღვრა? რატომ ვერ იძლევა სკოლა სათანადო ცოდნასო? — მეკითხებით. ყველაფერს სკოლას ნუ დავაბრალებთ.

**განათლება მხოლოდ თარიღების, ფორმულების, ფაქტების, ციტატების დაზეპირება არ არის. განათლება ცოდნამიღებული ადამიანის მოაზროვნე პიროვნებად ჩამოყალიბებაა, ვიმეორებ: მოაზროვნე პიროვნებად და არა მოზეპირედ. შეიძლება ბავშვმა ზუსტად არ იცოდეს, რომელი წლის რომელ რიცხვში მოკლეს ილია, მაგრამ სიღრმისეულად გააანალიზოს, რატომ მოკლეს. რომელი სჯობს?**

**— მოგეხსენებათ, სასკოლო სახელმძღვანელოები ხშირად იცვლება განათლების დონის გაუმჯობესების მიზნით. როგორ ფიქრობთ, სახელმძღვანელოს შერჩევაშია პრობლემა თუ მეთოდში, რომელიც მასალის მიწოდებას გულისხმობს?**

— განათლების დონის გასაუმჯობესებლად ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად აქვს სახელმძღვანელოს. ამ შემთხვევაში ჩემს საგანზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაზე, ვისაუბრებ. ვფიქრობ, ამ საგნის სწავლება სერიოზულ გავლენას ახდენს პიროვნების მენტალიტეტის ჩამოყალიბებაზე, რადგან დამოკიდებულება, რომელიც უყალიბდება ლიტერატურულ ტექსტებთან, პირდაპირ აისახება მის მსოფლმხედველობაზე. მთავარი პრობლემა, ვფიქრობ, ხშირად არის ლიტერატურული ტექსტების ინტერპრეტირების უარყოფა. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია კარგად დაწერილი (შედგენილი) სახელმძღვანელო. იმ თვალსაზრისით, რომ თანამედროვე ახალგაზრდას სხვაგვარი ხედვა აქვს, **თუ გვინდა, ბავშვმა კრიტიკული აზროვნება და ანალიზი ისწავლოს, პროგრამასა და სახელმძღვანელოებს უნდა გადავხედოთ. ბევრი რამ უნდა განახლდეს, შეიცვალოს.**

ძალიან ბევრია დამოკიდებული მასწავლებელზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, შეუძლია თუ არა მას, ასწავლოს ბავშვებს არა დაშტამპულად, ტაბუდადებულად, არამედ მისცეს თავისუფლად აზროვნების საშუალება. განა მასწავლებელი რასაც ამბობს, ყოველთვის აბსოლუტური ჭეშმარიტებაა? ის უნდა შეეცადოს, ასწავლოს დაფარულის ამოკითხვა, რათა სიღრმისეულის შემჩნევა შეძლონ. შეიძლება, ნაწარმოების განხილვისას არ გეთანხმებოდეს მოსწავლე და ეს სულაც არ არის საგანგაშო, პირიქით — საინტერესოც კია. მთავარია, არგუმენტირებულად დაამტკიცოს თავისი მოსაზრება. მასწავლებელმა ეს რომ შეძლოს, აუცილებელია, ყურადღება მიექცეს მის მომზადებას.

**— ქალბატონო ზინა, ავტორი ხართ წიგნისა „ქართული ენის გრამატიკა ზარმაცებისთვის“. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ მშობლიური ენა ყოველდღიურად მახინჯდება და არასწორი ფორმები მკვიდრდება. როგორ ფიქრობთ, ენის დაბინძურება მხოლოდ ქართველი ხალხის „სიზარმაცის“ ბრალია თუ სისტემის, რომელმაც ვერ უზრუნველყო სათანადო ცოდნის დანერგვა?**

— ადამიანის განათლებისთვის მშობლიური ენის გრამატიკის ცოდნა აუცილებელია. თუმცა რადგან ქართველები ვართ, გვგონია, რომ ქართული ენა ვიცით. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს სწორად მეტყველებისა და წერის კულტურის უნარები, რაც, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ ხერხდება. დღეს სკოლებში დანერგილია ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება, რომელსაც აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. ვფიქრობ, ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს პრაქტიკულ სწავლებაზე და არა თეორიულზე. არაფერი დაშავდება, თუ არ გეცოდინებათ, რამდენი გვარი აქვს ქართულ ზმნას, მაგრამ გაუმართლებელია, „დაუხატავს“ ნაცვლად თქვათ „დაუხატია“. ენა არა მხოლოდ გამოხატავს, იგი წარმართავს და აყალიბებს კიდეც ჩვენს შეგნებას, ანუ ჩვენ ვართ ის, რასაც ვამბობთ. დღეს უმძიმესი მდგომარეობა გვაქვს სინტაქსში. თითქმის მთლიანად დარღვეულია ქართული წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია და ეს იმიტომ, რომ უცხოური ენების (ინგლისურისა და რუსულის) სინტაქსის გავლენით აგებენ წინადადებას.

ილია ამბობდა: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეოროტიკა“. ენა ცოცხალი და დაუდგრომელი ფენომენია, ჩვენი სალიტერატურო ენა კი არის კონსერვატიული ბუნებისა, მაგრამ ეს მის ხელოვნურად „კონსერვაციას“ არ უნდა ნიშნავდეს. ენა ახალ სიტყვებსაც უნდა ითვისებდეს და მივიწყებულსაც უნდა აცოცხლებდეს.

არ შეიძლება მასწავლებელთა ასე ხელაღებით გაკიცხვა. ეს იწვევს იმას, რომ ახალგაზრდებში ეს პროფესია არ ითვლება პრესტიჟულად. **როდესაც მოსწავლეს მასწავლებელი უიღბლო ჰგონია მხოლოდ იმიტომ, რომ ის სკოლაში ასწავლის, ვფიქრობ, ეს ტრაგედიაა. სანამ მოსწავლე არ გააცნობიერებს, რომ მასწავლებლის გარეშე ის წარმატებას ვერ მიაღწევს,**

**«დღეს უმძიმესი მდგომარეობა გვაქვს სინტაქსში. თითქმის მთლიანად დარღვეულია ქართული წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია, და ეს იმიტომ, რომ უცხოური ენების (ინგლისურისა და რუსულის) სინტაქსის გავლენით აგებენ წინადადებას»**

**მანამდე განათლების რეფორმას წარმატებულად ვერ ჩავთვლი.**

**— ქალბატონო ზინა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამსვლელი საგნის ზღვრის აწევას გეგმავს. როგორ ფიქრობთ, კარგი ცვლილება იქნება ეს და როგორ აისახება საბოლოო ჯამში სამომავლო შედეგებზე?**

— ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა საქართველოს განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი და ერთ-ერთი წარმატებული რეფორმაა. ვფიქრობ, გამოცდების გადასალახავი ზღვარი უნდა აიწიოს, რაც კონკურენციას გაზრდის, ეს კი სწავლის ხარისხს გააუმჯობესებს, მაგრამ სანამ ამას გავაკეთებთ, უნდა ვიფიქროთ გარეთ დარჩენილ ახალგაზრდებზეც. მხოლოდ ბარიერის აწევა პრობლემას რომ არ მოაგვარებს, ამაზე არავინ კამათობს, მაგრამ რაღაც მაინც დაიძვრება ადგილიდან. უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარებს ის, ვისაც მართლა უნდა სწავლა, განსხვავებით მათგან, ვისაც დიპლომი მხოლოდ საჩვენებლად სურს. ამის შემდეგ გვეყოლებიან არა „ორდიპლომიანი ტაქსის მძღოლები“, არამედ პროფესიონალი ხარატი, დურგალი, სტილისტი...

დავასრულებ კონფუცის სიტყვებით: „თუ ერთწლიანი გეგმები გაქვს — ბრინჯი დათესე, თუ ათწლიანი გეგმები გაქვს — ხეები დარგე; ხოლო თუ ასწლიანი — განათლება მიეცი ბავშვებს“, რადგან ეს არის უმთავრესი ქვეყნის მომავლისთვის“.

ესაუბრა
**ეკა ზარნაძე**

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საიდუმლო არმიების არსებობა 1990 წელს დამტკიცდა. ამის ირიბ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აღიარებითი ჩვენებების მიცემისთანავე ვინჩიგერას განუდგნენ უმაღლესი რანგის პროტექტორები, რომელთა ფრთებქვეშ იგი წლების განმავლობაში ნებივრობდა. ამ ტერორისტის ბედს სხვა მემარჯვენე რადიკალების ბედს თუ შევადარებთ, დიდად განსხვავებულ სურათს მივიღებთ: ვინჩიგერას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, სხვა ტერორისტები კი, რომლებიც იტალიის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ, პასუხისმგებლობისგან საერთოდ გათავისუფლდნენ.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37 (366)

დანიელ განსერი

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში

**1970-80 წლებში იტალიის პარლამენტი სერიოზულად იყო შეშფოთებული დაუსრულებელი სერიით მხეცური ტერაქტებისა, რომლებიც ქვეყნის სტაბილურობას ნორმალური კალაპოტიდან აგდებდა. მიუხედავად იმისა, რომ „მემარცხენეთა“ წრეებში ვარაუდობდნენ, თითქოს ეს გაუხსნელი ტერაქტები იტალიელი კომუნისტების წინააღმდეგ აშშ-ის გამოუცხადებელი ფარული ომის ფორმა იყო, ამ ვერსიის დამტკიცება შეუძლებელი შეიქნა. 1988 წელს იტალიის სენატმა დაამტკიცა საგანგებო საპარლამენტო კომისია ამ დანაშაულობათა გამოსაკვლევად, მას სათავეში ჩაუდგა სენატორი ლიბერო გუალტიერი.**

ამ კომისიას მუშაობა ფრიად გაუჭირდა, რადგან მოწმეები უარს ამბობდნენ უკვე მიცემულ ჩვენებებზე: დოკუმენტები ნადგურდებოდა; შეუძლებელი ხდებოდა კონსესუსის მიღწევა, რადგან კომისია შედგებოდა ტრადიციულად ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტიების წარმომადგენლებისგან — უკიდურესი მემარცხენეებისა და რადიკალური მემარჯვენეებისგან; ვერ თანხმდებოდნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელი გამორკვეული ინფორმაცია უნდა წარედგინათ საზოგადოებრიობის სამსჯავროზე.

ამასობაში მოსამართლე **კასონი**, რომელიც ეყრდნობოდა ტერორისტ ვინჩენცო ვინჩიგერას ჩვენებებსა და აღმოჩენილ დოკუმენტებს, თანდათან გაერკვა საერთო სტრატეგიაში. იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდა დასკვნამდე, რომ აგრესიის გამოვლენილი შემთხვევები უკმაყოფილების გამოხატვის კერძო შემთხვევები კი არ არის, არამედ ფაქტებში რეალიზებული სახელმწიფო ტერორიზმია, რომელიც დაფინანსებულია გადასახადების გადამხდელთა ფულით. ჯოჯოხეთური ტერაქტების ორგანიზატორები მოქმედებდნენ „დაძაბული მდგომარეობის სტრატეგიის“ პრინციპით და შექმნეს კიდეც იგი იტალიის მოსახლეობაში. მემარჯვენე რადიკალურ ძალებს, ასევე, მათ მხარდამჭერ ნატოს სტრუქტურებს ეშინოდათ, რომ იტალიელი კომუნისტები შეძლებდნენ დასაშვებზე მეტი ძალაუფლების მოპოვებას და განახორციელებდნენ მეთოდს „დესტაბილიზაციიდან სტაბილიზაციამდე“. ამიტომ იყო, რომ მემარჯვენე რადიკალური ფარული უჯრედების წევრები შეუერთდნენ „გლადიოს“ ქვედანაყოფებს, რომლებიც ტერაქტების მოწყობით იყვნენ დაკავებული და დაიწყეს ამ დანაშაულების „მემარცხენეებისთვის“ გადაბრალება.

მოსამართლე კასონმა ბი-ბი-სის დოკუმენტურ ფილმში ასე ახსნა სტრატეგიის არსი: **„რადგან საქმეში ჩართულია სპეცსამსახურები, პეტეანოს ტერაქტი არის ე.წ. დესტაბილიზაციის სტრატეგიის ნაწილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კეთდება ქვეყანაში დაძაბულობის შესაქმნელად, რათა სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში წინა პლანზე წამოიწიოს კონსერვატიულმა და რეაქციულმა ტენდენციებმა.** ამ სტრატეგიის განხორციელების პერიოდში აუცილებელი იყო მათი დაცვა, ვინც ტერაქტებს აწყობდნენ, რადგან მოპოვებული იყო ამ დანაშაულში მათი მონაწილეობის მტკიცებულებანი. მოწმეები მალავდნენ ინფორმაციას მემარცხენე რადიკალური ექსტრემისტების დაცვის მიზნით“.

მემარჯვენე რადიკალმა **ვინჩიგერამ**, რომელიც მის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო, ბოლოს და ბოლოს, მოკლეს, ისევე, როგორც ბევრი მისი თანამოაზრე, განაცხადა: „შენ იძულებული ხარ შეუტიო მოქალაქეებს — ქალებს, ბავშვებს, უდანაშაულო ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურ თამაშებში არ ერევიან. ამის მიზეზი უმარტივესია: უბრალო იტალიელებმა დასახმარებლად შეიძლება მიმართონ სახელმწიფოს. ასეთია ყველა ამ ტერაქტისა და აფეთქების პოლიტიკური ლოგიკა. და **ეს ყველაფერი დაუსჯელი დარჩება, რადგან სახელმწიფოს არ შეუძლია დაიდანაშაულოს თავი, ან განაცხადოს, რომ სწორედ მან უნდა აგოს პასუხი ამ დანაშაულობებზე“.**

ამ სატანისტური გეგმის მხოლოდ ერთ ნაწილს აეხადა ფარდა: პასუხგაუცემელი დარჩა ბევრი შეკითხვა, რადგან დღემდე ვერ მოინახა საერთო ჯაჭვის ბევრი რგოლი და, რაც მთავარია, ორიგინალური დოკუმენტების გარკვეული ნაწილი. „პეტეანოს ტერაქტის შემდეგ და ყველაფრის შემდეგ, რაც მის კვალზე მოხდა, — განაცხადა ვინჩიგერამ 1984 წელს გამართულ სასამართლოზე, — აშკარაა, რომ არსებობდა რეალური, თუმც დაფარული და შეუმჩნეველი სტრუქტურა, რომელსაც შეეძლო განეხორციელებინა სტრატეგიულად მიზანმიმართული ძალადობა“. ეს სტრუქტურა, თქვა მან, თვით სახელმწიფო მოწყობის საფუძველში დევს. **„იტალიაში არმიის პარალელურად არსებობს ძალა, რომელიც „სამოქალაქო სამხედროებისგან“ შედგება; ანტისაბჭოთა მიმართულების ამ ძალის მიზანია იტალიის მიწაზე წინ აღუდგეს სსრკ-ს ჯარებს“.** აშკარაა, რომ ლაპარაკია ნატოსთან დაკავშირებულ საიდუმოლ არმიაზე სახელწოდებით „გლადიო“. ვინჩიგერას თქმით, ეს არის საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც სრულად არის შეიარაღებული, აქვს ასაფეთქებელი ნივთიერებების საწყობები, მისი წევრები მაღალ დონეზე არიან გაწვრთნილი, სრულად ფლობენ იარაღს და აფეთქების მოწყობის ხელოვნებას.

„ამ ზემძლავრმა ორგანიზაციამ საბჭოთა ოკუპაციის არარსებობის პირობებში, ნატოს სახელით იკისრა ვალდებულება აღკვეთოს პოლიტიკური ბალანსის მარცხნივ გადახრა, რასაც განახორციელებდა საიდუმლო სამსახურებთან და პოლიტიკურ და სამხედრო ძალებთან თანამშრომლობით“, — ასეთი იყო ამ მემარჯვენე ტერორისტის დასკვნა.

**ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ვინჩიგერამ მისცა სასამართლოს ჩვენება, რომელმაც იტალიის ისტორიაში პირველად „გლადიოს“ საიდუმლო ქვედანაყოფები და ნატო უშუალოდ დაუკავშირა სრულიად იტალიის შემძვრელ ტერორისტულ აქტებს.**

მხოლოდ წლების შემდეგ შეიტყო საზოგადოებრიობამ, რას გულისხმობდა ვინჩიგერა, საიდუმლო არმიაზე რომ ლაპარაკობდა. მაგრამ სანდოა კი მისი ჩვენებები?

სასამართლო პროცესის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ სანდოა.

**საიდუმლო არმიების არსებობა 1990 წელს დამტკიცდა. ამის ირიბ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აღიარებითი ჩვენებების მიცემისთანავე ვინჩიგერას განუდგნენ უმაღლესი რანგის პროტექტორები, რომელთა ფრთებქვეშ იგი წლების განმავლობაში ნებივრობდა. ამ ტერორისტის ბედს სხვა მემარჯვენე რადიკალების ბედს თუ შევადარებთ, დიდად განსხვავებულ სურათს მივიღებთ: ვინჩიგერას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, სხვა ტერორისტები კი, რომლებიც იტალიის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ, პასუხისმგებლობისგან საერთოდ გათავისუფლდნენ.**

მაგრამ ვინჩიგერა არ იყო პირველი, ვინც დაინახა, რომ მასობრივი ტერაქტების მოწყობაში „გლადიო“ და ნატო ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული; იგი არ იყო პირველი, ვინც „გლადიოს“ შეთქმულების შესახებ ალაპარაკდა.

1974 წელს იტალიელმა მოსამართლე **ჯოვანი ტამბურინომ**, რომელიც მემარჯვენე რადიკალიზმის ტერორისტულ საქმიანობას გამოიძიებდა, უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა — დააპატიმრა გენერალი **ვიტო მიჩელი**, იტალიის თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო ინფორმაციის სამსახურის ხელმძღვანელი. გენერალს ბრალად წაუყენეს: „საიდუმლო ორგანიზაციის შექმნა, მისი საქმიანობის ასაწყობად წარმართული ღონისძიებების განხორციელება, რომელშიც გაერთიანებულები იყვნენ სამხედროები და სამოქალაქო პირები; მათი მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, კონსტიტუციისა და სახელმწიფო მმართველობის ფორმის შესაცვლელად“.

მიჩელი, რომელიც უწინ ნატოს უშიშროების სამსახურს ედგა სათავეში, 1974 წლის 17 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე თავგამოდებით ამხელდა ნატოს საიდუმლო არმიას, თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის სახელით რომ იყო შენილბული: **„სუპერგასაიდუმლოებული ორგანიზაცია, რომელიც ჩემი მითითებების თანახმად შეიქმნა? რა თქმა უნდა! მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი ორგანიზებული არ არის სახელმწიფო გადატრიალების მიზნით. ნატომ და აშშ-მა მთხოვეს ამის გაკეთება“**. თავისი ტრანსატლანტიკური კავშირების წყალობით მიჩელი იოლად გადარჩა. იგი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ექვსი თვე მიჩელმა სამხედრო ჰოსპიტალში გაატარა.

მოსამართლე კასონის გამოძიებამ უბიძგა იტალიის პრემიერმინისტრ **ანდრეოტის**, 16 წლის შემდეგ იტალიის პარლამენტის წინაშე ემხილებინა „გლადიოს“ ქვედანაყოფების საიდუმლო. ამან გააცოფა მიჩელი. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1990 წლის ოქტომბერში მან აღშფოთებით განაცხადა: „მე ციხეში მოვხვდი იმიტომ, რომ არ გამიმხელია ამ საიდუმლო ორგანიზაციის არსებობა! ახლა კი ანდრეოტი დათანხმდა, ეს ყველაფერი პარლამენტისთვის მოეხსენებინა“.

პეტეანოს აფეთქების ორგანიზატორმა ვინჩიგერამ მოსამართლე კასონს გაუმხილა, რომ არა მხოლოდ „ახალი წესრიგი“, არამედ სხვა მემარჯვენე ორგანიზაციები, მაგალითად, ისეთები, როგორიც „ეროვნული ავანგარდი“ იყო, თანამშრომლობდნენ საიდუმლო სამხედრო სამსახურებთან და „გლადიოსთან“. მათი მიზანი იყო იტალიის მემარცხენე ორგანიზაციების დასუსტება: **„სამხედროებმა, უშიშროების ორგანოებმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მხარი დაუჭირეს ტერორისტებს. მე ვაცხადებ, რომ ტერორიზმის ყოველი აქტი, რომელიც კი 1969 წლის მოვლენების შემდეგ განხორციელდა, ერთ თარგზე იყო მოჭრილი“.**



იტალიის პრემიერმინისტრი ჯულიო ანდრეოტი პირადად იცნობდა აშშ-ის პრეზიდენტებს. ფოტოზე: ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტის დროს პრეზიდენტ ნიქსონთან ერთად

მემარჯვენე რადიკალების მომხრემ, ტერორისტმა და „ახალი წესრიგის“ წევრმა ვინჩიგერამ განმარტა, რომ იგი და მისი „მემარჯვენე“ თანამებრძოლები დაიქირავეს „გლადიოსთან“ სათანამშრომლოდ და ყველაზე უფრო სისხლიანი ოპერაციების მოსაწყობად. „ორგანიზაცია „ეროვნული ავანგარდი“, ისევე, როგორც „ახალი წესრიგი“ ჩართული იყო ოპერაციებში, რომლებიც ანტიკომუნისტური სტრატეგიის მიხედვით ხორციელდებოდა. ეს სტრატეგია სათავეს იღებდა არა იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტთან, არამედ თვით ამ ინსტიტუტიდან; განსაკუთრებით კი, მის იმ ნაწილთან, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან იყო შეკრული“.

მოსამართლე კასონი უკიდურესად შეშფოთდა იმით, რისი გამოაშკარავებაც მან შეძლო. იგი მიჰყვა „გლადიოს“ კვალს, საიდუმლო არმიისას, რომელიც „ცივი ომის“ პერიოდში მანიპულირებდა იტალიელი პოლიტიკოსებით, და 1990 წლის იანვარში ხელისუფლებას სთხოვა, ნება დაერთო, განეგრძო თავისი გამოკვლევა იტალიის სამხედრო დაზვერვის არქივის მასალების გამოყენებით. 1990 წლის ივლისში პრემიერმა ჯულიო ანდრეოტიმ ამის ნება დართო. სწორედ სამხედრო ინფორმაციისა და უშიშროების სამსახურის რომის შტაბბინაში აღმოაჩინა მოსამართლე კასონმა დოკუმენტები, რომლებითაც **პირველად გამჟღავნდა, რომ საიდუმლო არმია „გლადიო“ წარმოდგენილი იყო იტალიაში, როგორც სამხედრო საიდუმლო სამსახურების ქვედანაყოფი და ევალებოდა არასტანდარტული სამხედრო ოპერაციების წარმართვა. უფრო მეტიც, კასონმა იპოვა დოკუმენტები, რომლებმაც დაადასტურა მსოფლიოში უდიდესი სამხედრო ალიანსის — ნატოს — და მსოფლიოს ზესახელმწიფოს აშშ-ის კავშირი „გლადიოს“, იტალიისა და ევროპის სხვა მემარჯვენე რადიკალი ტერორისტების მიერ განხორციელებულ დივერსიებთან.**

ეს სამი შემადგენელი — აშშ, ნატო და ტერო- ▶

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ვინჩიგერამ მისცა სასამართლოს ჩვენება, რომელმაც იტალიის ისტორიაში პირველად „გლადიოს“ საიდუმლო ქვედანაყოფები და ნატო უშუალოდ დაუკავშირა სრულიად იტალიის შემძვრელ ტერორისტულ აქტებს.

რისტები ერთ მთლიანობად წარმოდგა, რაც კასონისათვის ნიშნავდა, რომ სერიოზული საფრთხე დაემუქრა, თუნდაც იმიტომ, რომ მანამდე იტალიელ მოსამართლეებს, რომლებმაც ბევრი რამ იცოდნენ, ქუჩაში კლავდნენ: „1990 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, რომელიც ფლობდა სიმართლეს („გლადიოს“ ოპერაციების შესახებ), და ეს შეიძლება ჩემთვის ტრაგიკულად დასრულებულიყო“, — მისი სიტყვებია.

მოსამართლე კასონმა მოახერხა გადარჩენილიყო და საიდუმლოც გამჟღავნდა. მოპოვებული დოკუმენტებით შეიარაღებული კასონი დაუკავშირდა საპარლამენტო კომისიას, რომელიც (როგორც ზემოთ ვთქვით) იკვლევდა მასობრივ მკვლელობებსა და ტერაქტებს. კომისიის თავმჯდომარე **ლიბერო გუალტიერი** და სხვა სენატორები შეაშფოთა კასონის მოძიებულმა მასალებმა და დათანხმდნენ, წარდგენილი გამოკვლევის შეტანას კომისიის დღის წესრიგში.

1990 წლის 2 აგვისტოს სენატორებმა წერილობით შესთავაზეს პრემიერ ჯულიო ანდრეოტის, 6 დღის განმავლობაში წარედგინა ინფორმაცია პარლამენტისთვის საიდუმლო ორგანიზაციის არსებობის შესახებ, მისი დახასიათება და იმ მიზნების ჩამონათვალი, რომლებიც გავრცელებული ცნობების თანახმად, დასახული ჰქონდა ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების შესაცვლელად.

მეორე დღეს, 1990 წლის 3 აგვისტოს, პრემიერი ანდრეოტი წარდგა კომისიის წინაშე. ომისშემდგომი იტალიის ისტორიაში მთავრობის პირველმა წევრმა დაადასტურა, რომ ქვეყანაში მოქმედებდა ნატოსთან დაკავშირებული საიდუმლო არმია. ანდრეოტი, დაჰპირდა სენატორებს, რომ 60 დღის განმავლობაში კომისიას წარუდგენდა წერილობით ანგარიშს საიდუმლო ორგანიზაციის სტრუქტურის შესახებ: **„კომისიას წარვუდგენ საფუძვლიანად მომზადებულ ანგარიშს, რომლის მომზადება დავავალე თავდაცვის დეპარტამენტს. ანგარიშში ასევე ჩართული იქნება ინფორმაცია იმ მოქმედებათა შესახებ, რომლებიც ეფუძნებოდა ნატოს გეგმას, ჰყოლოდა სპეციალური ქვედანაყოფები იტალიაზე ან მის რომელიმე ნაწილზე თავდასხმის, ან ოკუპაციის შემთხვევისთვის. საიდუმლო სამსახურების ინფორმაციით, ამგვარი მოქმედება ხორციელდებოდა 1972 წლამდე, იმ დრომდე, როცა გადაწყდა მათი გაუქმების საკითხი საჭიროების არარსებობის გამო. კომისიას წარვუდგენ ყველა აუცილებელ დოკუმენტს, რომლებიც შეეხება როგორც მთლიანად პრობლემას, ასევე ცალკეულ მონაცემებს, რომლებიც მოსამართლე კასონის გამოკვლევამ გამოამჟღავნა პეტეანოს ტერაქტის საქმის გამოძიებისას“.**

ამ მომენტში ჯულიანო ანდრეოტი 71 წლისა იყო და იგი ყველა კრიტერიუმის მიხედვით ვერ იქნებოდა ოფიციალური პირველწყარო. მან მოწმის სტატუსით თავის ჩვენებაში ისაუბრა საკუთარი ხანგრძლივი პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რომლის მსგავსი, შესაძლოა, დასავლეთ ევროპის არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს არ ჰქონია. ანდრეოტი, როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წამყვანი წარმომადგენელი, პარტიისა, რომელიც „ცივი ომის“ განმავლობაში აქტიურად ეწინააღმდეგებოდა იტალიის კომუნისტურ პარტიას, მოხარული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით. იგი პირადად იცნობდა აშშ-ის ყველა პრეზიდენტს, იტალიასა და მის ფარგლებს გარეთ იგი მიაჩნდათ იტალიის პირველი რესპუბლიკის (1945-1993 წწ.) ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად.

იმ პირობებში, როცა პირველ რესპუბლიკაში ძალიან მოკლე ინტერვალებში იცვლებოდა მთავრობები, ანდრეოტი ახერხებდა ხელისუფლების სათავეში დარჩენას. 35 წლისა იგი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა; პრემიერმინისტრის თანამდებობა შვიდჯერ შეინარჩუნა, 21-ჯერ იყო მინისტრი, მათ შორის ექვსჯერ — საგარეო საქმეთა მინისტრი. თაყვანისმცემლები მას იულიუს კეისარს ადარებდნენ და უწოდებდნენ „საოცარ ჯულიანოს“. კრიტიკოსები კი ბრალს სდებდნენ კულისებზე თაღლითობაში და „ბიძიას“ უწოდებდნენ. მისი დევიზი იყო განგსტერულ ფილმში „კარგი ბიჭები“ დე ნიროს მიერ წარმოთქმული სიტყვები — „არასოდეს დაასმინო მეგობრები და ენას კბილი დააჭირე“. ყველანი თანხმდებოდნენ, რომ ეს იყო მისი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელმაც მისცა თავის გატანის შესაძლებლობა ინტრიგებისა და ბოროტმოქმედების სამყაროში, რომელთა უმრავლესობაში თვითონ იყო ჩართული. **„გლადიოსა“ და ნატოს საიდუმლო არმიების შესახებ სიმართლის თქმით „ბიძიამ“ დუმილი დაარღვია.**

იმის გამო, რომ იტალიის პირველმა რესპუბლიკამ არსებობა „ცივი ომის“ დამთავრებისთანავე შეწყვიტა, გავლენიანი და უკვე დაბერებული ანდრეოტი მიიწვიეს რამდენიმე სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის, რომლებშიც მას ბრალად ედებოდა პოლიტიკური ძალაუფლების გადაჭარბება, მაფიასთან კავშირი და თავისი ოპონენტების დაღუპვაში თანამონაწილეობა. „მართლმსაჯულება ჭკუაზე შეიშალა“, — განაცხადა იმ დროს მოქმედმა პრემიერმინისტრმა **სილვიო ბერლუსკონიმ**, როცა 2002 წლის ნოემბერში ქალაქ პერუჯის სააპელაციო სასამართლომ ანდრეოტის 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იგი აღიარებული იქნა 1979 წელს დამოუკიდებელი ჟურნალისტის **მინო პეკორელის** მკვლელობის ორგანიზატორად, რათა დაეფარა სიმართლე ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის — **ალდო მოროს** მკვლელობის შესახებ. იუწყებოდნენ, რომ ეს მკვლელობა განხორციელდა მაფიის ხელმძღვანელ **გაეტანო ბადალამენტის** დახმარებით. კათოლიკური ეკლესია შეეცადა „საოცარი ჯულიოს“ გადარჩენას — კარდინალ **ფიორენზო ანჯელინის,** ეს შოკისმომგვრელი ამბავი რომ შეიტყო, აღმოხდა: „იესო ქრისტე ჯვარზე გააკრეს აღდგომის წინ...“ მაგრამ ამ გამწვავებული სიტუაციის მიუხედავად ანდრეოტის სიცოცხლე ციხის გისოსებს მიღმა არ დაუმთავრებია: სასამართლოს ვერდიქტი 2003 წლის ოქტომბერში გაუქმდა და „ბიძია“ გაათავისუფლეს.

იტალიელი სენატორების წინაშე 1990 წლის 3 აგვისტოს პირველი მხილების დროს ანდრეოტიმ ძალიან ჭკვიანურად განაცხადა, რომ „ამგვარი ქმედება 1972 წლამდე გრძელდებოდა“ და ამით ბრალდება თავიდან აიცილა. არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ 1974 წელს ანდრეოტიმ, რომელიც იმხანად თავდაცვის მინისტრი იყო, სასამართლო პროცესზე გამოსვლისას, სადაც განიხილებოდა მემარჯვენე რადიკალების მომხრეთა მიერ მასობრივი მკვლელობების საქმე, განაცხადა: „შემიძლია ვთქვა, რომ საიდუმლო სამსახურის მეთაური ყოველთვის და არაორაზროვნად აღკვეთდა ნებისმიერი საიდუმლო ორგანიზაციების არსებობას“. 1978 წელს მსგავსი რამ განაცხადა მოსამართლეთა წინაშე, რომლებიც იძიებდნენ მილანში მომხდარ აფეთქებას. **როცა იტალიის პრესამ ამხილა, რომ საიდუმლო ქვედანაყოფი „გლადიო“ არათუ გაუუქმებიათ 1972 წელს, არამედ აქტიურად განაგრძობდა მოქმედებას. ანდრეოტის სიცრუე გამჟღავნდა.** 1990 წელს ანდრეოტიმ დაიწყო აქტიური გამოსვლები საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე. მაგრამ, რადგან ამ გააქტიურებას საერთაშორისო მხარდაჭერა არ მოჰყვება, პრემიერმინისტრი, რომელსაც გაუჩნდა შიში თანამდებობის დაკარგვის, შეტევაზე გადავიდა და შეეცადა, საზოგადოებრიობის ყურადღება გადაეტანა თეთრი სახლისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობების პასუხისმგებლობაზე, რომლებიც არა მხოლოდ შეთანხმდნენ კომუნისტების წინააღმდეგ საიდუმლო ომის წარმოებაზე, არამედ აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პროცესში.

უცხო სახელმწიფოების მონაწილეობაზე ყურადღების მისაპყრობად ანდრეოტიმ ეფექტიანი, მაგრამ, ამასთანავე, საშიში სტრატეგია გამოიყენა. 1990 წლის 18 ოქტომბერს მან საჩქაროდ გაგზავნა თავისი შიკრიკი საპარლამენტო კომისიაში მომზადებული ანგარიშის მისატანად. დოკუმენტს ასეთი სახელწოდება ჰქონდა: „ეგრეთ წოდებული „ანალოგიური ორგანიზაცია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის პარალელურად მოქმედებდა“. „გლადიოს“ საქმე შიკრიკმა საპარლამენტო კომისიის მდივანს ჩააბარა. ამ კომისიის წევრი, სენატორი **რობერტო ჩიჩიომესერე** შემთხვევით შეესწრო ანგარიშის მიტანას და დაინტერესდა მისი შინაარსით. ტექსტს თვალი გადაავლო და ფრიად გაოცდა, რადგან ანგარიშში ანდრეოტი არა მხოლოდ აღწერდა „გლადიოს“ ოპერაციას, არამედ მისი 3 აგვისტოს განცხადების საწინააღმდეგოდ იუწყებოდა, რომ საიდუმლო არმია კვლავ მოქმედებდა.

სენატორმა შიკრიკს სთხოვა ამ ანგარიშის ასლი გადაელო და მისთვის გადაეცა, მაგრამ უარი მიიღო, რადგან არსებული წესით, ანგარიში პირველად კომისიის თავმჯდომარეს, სენატორ გუალტიერის უნდა წაეკითხა. თუმცა გუალტიერამდე ანგარიშის ამ ვერსიამ მაინც ვერ მიაღწია, რადგან იმ მომენტში, როცა კომისიის თავმჯდომარე აპირებდა ამ დოკუმენტის ჩადებას თავის პორტფელში, რათა უქმე დღეებში წაეკითხა, დარეკა ტელეფონმა და თავად პრემიერმინისტრმა სთხოვა სენატორს სასწრაფოდ დაებრუნებინა ანგარიში, რადგან „გადასაკეთებელი იყო რამდენიმე აბზაცი“. გუალტიერიმ გაითვალისწინა მთავრობის თავმჯდომარის თხოვნა და დაუბრუნა დოკუმენტი, რომლის ასლი ყოველი შემთხვევისთვის დაიტოვა. ანდრეოტის ხრიკებმა სრულიად იტალია აღაშფოთა და გააძლიერა ისედაც დაძაბული სიტუაცია. გაზეთები აჭრელდა სათაურებით — „ოპერაცია „ჯულიო“, რომლითაც მიანიშნებდნენ „ოპერაცია „გლადიოზე“; კომუნისტების მიერ ორგანიზებული 50 000-დან 400 000-მდე უკმაყოფილო, შეშინებული და აღშფოთებული ადამიანების დემონსტრაცია სიმღერითა და ბანერებით „ჩვენ გვსურს ვიცოდეთ სიმართლე!“ რომის ცენტრისკენ დაიძრა. ზოგიერთი დემონსტრანტი გლადიატორის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. იტალიის კომუნისტური პარტიის ლიდერმა **აქილევს ოკეტომ** სიტყვით მიმართა პიაცა დელ პოპოლოზე შეკრებილ ადამიანებს და განაცხადა, რომ ეს დემონსტრაცია აიძულებს ხელისუფლებას, გაამჟღავნოს თავისი ყველა, დიდხანს დამალული საიდუმლო: „ჩვენ აქ ვართ, რათა მივაღწიოთ სიმართლეს და გამჭვირვალობას!“

24 ოქტომბერს სენატორმა გუალტიერიმ მიიღო ანდრეოტის ანგარიში „ანალოგიური ორგანიზაციის“ შესახებ, რომელიც ორი გვერდით იყო შემცირებული. ახალი რედაქცია სულ 10 გვერდს შეიცავდა. გუალტიერიმ შეადარა ეს ახალი ვერსია წინა მოხსენების ასლს და აღნიშნა, რომ ყველა საჩოთირო მომენტი, განსაკუთრებით, საერთაშორისო ურთიერთობებსა და სხვა ქვეყნებში ანალოგიურ საიდუმლო არმიების არსებობის შესახებ, გადაშლილი იყო. უფრო მეტიც, საიდუმლო, პარალელურად არსებულ ორგანიზაციებზე, რომლებზეც თავდაპირველად იყო ნათქვამი, რომ ისინი ამჟამადაც არსებობენ, ავტორი უცებ წარსულ დროში ალაპარაკდა. **საზოგადოებრივ სამსჯავროზე ანგარიშის გაგზავნა-დაბრუნება-გაგზავნის ანდრეოტისეულმა მცდარმა სტრატეგიამ მხოლოდ უარყოფითი შედეგი გამოიღო: უკვე შეუძლებელი შეიქნა რაიმეს დაფარვა. დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ასეთმა მანიპულაციამ მხოლოდ გააძლიერა საყოველთაო ინტერესი ანგარიშის გაკორექტირებული ნაწილების მიმართ, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბის თაღლითობას ეხებოდა და მიზნად ისახავდა პასუხისმგებლობის ტვირთის ჩამოღებას ანდრეოტის მხრებიდან.**

მაგრამ ამას საერთაშორისო მხარდაჭერა არ მოჰყვა.

**მიჩელი, რომელიც უწინ ნატოს უშიშროების სამსახურს ედგა სათავეში, 1974 წლის 17 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე თავგამოდებით ამხელდა ნატოს საიდუმლო არმიას, თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის სახელით რომ იყო შენიღბული: «სუპერგასაიდუმლოებული ორგანიზაცია, რომელიც ჩემი მითითებების თანახმად შეიქმნა? რა თქმა უნდა! მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი ორგანიზებული არ არის სახელმწიფო გადატრიალების მიზნით. ნატომ და აშშ-მა მთხოვეს ამის გაკეთება»**



იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ალდო მოროს მკვლელობა

**კასონმა იპოვა დოკუმენტები, რომლებმაც დაადასტურა მსოფლიოში უდიდესი სამხედრო ალიანსის — ნატოს — და მსოფლიოს ზესახელმწიფოს — აშშ-ის კავშირი «გლადიოს», იტალიისა და ევროპის სხვა მემარჯვენე რადიკალი ტერორისტების მიერ განხორციელებულ დივერსიებთან. ეს სამი შემადგენელი — აშშ, ნატო და ტერორისტები ერთ მთლიანობად წარმოდგა, რაც კასონისათვის ნიშნავდა, რომ სერიოზული საფრთხე დაემუქრა, თუნდაც იმიტომ, რომ მანამდე იტალიელ მოსამართლეებს, რომლებმაც ბევრი რამ იცოდნენ, ქუჩაში კლავდნენ**

გაგრძელება იქნება

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფალსიფიცირებულმა ალკოჰოლურმა სასმელმა 63 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა



**უკრაინის სურსათის უვნებლობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო სამსახურმა განაცხადა, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ფალსიფიცირებული ალკოჰოლის გამო მოწამვლის 140 შემთხვევა აღირიცხა, მათგან 63 ფატალურად დასრულდა.** ყველაზე მეტი მსხვერპლი ქალაქ ხარკოვში აღირიცხა — დაიღუპა 49 ადამიანი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მონაცემების მიხედვით, გარდაცვლილთაგან 37-ს სისხლში მეთილის სპირტი აღმოაჩნდა.



## ირაკლი ღარიბაშვილი: მზად ვარ, დავბრუნდე

**ყოფილი პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მზად არის, თუ „ქართულ ოცნებას“ დასჭირდება, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისევ ჩაერთოს.**

„მე, როგორც ყოფილი პრემიერმინისტრი და როგორც „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ყოფილი თავმჯდომარე, მზად ვარ, თუ ეს გუნდს დასჭირდება, მხარში დავუდგე არჩევნების განმავლობაში. სიაში არ ვაპირებ ყოფნას, ვინაიდან მე ვიყავი ამ პარტიის თავმჯდომარე, ვიყავი კოალიციის ლიდერი. შესაბამისად, მინდა, წარმატება ვუსურვო ახალ გუნდს“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.



## «ისლამურმა სახელმწიფომ» კიდევ ერთი ქალაქი დათმო

**ისლამისტები სირიაში პოზიციებს კარგავენ. თურქეთის მიერ მხარდაჭერილმა ამბოხებულთა დაჯგუფებებმა ქალაქი დაბიქი დაიკავეს.**

დაბიქი ისლამისტებისთვის სიმბოლური მნიშვნელობის ქალაქია, რომელშიც, მათი რწმენით, მუსლიმანებისა და ქრისტიანების ბოლო ბრძოლა უნდა მოხდეს. ამ ბრძოლამ კი სამყაროს არსებობა უნდა დაასრულოს. ქალაქი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს არ წარმოადგენს, თუმცა ისლამისტებმა ის აპოკალიფსური ბრძოლის სიმბოლოდ გამოაცხადეს.

## «გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება მიხეილ სააკაშვილის სცენარის ერთ-ერთი სეგმენტი იყო»

**„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტარი გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებში შედიოდა და მიხეილ სააკაშვილის რევოლუციური სცენარის ერთ-ერთი სეგმენტი იყო.**



„იმედი მაქვს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და მათი მხარდამჭერები რადიკალურად შეიცვლიან პოზიციას ან გამოხატავენ ძალიან მკაფიო პოზიციას ამ სცენარის მიმართ. ამ სცენარის ერთ-ერთი სეგმენტი იყო გივი თარგამაძის აფეთქებაც და ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებში. სცენარში ვგულისხმობ იმას, რასაც ღიად და შემდეგ უკვე ფარული ჩანაწერებით საუბრობენ სააკაშვილი და მისი მოკავშირეები თუ თანაგუნდელები — დამხობა, არეულობა, კრიზისის შექმნა, მკვლელობების გახშირება. ასეულობით მკვლელობა მოხდება, — ასე ამბობდა სააკაშვილი „ფორბსთან“ ინტერვიუში, რომელიც მრავალგზის იყო ტირაჟირებული „რუსთავი 2“-ის მიერ – ჩამოიშლება ბიუჯეტი, დაინგრევა ეკონომიკა, ჩვენ ამ დროით უნდა ვისარგებლოთ და დავამხოთ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი. შემდეგ იყო ჩანაწერები იმავე გვარამიასთან, ბოკერიასთან“, — განაცხადა ვოლსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, ეს არის დაპირისპირების, კრიზისის შექმნის სცენარი, რომლის ნაწილი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რამდენიმე წევრის გადაწყვეტილება, საარჩევნო კოდექსის დიდი ნაწილი აღიარებული ყოფილიყო არაკონსტიტუციურად, შექმნილიყო პოლიტიკური კრიზისი.

„შეიძლება, ჩიორა თაქთაქიშვილსა და გიორგი კანდელაკს წარმოდგენა არ ჰქონდათ, შეიძლება, გივი თარგამაძესაც. როდესაც ასეთი რამ იგეგმება. არ არის აუცილებელი, პოლიტიკური თანაგუნდელები მონაწილეობდნენ. როდესაც ასეთი დონის დაპირისპირებები იგეგმება საქართველოში, რაზეც სააკაშვილი ღიად საუბრობდა და არაერთხელ, ეს ცოტა სხვანაირად ხდება. იმედი მაქვს, ჩემზე უფრო კომპეტენტური ორგანოები მიიყვანენ გამოძიებას ბოლომდე და გააკეთებენ უფრო მკაფიო განცხადებას...

მე არ ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც სააკაშვილმა ჩაიფიქრა ეს. მე ვფიქრობ, რომ არსებობს ამ ქაოსიდან, ამ არეულობიდან დივიდენდის მიმღები დაინტერესებული უამრავი მხარე. ეს ქაოსი, დაპირისპირების დაგეგმვა, სცენარი სააკაშვილმა შექმნა და არ გამოვრიცხავ, ეს თემაც, ეს აფეთქებაც იყოს ამ სცენარის ნაწილი. როცა შენ შექმნი ამ მდგომარეობას ან ცდილობ, რომ შექმნა, ნებისმიერი თემა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც ამ ქვეყნის სტაბილურობის წინააღმდეგია. სააკაშვილი ამ ქვეყნის სტაბილურობის წინააღმდეგია. მე დასკვნებს არ ვაკეთებ, მე აღვწერ სიტუაციას და ამ ყველაფერს რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს“, — აღნიშნა გია ვოლსკიმ.

### ირაკლი კობახიძე:

## ეს არის «ნაციონალური მოძრაობის» მიერ დაგეგმილი იაფფასიანი კამპანია



**„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის — ირაკლი კობახიძის შეფასებით, არანაირი საფრთხე საკონსტიტუციო უმრავლესობაში არ არსებობს. ამის შესახებ კობახიძემ პროდასავლური პოლიტიკური პარტიებისადმი სამოქალაქო საზოგადოების ნაწილის მიმართვის კომენტირებისას განაცხადა.**

„ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილი იაფფასიანი კამპანია, რომელიც არსებითად „რუსთავი 2“-ის მეშვეობით ხორციელდება. ამაში ჩართეს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ პირდაპირ ასოცირებული ადამიანები, რომლებიც „სამოქალაქო სექტორის“ სახელით გამოდიან. რეალურად ამ კამპანიას არ აქვს საფუძველი. არანაირი საფრთხე საკონსტიტუციო უმრავლესობაში არ არსებობს, პირიქით, ჩვენ დავამტკიცეთ გასული 4 წლის განმავლობაში, რომ ამ ქვეყნის მხოლოდ წინ წაყვანა გვსურს და შეგვიძლია. ეს დაამტკიცა ჩვენმა პირველმა პრემიერმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც სწორედ მისი ინიციატივით შეიზღუდა პრემიერმინისტრის კომპეტენციები 2013 წელს. გახსოვთ, ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა მიხეილ სააკაშვილმა. მთლიანად მასზე იყო მორგებული კონსტიტუცია და ასეთ პირობებში სწორედ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით შეიკვეცა მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებები. ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ის, რომ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციის დახვეწა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეუქცევადი პროცესის უზრუნველყოფა არის ჩვენი ამოცანა“, — განაცხადა კობახიძემ.

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა გაავრცელა მიმართვა, რომლითაც პროდასავლურ პოლიტიკურ პარტიებს არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციის კანდიდატების მხარდაჭერისკენ მოუწოდეს. მიმართვაში აღნიშნულია, რომ არსებობს საფრთხე, ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა დამკვიდრდეს, ამის თავიდან ასაცილებლად კი მათ მხარი უნდა დაუჭირონ ოპოზიციას. მიმართვის ავტორების მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ ,,ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს, არსებობს საშიშროება, ქვეყანამ დემოკრატიული პრინციპებიდან გადაუხვიოს.



ნუკრი ქანთარია:

## გივი თარგამაძეს არ უნდა, დაიჯეროს, რომ შეიძლება მისმა თანაგუნდელმა გაწირა

**„ქართული ოცნების“ წევრ ნუკრი ქანთარიას ვარაუდით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის — გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების კვალი ოდესამდე მიდის. ქანთარია გამოძიების მსვლელობასაც ეხმაურება და აცხადებს, რომ გამოძიების პირველი ეტაპი „შესაშური წარმატებით“ ჩატარდა.**



„ჩემი ვარაუდით, ყველა კვალი მაინც ოდესამდე მიდის, მაგრამ, ბუნებრივია, გამოძიების საბოლოო ვერდიქტს უნდა დაველოდოთ და შემდეგ, რასაკვირველია, სასამართლოს. მე მაქვს ჩემი არგუმენტები, ამის შესახებ ხშირად მითქვამს, არ შემცვლია აზრი, თუმცა ისევ მინდა ვთქვა, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ვარაუდი, რომელიც გარკვეულ ლოგიკას ეყრდნობა. გივი თარგამაძეს, ბუნებრივია, ხელს არ აძლევს და არ უნდა, დაიჯეროს, ერთი წამითაც დაუშვას ის, რომ მისმა თანაგუნდელმა შეიძლება გაწირა. ეს არ ნიშნავს, რომ ამის შესახებ იმ ხალხმა, რომელიც სიაშია, და პოლიტსაბჭომ იცოდნენ. ასეთი რაღაცები იცის ხოლმე ორმა-სამმა კაცმა. ერთ-ერთი მათგანი, ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილია, რომელიც არის ამის მოთავე. აქ, მგონი, არ იყო იმის განზრახვა, რომ გივი თარგამაძე უნდა დაღუპულიყო აუცილებლად. აქ იყო სამიზნე ჩვეულებრივი მოქალაქეები და სწორედ ამას უნდა გამოეწვია ძალიან დიდი ემოცია და ასეც მოხდა. ღმერთმა გადაარჩინა ეს ხალხი, ერთ-ერთი მათგანი, როგორც ვიცი, ისევ მძიმედ არის, მაგრამ მსხვერპლი არ ყოფილა. ისინი, დიდი ალბათობით, ფიქრობდნენ, რომ გივი, რა თქმა უნდა, გადარჩებოდა, მაგრამ გარკვეული ტრავმები თუ ექნებოდა, ეს ცუდი არ იყო“, — განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

## იუსტიციის სახლი სოციალურად დაუცველ მშობლებსა და მათ ახალშობილებს ახალ სერვისს შესთავაზებს

**„კეთილი იყოს შენი მობრძანება“ იუსტიციის სახლის ახალი პროექტია, რომელიც ამ დღეებში ამოქმედდა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით ხორციელდება.**

სერვისი სოციალურად დაუცველ ოჯახებში (100 000-მდე ქულა) დაბადებული ბავშვებისთვის არის განკუთვნილი და ის საქართველოს 19-ვე იუსტიციის სახლში ჩვილის დაბადების მოწმობასთან ერთად გაიცემა. სერვისი სპეციალური შეფუთვით პირველადი დანიშნულების ნივთების, ჰიგიენური საშუალებებისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ რეკომენდებული საკვები დანამატის საჩუქრად გადაცემას ითვალისწინებს. ამ პროექტისადმი ინტერესის ნიშნად ღონისძიებაში საფრანგეთი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ანტუან ბარდონიც მონაწილეობდა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ ბავშვებზე მორგებულ ამგვარ



სერვისებს ქველმოქმედი დამფინანსებლები გამოუჩნდებიან. იუსტიციის მინისტრთან ერთად ანტუან ბარდონის მიერ შექმნილი საქველმოქმედო ფონდი „შალვე“ კი ამ პროექტის მხარდამჭერი და გულშემატკივარი იქნება.




## პროფესორი კაბლუკოვი: „აქამდე ქართველ ქალებს ფიზიკური სილამაზით ვიცნობდით ლერმონტოვისა და მხატვარ ზიჩის წყალობით, ახლა კი ამას გონებრივი სრულყოფაც ემატება“.

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“ მკითხველს რეგულარულად მოუთხრობს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ისტორიის საინტერესო მომენტებზე, არამედ იმ ადამიანებზე, რომლებმაც სხვადასხვა პერიოდში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლოს გადარჩენისა და განვითარების საქმეში — ხელი შეუწყვეს მეცნიერების, კულტურის განვითარებას, ქვეყნის წინსვლას. ღვაწლი ამ პიროვნებებისა ისე დიდია, რომ იგი თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს და დავიწყებას არ უნდა მიეცეს. ჩვენი პუბლიკაციების მიზანიც სწორედ ეს არის.

ჟურნალის მეათე (ოქტომბრის) ნომერში, რუბრიკა „თერგდალეულები“ დაეთმობა ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **რუსუდან ნიკოლაძის** ღვაწლსა და საქმიანობას, პირველ ქალს რუსეთის იმპერიაში, რომელმაც იმ პერიოდში „საუნივერსიტეტო ნიშანი“ მიიღო. თუ რას ნიშნავს ეს, პუბლიკაციიდან შეიტყობთ. წერილი მომზადდა ალექსანდრე სიგუას ნარკვევის — „მეცნიერი და მოქალაქე“ (1975წ.) მიხედვით.

# პირველი ქალი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც «საუნივერსიტეტო ნიშანი» მიიღო

დასასრული. დასაწყისი იხ. №37 (366)

1913 წლის ივნისში თბილისში გაიმართა ბუნებისმეტყველთა მე-13 ყრილობა, რომლის საპატიო თავმჯდომარე იყო ცნობილი ექიმი კურორტ აბასთუმნის „მამა“ **ილია გოპაძე**, ყრილობას კი ხელმძღვანელობდა ცნობილი მოსკოველი ქიმიკოსი, პროფესორი **კაბლუკოვი**, რომლის წინადადებითაც ყრილობის მორიგი სხდომის საპატიო მდივნად აირჩიეს რუსუდან ნიკოლაძე. აი, რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით პროფესორმა კაბლუკოვმა: **„აქამდე ქართველ ქალებს ფიზიკური სილამაზით ვიცნობდით ლერმონტოვისა და მხატვარ ზიჩის წყალობით, ახლა კი ამას გონებრივი სრულყოფაც ემატება“.**

რუსუდანი ბავშვობიდანვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წრეში ტრიალებდა. ესენი იყვნენ ნიკოს ახლო ნათესავები და მეგობრები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, რომელსაც პირველ ცოლად ჰყავდა რუსუდანის მამიდა ოლიმპიადა ნიკოლაძე. ნიკოს მეორე და, ფროსიკო, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის — ალექსი ჭიჭინაძის ცოლი იყო. აი, ის წრე, სადაც ფეხი აიდგეს ნიკო ნიკოლაძის შვილებმა...

მეფის რუსეთში 1907 წლამდე უნივერსიტეტის კარი დაკეტილი იყო ქალებისთვის. ნიკო ნიკოლაძემ, რომელსაც დიდი ავტორიტეტი და ფართო ნაცნობობა ჰქონდა არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ ევროპაშიც, მოახერხა რუსუდანის მოწყობა ორი წლით ადრე პეტერბურგის ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ისტორიკოსი **პლატონოვი**. ამ ინსტიტუტმა, რომელსაც ქალთა უნივერსიტეტი ერქვა, რუსუდანს მის მიერ არჩეული სხვადასხვა დარგის გასაცნობადაც ფართოდ გაუღო კარი. და აი, რატომ: ამ სასწავლებლის ახალგაზრდა, ნიჭიერ პროფესორთა მოწინავე (მოსოციალისტო) ჯგუფი ახლოს იდგა მოსკოვისა და პეტერბურგის იმდროინდელ ყველაზე მოწინავე საზოგადოებასთან — მწერლებთან, კომპოზიტორებთან და თეატრალური ხელოვნების მოღვაწეებთან. ეს პროფესორები: ქიმიკოსები — ვერხოვსკი და ლებედევი, მუსიკისმცოდნე, ფილოსოფოსი ლაპშინი და ისტორიკოსი პოლიევქტოვი, რომელიც ხელოვნების ისტორიის პროფესორიც იყო, იზიარებდნენ სტუდენტთა მოწინავე იდეებს და თანაუგრძნობდნენ მათ. ოთხივე პროფესორი თავიდანვე დაინტერესდა ოქროს მედალოსან ქალთა ჯგუფით, რომელიც არც ერთ საინტერესო კონცერტს, წარმოდგენას ან გამოფენას არ ტოვებდა უყურადღებოდ. სტუდენტთა ეს ჯგუფი მთლიანად გაირიცხა ინსტიტუტიდან 1905 წლის 9 იანვრის დემონსტრაციის თანაგრძნობისთვის, მაგრამ მათ მაშინვე გამოესარჩლა მოწინავე პროფესორთა ჯგუფი და ოცივე აღადგინეს ინსტიტუტში.

ამრიგად, რუსუდანი პირველი კურსიდანვე გაეცნო ხელოვნების ისეთ საინტერესო კერებსა და მიმართულებებს, როგორიც იყო, მაგალითად, კომისარჟევსკაიას ახალგახსნილი თეატრი, გორკის, ჩეხოვის, ანდრეევისა და იბსენის რევოლუციური სულისკვეთების მქონე პიესები — „მოაგარაკენი“, „მზის შვილები“, „თოლია“, „ვარსკვლავებისკენ“, „ცხოვრება ადამიანისა“, „მშენებელი სოლნესი“ და სხვ. ან კიდევ „დიდმარხვის“ სეზონისათვის მოსკოვიდან ჩასული სამხატვრო თეატრი, რომელშიც იმჟამად ორი ქართველიც მუშაობდა რეჟისორად: **ვახტანგ მჭედლიშვილი** და **აკაკი ფაღავა**. ამ თეატრის „გენერალიტეტი“ — სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალოვი და ლუჟსკი პოლიევქტოვის და მის საუნივერსიტეტო წრესთან ახლოს იდგნენ და მოსკოვიდან პეტერბურგში ჩამოსვლისას მისი და პროფ. პრესნიაკოვის ხშირი სტუმრები იყვნენ. ვერხოვსკისა და ლებედევის შემწეობით რუსუდანი ახლოს გაეცნო ხელოვან ხალხს: სომოვსა და დობუჟინსკის, სორინსა და სუდეიკინს, ოსტროუმოვალებედევას, ლიდია ვერხოვსკაიასა და სხვებს. ეს წრე ხან ერთ ოჯახში იყრიდა თავს, ხან — მეორეში. ვერხოვსკის უფროსი და ოლღა, აგრეთვე, მხატვარი, ცნობილი მუსიკოსი კრიტიკოს კარატიგინის მეუღლე იყო და მათთან პარასკევობით რევოლუციის წინა პეტერბურგის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებს შეხვდებოდით; ზოგი თეატრიდან გამოდიოდა, ზოგი — სხდომიდან.

...მშობლების წყალობით რუსუდანი ბავშვობიდანვე ეზიარა ევროპულ კულტურას, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად მან შემოიარა ევროპის


რუსუდან ნიკოლაძე

დიდი ქალაქები — პარიზი, ლონდონი, რომი, ბერლინი, ჟენევა, ვენა და სხვ. შინ შეისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, აგრეთვე, იტალიური და ჩეხური ენები.

რუსუდანი პარიზში ყოველ ჩასვლაზე სორბონის უნივერსიტეტში ისმენდა მარიამ კიურის, მასტანისა და ლეშატელიეს ლექციებს, ბერლინში თავის ძმა გიორგისთან ერთად — ზომბარტისა და სხვა გამოჩენილი პროფესორების ლექციებს. შვეიცარიაში ხვდებოდა და მეგობრობდა ცნობილ ფილოსოფოს ციგლერთან და ლაპშინთან, ჟენევის უნივერსიტეტში ისმენდა ქიმიკოს გრებესა და კერმანის ლექციებს...

**იმ დავასა და ცხარე კამათს, რომელიც იმართებოდა ხოლმე ნიკო ნიკოლაძისას თბილისსა და ქუთაისში, ფოთსა და ჯიხაიშში, მოსკოვსა თუ პეტერბურგში, პარიზსა თუ ლონდონში, ჟენევასა თუ ბერლინში, ციურიხსა თუ რომში, ისმენდა ცნობისმოყვარე და ნიჭიერი რუსუდანი და დღიურებსაც კი ადგენდა.** 1893 წელს 8-9 წლის გოგონამ თავის დღიურში დიდი ასოებით ჩაწერა ასეთი სტრიქონები: „გუშინ საოცარი ამბავი მოხდა: 50 წლის მკვდარი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯიდან თბილისში ჩამოასვენეს და აქ დამარხეს“.

რუსუდან ნიკოლაძის ბიოგრაფია მამამისის — ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიის გაგრძელებაა. ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალების შემდეგაც (1928 წ.) მის სახლში რუსუდანის წყალობით არ ჩამქრალა დიდი შემოქმედებითი ძიება, კამათი და აზრთა ჭიდილი. აქ კამათობდნენ, მსჯელობდნენ ძველსა და ახალ ლიტერატურაზე, თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებზე. ისმოდა გარდასულ დროთა საინტერესო მოგონებები. ისევ გრძელდებოდა ნიკოს მიერ დაწყებული მეგობრობის დიდი ტრადიციები.

1917 წელს რუსუდან ნიკოლაძე დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაება საგანმანათლებლო მუშაობაში. ჯერ მუშაობდა დიდი ჯიხაიშის სკოლებში (1921 წლამდე), შემდეგ კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განთქმული ქიმიკოსის — პეტრე მელიქიშვილის ლაბორატორიაში და ითვლებოდა მის ნიჭიერ მოწაფედ.

**მას შემდეგ, რაც ნიკო ნიკოლაძემ სოფელ დიდ ჯიხაიშში მოაწყო საცდელი მეურნეობა, გაიყვანა გზები, სარწყავი არხები, დააარსა ფოსტა-ტელეგრაფი, საავადმყოფო და სხვა კულტურული დაწესებულებანი, ჯიხაიში გახდა დასავლეთ საქართველოს კულტურის ცენტრი, სადაც ჩამოდიოდნენ დიდი ქართველი მწერლები — აკაკი წერეთელი, იონა მეუნარგია, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები, წლების განმავლობაში ჯიხაიშის საავადმყოფოში მუშაობდა ცნობილი ექიმი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე გომართელიც.**

ჯიხაიშში მოწყობილ ნიკოს საცდელ მეურნეობაზე ლაპარაკობდნენ არა მარტო მოსკოვსა და პეტერბურგში, არამედ პარიზსა და ლონდონში, ბერლინსა და რომში, ჟენევასა და მადრიდში, სადაც ნიკო ნიკოლაძეს მრავალი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა. ჯიხაიშში საცდელი მეურნეობის სანახავად საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიოდნენ მეცნიერ მუშაკები, ფერმერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ფოთში ნიკოს კოშკს ეწვივნენ მერეჟკოვსკი და მისი მეუღლე ზინაიდა გიპიუსი, რომლებიც ნიკომ ფოთიდან ჯიხაიშში ჩამოიყვანა და თავისი საცდელი მეურნეობა დაათვალიერებინა.

**ნიკომ, აგრეთვე, პირველად საქართველოში სოფელ დიდ ჯიხაიშში გიმნაზია გახსნა, რომელშიც მოიწვია საუკეთესო მასწავლებლები.**

1917 წელს რუსუდან ნიკოლაძე პეტერბურგიდან დიდ ჯიხაიშში ჩამოვიდა მამასთან და იქ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მაგრამ, სანამ რუსუდანი ჯიხაიშში ჩამოვიდოდა, 1915-1917 წლებში სპეციალურად დაამთავრა პეტროგრადში პირველად გახსნილი სკოლამდელი აღზრდის კურსები, რომლის მიზანი იყო, რომ იტალიაში პირველად შემოღებული ბავშვების სწავლების ახალი სისტემა დანერგილიყო რუსეთის საბავშვო ბაღებში.

„ჩემდა სასიხარულოდ, — ამბობს რუსუდანი, — მას შემდეგ, რაც სოფლად ლექციამოხსენებები წავიკითხე მონტესორის სისტემის შესახებ, ბევრი მიმდევარი და მომხრე შევიძინე სკოლებში; და ამიტომ „არა მარტო საცდელი ჯგუფი მივიღე ერთი წლით ჩემს განკარგულებაში წერა-კითხვის „უწიგნო“ სწავლების დასადგენად“, არამედ დამევალა, ფართოდ გამეშალა მუშაობა სოფლად მონტესორის მეთოდით დაწყებითს სკოლებში სწავლის დანერგვისათვის და სისტემატურად წამეკითხა ლექცია-მოხსენებები სოფლის სკოლებში“.

საქართველოში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1921 წლიდან, რუსუდან ნიკოლაძე განათლების კომისარიატში იწყებს მუშაობას და მთელი ენერგიით ხელმძღვანელობს დაწყებითი შრომის სკოლებისა და საბავშვო ბაღების მუშაობას.

1925 წელს რუსუდან ნიკოლაძემ გამოსცა სქელტანიან წიგნი **„წერა-კითხვა საბავშვო ბაღში და შრომის სკოლაში“**, თუმცა რუსუდან ნიკოლაძის გვარი სახელმძღვანელოს ყდას არ აწერია. წიგნს ორი ავტორი — ს. მაჩაბელი და ნ. წულუკიძე — ჰყავს, მაგრამ ორივე ავტორს 315-გვერდიან სახელმძღვანელოში მხოლოდ 49 გვერდი ეკუთვნის, ისიც რუსუდან ნიკოლაძისა და მისი მამის — ნიკო ნიკოლაძის მიერ წაკითხული და შესწორებული. სახელმძღვანელოს წინასიტყვაობა და წიგნის თეორიულ-პრაქტიკული ნაწილი 61 გვერდიდან 315 გვერდამდე მთლიანად რუსუდანს ეკუთვნის, მისი დაწერილია და ეს სახელმძღვანელოშიც აღნიშნულია 61-ე გვერდზე.

1933-1974წლებში რუსუდან ნიკოლაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრაზე მოღვაწეობდა, იყო ამ კათედრის გამგე, მუშაობდა არაორგანული ქიმიის საკითხებზე, ავტორია მრავალი სამეცნიერო, მეთოდური და მემუარული ნაშრომისა. 1970 წელს დ. გვარამაძესთან ერთად შეადგინა ქიმიის ტერმინოლოგია.

მას შეეძლო ამაყად გადაეხედა მის მიერ განვლილი სასახელო გზისთვის და თამამად გაემეორებინა ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

**დაე, თუნდ მოვკვდე,**
**არ მეშინიან,**
**მაგრამ ისე კი,**
**რომ ჩემი კვალი**
**ნახონ მათ,**
**ვინცა ჩემს უკან ვლიან,**
**თქვან: ალასრულა მან**
**თვისი ვალი.**

რუსუდან ნიკოლაძე გარდაიცვალა 1981 წელს, 96 წლისა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მომზადდა
**ალექსანდრე სიგუას**
ნარკვევის „მეცნიერი და მოქალაქე“ (1975წ.)
მიხედვით,
„ისტორიული მემკვიდრეობა“
№10, 2016 წ.


მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის დაბადებიდან 80 წლისა და სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ბიბლიოთეკის კლუბში.
ტრიბუნასთან — რუსუდან ნიკოლაძე; უკან მარცხნიდან — კლარა რამიშვილი, როდიონ ქორქია, ანა ღვინიაშვილი და თამარ მაჭავარიანი

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არმსტრონგს აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის კოსმოსის სფეროში შეჯიბრება მშვიდობიან პაექრობად მიაჩნდა. მისი შეფასებით, ეს იყო „დაძაბული პაექრობა, რომელმაც, მართლაც, შესაძლებლობა მისცა ორივე მხარეს, გასდგომოდნენ დიდ გზას — კვლევის, სწავლისა და აღმოჩენების გზას. საბოლოო ჯამში, მან ყოფილ მეტოქეებს შორის თანამშრომლობის დაწყების მექანიზმი მოგვცა. ამდენად, ეს, სხვათა შორის, ორივე მხარისთვის იყო წმინდა წყლის ეროვნული ინვესტიცია.**




# 10 ნაკლებად ცნობილი ამბავი სსრ კავშირისა და აშშ-ის კოსმოსური პაექრობის ისტორიიდან

**ცივმა ომმა ადამიანებს არა მხოლოდ შიში ჩაუნერგა, არამედ უკეთესი მომავლის იმედიც. ეჯიბრებოდნენ რა ერთმანეთს სამხედრო სფეროში, ორივე ქვეყანა — სსრკ და აშშ — ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას ოპონენტზე სხვადასხვა სფეროში, მაგალითად, კოსმოსში.**
**1957-დან 1991 წლამდე კაცობრიობა მოწმე იყო პირველი კოსმოსური რაკეტის გაშვებისა, კოსმოსში პირველი გასვლისა და მთვარეზე ადამიანის ფეხის დადგმის. ამას ადამიანმა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წყალობით მიაღწია. ქვემოთ გთავაზობთ 10 საინტერესო კოსმოსურ ისტორიას ცივი ომის პერიოდიდან.**



## კოსმოსში პირველები ნაცისტები გავიდნენ

„ატმოსფეროს ფარგლებს გარეთ პირველი ჩვენ გავედით ჩვენი რაკეტის წყალობით“, — განაცხადა მეცნიერმა და მხიარულად ასწია სასმისი.

„დგება ტრანსპორტირების ახალი ერა — კოსმოსური ტრანსპორტირების“, — თქვა იმ დღეს ამ მეცნიერმა.

ეს მეცნიერი იყო **ვალტერ დორნბერგერი.**

დორნბერგერი ნაცისტი გახლდათ.

იდგა 1942 წლის 3 ოქტომბერი. მან და მისმა გუნდმა დაასრულეს მუშაობა ბალისტიკურ რაკეტა A-4-ზე (იგივე ფაუ-2). ეს იყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის არმიის მიერ შექმნილი პირველი რეალური საბრძოლო რაკეტა (ეს რაკეტა მოგვიანებით იქცა აშშ-ისა და სსრკ-ის რაკეტული იარაღისა და კოსმოსის ათვისების საფუძვლად); მთავარი კონსტრუქტორი — **ვერნერ ფონ ბრაუნი.**

ეს იყო ადამიანის მიერ შექმნილი პირველი საგანი, რომელმაც კოსმოსში შეაღწია (მისი ზოგიერთი ეგზემპლარი 189 კმ სიმაღლეზე ადიოდა); გამოიყენებოდა 1944—1945 წლებში. ამ პერიოდში ვერმახტმა გამოუშვა ასეთი 3000-მდე რაკეტა და იყენებდა ბრიტანეთისა და ბელგიის ქალაქების წინააღმდეგ, რასაც დაახლოებით 7 250 სამოქალაქო და სამხედრო პირის დაღუპვა მოჰყვა.

როცა ნაცისტები დამარცხდნენ, აშშ-სა და სსრკ-ს შორის დაიწყო მეტოქეობა ამ რაკეტებისა და მისი სპეციალისტების ხელში ჩასაგდებად. დიდი რაოდენობით ფაუ-2 და მისი ნაწილები ჩაიგდეს ხელში ამერიკელებმა და აშშ-ში გაგზავნეს. მათ ხელთ აღმოჩნდა ამ რაკეტის 126 წამყვანი სპეციალისტიც, მათ შორის ვერნერ ფონ ბრაუნი და ვალტერ დორნბერგერი.

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში აშშ-ის რაკეტული პროგრამა დამყარებული იყო გამოუყენებელი ფაუ-2-ის გაშვებაზე, რომელთა რიცხვმა 60-ს გადააჭარბა.

1946 წელს კოსმოსში (სუბორბიტულ ტრაექტორიაზე) გაუშვეს ცხოველები, სხვადასხვა სახის მწერები რადიაციის ზემოქმედების შესასწავლად. ზოგიერთი ფაუ-2 აღჭურვილი იყო WAC რაკეტით. 1949 წლის 24 თებერვალს ასეთმა რაკეტამ მიაღწია 400 კილომეტრ სიმაღლეს, მოძრაობდა საათში 8290 კმ სიჩქარით. ბევრი ასეთი რაკეტის გაშვება მშვიდობიან მიზანს ემსახურებოდა, მაგალითად, ატმოსფეროს ზედა ფენების გამოკვლევას.

ფონ ბრაუნი 1950 წელს სამუშაოდ გადავიდა აშშ-ის არმიის რედსტოუნის არსენალში ალაბამის შტატში. იგი ძალიან მალე შეიქნა თითქმის ყველა ამერიკული რაკეტის „მამა“, როგორიც იყო „რედსტოუნი“, „იუპიტერი“, „იუპიტერი-ც“, „პერშინგი“ და „სატურნი“.

საბჭოთა კავშირმაც, ასევე, ჩაიგდო ხელთ ფაუ-2 და მასზე მომუშავე სპეციალისტები. სტალინმა ზოგი მეცნიერი თანამშრომლობაზე დაითანხმა, ვინც ვერ დაითანხმა — აიძულა. მათთან სამუშაო კონტრაქტს 1945 წლის ზაფხულში მოეწერა ხელი. 1946 წელს ისინი აიძულეს, გადასულიყვნენ მოსკოვთან ახლოს, სადაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი 250 ინჟინრის შემადგენლობით. პირველი საბჭოთა რაკეტა იყო **P-1**, რომელიც გერმანული ფაუ-2-ის ზუსტი ასლი იყო. ამის შემდეგ საბჭოთა ინჟინრებმა შექმნეს მრავალი სხვადასხვა რაკეტა.

სსრკ-ში მყოფი გერმანელი სპეციალისტების მიერ შექმნილი რაკეტების დადებით ტაქტიკურ-ტექნიკურ მონაცემებს საბჭოთა ინჟინრები ათავსებდნენ თავიანთ ნიმუშებთან. ამ გზით საბჭოთა კავშირმა რაკეტმშენებლობაში გამოცდილება დააგროვა. გერმანელი სპეციალისტები კი 50-იანი წლების დასაწყისში დაბრუნდნენ გერმანიაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა სპეციალისტებმა მთლიანად მიიღეს მათთვის საჭირო გამოცდილება მათგან.

როცა **აშშ-მა და სსრ კავშირმაც ახალი პროექტების შექმნაზე მუშაობა წარმატებით დაასრულეს, დაიწყო კოსმოსური პაექრობა. შეიქმნა აეროკოსმოსური სააგენტო NASA, რომელიც, პრაქტიკულად, აშშ-ის მიერ შეწყალებულმა ნაცისტმა მეცნიერებმა დააარსეს.**



## სსრ კავშირისა და აშშ-ის სწრაფვა კოსმოსში გავლენისთვის

როცა აშშ-მა გადაწყვიტა თავისი პირველი რაკეტის დედამიწის ორბიტაზე გაშვება, იმხანად ამერიკის პრეზიდენტ **დუაიტ ეიზენჰაუერს** ერთი საკითხი აფიქრებდა: ხმელეთსა და წყალზე შესაძლებელი იყო საზღვრების დაწესება, მაგრამ არავის არასდროს მოსვლია აზრი, როგორი უნდა ყოფილიყო ეს საზღვრები კოსმოსურ სივრცეში. მაგალითად, თუკი ამერიკული კოსმოსური ზონდი აღმოჩნდებოდა საბჭოთა საჰაერო სივრცეში, ამ ინციდენტს, შესაძლოა, რეალური ომის საფრთხე შეექმნა.

ამიტომ **ეიზენჰაუერმა დაიწყო ბრძოლა ე.წ. თავისუფალი კოსმოსური სივრცისთვის. შედგენილი მემორანდუმის თანახმად, ის, რაც იყო 100კმ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, უნდა მიკუთვნებოდა თავისუფალ კოსმოსურ სივრცეს და არ უნდა ყოფილიყო რომელიმე სახელმწიფოს საკუთრება.**

ასეთ ფორმულირებას არ დაეთანხმა სსრ კავშირი. საბჭოთა ხელისუფლებას უნდოდა, რომ ეს საზღვარი გაცილებით მაღლა ყოფილიყო.

ბოლოს და ბოლოს, ეიზენჰაუერმა თავისას მაინც მიაღწია, მაგრამ წააგო ტექნიკურად, დედამიწის ორბიტაზე პირველი სწორედ საბჭოთა აპარატი — **„სპუტნიკ-1“** გავიდა.

სპუტნიკის პროგრამით საბჭოთა კავშირმა 1957 წლიდან ხელოვნურ თანამგზავრთა მთელი სერია გაუშვა კოსმოსში. ამ ისტორიული ღონისძიების სულისჩამდგმელი იყო **სერგეი კოროლიოვი.**

**„სპუტნიკ-1“ კაცობრიობის ისტორიაში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი იყო, რომელიც კოსმოსში გაუშვეს 1957 წლის 4 ოქტომბერს, რაკეტა-მატარებლით — „P-7“.**

4 ოქტომბერი ითვლება კაცობრიობის კოსმოსური ერის დასაწყისად. „სპუტნიკ-1“ -ის გაშვება დიდი მოულოდნელობა იყო დასავლეთისთვის (უპირველეს ყოვლისა, აშშ-ისთვის), რომელიც სსრკ-ს, როგორც მეტოქეს რაკეტმშენებლობაში, სერიოზულად არ აღიქვამდა.

გარეგნულად „სპუტნიკ-1“ გამოიყურებოდა, როგორც გაპრიალებული სფერო ოთხი ანტენით. თანამგზავრს ჰქონდა ორი რადიოგადამცემი. რადიოსიგნალები, რომლებსაც თანამგზავრი გამოსცემდა, გამოიყენებოდა იმისათვის, რომ შეეგროვებინათ ინფორმაცია იონოსფეროში ელექტრონების რაოდენობის შესახებ.

თანამგზავრმა იარსება 1958 წლის 4 იანვრამდე. მასთან ერთად ორბიტაზე გავიდა რაკეტა-მატარებლის ზედა საფეხურიც, რომელიც ღამღამობით ჩანდა, როგორც პირველი ვარსკვლავური სიდიდის ობიექტი („სპუტნიკ-1“ გამოიყურებოდა, როგორც მეექვსე ვარსკვლავური სიდიდის ობიექტი).

რა თქმა უნდა, ეს აპარატი რაღაც მომენტში ამერიკის საჰაერო სივრცეში აღმოჩნდა, ამიტომ სსრ კავშირს შეთანხმებაზე ხელის მოწერის გარდა სხვა აღარაფერი დარჩა. საქმე სწორედ თანამგზავრ-მზვერავებში იყო, რომელთა ორბიტაზე ყოლაც სურდა ორივე ქვეყანას — სსრკ-საც და აშშ-საც.

## აშშ-მა და სსრკ-მა მოილაპარაკეს, რომ მთვარეზე ბირთვული აფეთქებები არ განეხორციელებინათ



როგორც კი კოსმოსში გაფრენა რეალობად იქცა, აშშ-მა და სსრკ-მა ხელი მოაწერეს დოკუმენტს „შეთანხმებას კოსმოსზე“. დოკუმენტის ძირითადი ნაწილი უკავშირდებოდა კოსმოსის თავისუფალ და მშვიდობიან დაპყრობასა და შესწავლას, მისი ერთი ნაწილი კი — მთვარეს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრი არ უნდა იქცეს სამხედრო ბაზების განთავსების ადგილად; რომ მთვარეზე არ შეიძლება, ასევე, ჯარისკაცების გაგზავნა და მათი სამხედრო წრთვნა. ამას გარდა, დედამიწის ორბიტაზე იკრძალება ბირთვული ან ნებისმიერი სხვა მასობრივი განადგურების იარაღის განთავსება.

ამასთანავე, **მოლაპარაკების მონაწილე ქვეყნებმა დაიკისრეს ვალდებულება, რომ არ დაბომბავდნენ მთვარეს, თუნდაც ცნობისმოყვარეობის მიზნით.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა ნილ არმსტრონგი და ედვინ ბაზ ოლდრინი პირველ ნაბიჯებს დგამდნენ მთვარეზე, საბჭოთა ზონდი მთვარის ზედაპირზე ეშვებოდა, მაგრამ ის მთვარეზე მთას შეეჯახა და დაიმსხვრა. მოგვიანებით მისი მისია „ლუნა-16“-მა შეასრულა. ის იყო პირველი საბჭოთა კოსმოსური აპარატი, რომელმაც დედამიწაზე მთვარის ნიმუშები ჩამოიტანა (1970 წ. 12-24 სექტემბერი.**



## სსრ კავშირში კოსმოსური ლაზერული პისტოლეტი შექმნეს

საბჭოთა ქვეყანაში მხოლოდ კოსმოსურ რაკეტებზე არ მუშაობდნენ. დასავლეთის აზრით, საბჭოთა ქვეყანა არამხოლოდ კოსმოსში პირველობისკენ მიისწრაფვოდა, არამედ უნდოდა, კოსმოსთან დაკავშირებულ ყველა სფეროში ჰქონოდა პრივილეგია, თუნდაც კოსმოსური კონფლიქტების საკითხებში. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა **კოსმოსური ლაზერული პისტოლეტი — არალეტალური იარაღი, რომლის დანიშნულებაც იყო შესაძლო მოწინააღმდეგის მგრძნობიარე ოპტიკური მოწყობილობების მწყობრიდან გამოყვანა როგორც კოსმოსური აპარატის დახურულ პირობებში, ისე ღია კოსმოსში.**

ბოლოს და ბოლოს, პროექტი დახურეს.

ამჟამად ეს პისტოლეტი პეტრე დიდის სახელობის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მუზეუმის ექსპონატია.

კოსმოსში მიფრინავდნენ შეიარაღებულნი, მაგალითად, ნახევრადავტომატური პისტოლეტი (უბრალოდ, ყოველი შემთხვევისათვის) ჰქონდა **იური გაგარინს**, ადამიანს, რომელიც პირველი გაფრინდა კოსმოსში. იარაღის წაღებაზე არც ამერიკელები ამბობდნენ უარს, მაგრამ ისინი მხოლოდ ცივი იარაღით — ჩვეულებრივი სამონადირეო დანებით იყვნენ შეიარაღებულნი. როგორც ჩანს, ლაზერულ იარაღზე მათ ეჭვიც არ ჰქონდათ.



## სსრკ და აშშ — ერთად მთვარეზე

გარკვეულ ხანს სსრკ წარმატებით მონაწილეობდა კოსმოსურ რბოლაში, მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სახელმწიფომ დაიწყო პოზიციების დათმობა. 1963 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ მიიწვია NASA-ს მეცნიერები გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამ შეხვედრების შემდეგ NASA-ს მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სსრ კავშირი წინააღმდეგი იყო ადამიანის მთვარეზე გაფრენის.

აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯონ კენედიმ** ეს არ დაიჯერა, მაგრამ სერიოზულად დაფიქრდა. შემდეგ კი მალე განაცხადა საბჭოეთთან ერთობლივი მუშაობის თაობაზე.

**თუ ხრუშჩოვის ვაჟიშვილს დავუჯერებთ, სსრ კავშირის ლიდერი მზად იყო, ამ წინადადებას დათანხმებოდა, მაგრამ კენედი მოკლეს, ხოლო მის შემცვლელ ენდრიუ ჯონსონს ხრუშჩოვი არ ენდობოდა, ამიტომ, როგორც კი აშშ-ში ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, მთვარის ერთობლივ დალაშქვრაზე მაშინვე თქვა უარი.**






## საბჭოთა ზონდი მთვარეზე მთას შეეჯახა

**ნილ არმსტრონგი** პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ფეხი დადგა მთვარეზე. ის მეთაურობდა კოსმოსურ ხომალდ „აპოლონ-11“-ს. საყოველთაოდაა ცნობილი მისი პირველი სიტყვები, როცა მთვარის ზედაპირზე დადგა ფეხი: **„ადამიანისთვის ეს არის ერთი პატარა ნაბიჯი, კაცობრიობისთვის კი — უზარმაზარი ნახტომი“.**

არმსტრონგმა თავის თანამგზავრ, ამერიკელ ასტრონავტ **ედვინ ბაზ ოლდრინთან** ერთად მთვარეზე სამი საათი დაჰყო. მათ იქ ყოფნას, ტელეეკრანებზე თუ რადიოთი, 600 მილიონი ადამიანი ადევნებდა თვალს.

**1969 წელს „აპოლონ 11“-ის ექსპედიცია — მთვარეზე პირველი ადამიანის გავლა — შეფასებული იყო, როგორც აშშ-ის გამარჯვება საბჭოთა კავშირზე კოსმოსის ათვისების სფეროში.**

როცა 1957 წელს საბჭოთა კავშირმა მოახერხა დედამიწის ორბიტაზე პირველი თანამგზავრის გაყვანა, რაც ტექნიკური თვალსაზრისით უდიდესი მიღწევა გახლდათ, მსოფლიო შოკირებული იყო.

„აპოლონის“ კოსმოსური მისიის დროს საბჭოთა მხარემ გადაწყვიტა, სხვა გეგმა აემუშავებინა. სსრ კავშირს უნდოდა, მთვარეზე რობოტიზებული ზონდი გაეგზავნა მთვარის გრუნტის ნიმუშების შესაგროვებლად. ეს აპარატი უნდა ყოფილიყო „ლუნა“. „ლუნა-15“ „აპოლონ-11“-ის გაშვებამდე სამი დღით ადრე გაემართა დედამიწის თანამგზავრისკენ.

**მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირი არ ამხელდა თავის გეგმებსა და „ლუნა 15“-ის ამოცანებს, ამერიკელებს ზუსტი ინფორმაცია მაინც მიაწოდა, საით მიემართებოდა „ლუნა-15“. ორივე ქვეყანამ თავიანთი გეგმები ერთმანეთს გააცნეს იმ მიზნით, რათა თავიდან აეცილებინათ კოსმოსური ხომალდების შეჯახება.**

**იმ დროს, როცა ნილ არმსტრონგი და ედვინ ბაზ ოლდრინი პირველ ნაბიჯებს დგამდნენ მთვარეზე, საბჭოთა ზონდი მთვარის ზედაპირზე ეშვებოდა, მაგრამ ის მთვარეზე მთას შეეჯახა და დაიმსხვრა. მოგვიანებით მისი მისია „ლუნა-16“-მა შეასრულა. ის იყო პირველი საბჭოთა კოსმოსური აპარატი, რომელმაც დედამიწაზე მთვარის ნიმუშები ჩამოიტანა (1970 წ. 12-24 სექტემბერი).**

არმსტრონგს აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის კოსმოსის სფეროში შეჯიბრი მშვიდობიან პაექრობად მიაჩნდა. მისი შეფასებით, ეს იყო „დაძაბული პაექრობა, რომელმაც, მართლაც, შესაძლებლობა მისცა ორივე მხარეს, გასდგომოდნენ დიდ გზას — კვლევის, სწავლისა და აღმოჩენების გზას. საბოლოო ჯამში, მან ყოფილ მეტოქეებს შორის თანამშრომლობის დაწყების მექანიზმი მოგვცა. ამდენად, ეს, სხვათა შორის, ორივე მხარისთვის იყო წმინდა წყლის ეროვნული ინვესტიცია.



## ნილ არმსტრონგმა მთვარეზე იური გაგარინის ერთ-ერთი მედალი წაიღო

მთვარეზე გაფრენის წინ ნილ არმსტრონგს, ბაზ ოლდრინსა და იური გაგარინის ცოლს შორის საუბარი გაიმართა. პირველი კოსმონავტი უკვე ერთი წლის გარდაცვლილი იყო და მისმა მეუღლემ ასტრონავტებს სთხოვა, მთვარეზე წაეღოთ გაგარინის ერთ-ერთი მედალი. მას ეს თხოვნა შეუსრულეს და მთვარეზე სხვა კოსმონავტებისა და ასტრონავტების მედლებთან ერთად გაგარინის მედალიც წაიღეს.

მოგვიანებით კი „აპოლონ-15“-მაც შეასრულა ანალოგიური დავალება — მთვარეზე წაიღო დაფა, რომელზეც ამოტვიფრული იყო იმ კოსმონავტებისა და ასტრონავტების სახელები, რომლებიც მისიის შესრულებისას ან სხვა დროს დაიღუპნენ.



## სსრ კავშირი «აპოლონ 13»-ის ეკიპაჟის გადასარჩენად გაეშურა

„აპოლონ-13“-ის მისია ჩაფლავდა — მომსახურების მოდულის საწვავის საკნები აფეთქდა და თან წაიღო კოსმოსში ჟანგბადის მარაგის ნახევარი. მისიის გუნდს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ შემოებრუნებინა აპარატი და ეცადა, მშვიდობით დაბრუნებულიყო დედამიწაზე.

საბჭოთა კავშირმა შეიტყო ამ ინციდენტის შესახებ და გამოხატა მზადყოფნა დასახმარებლად. როცა ამერიკულმა აპარატმა დედამიწის ატმოსფეროში შემოსვლა დაიწყო, საბჭოთა კავშირში ჩათვალეს, რომ საბჭოთა რადიოლოკაციური სადგურის ტალღები ნეგატიურად იმოქმედებდა დაშვებაზე, ამიტომ მიიღეს გააწყვეტილება, გამოერთოთ ყველა რადიოარხი, რომლებიც იმავე სიხშირეს იყენებდნენ, რომელსაც „აპოლონ-13“.

წყნარ და ატლანტის ოკეანეებში რამდენიმე საბჭოთა გემი გავიდა, რომლებიც მზად იყვნენ სამაშველო ოპერაციისთვის. საბოლოოდ მოდული ეკიპაჟით ამერიკულმა გემმა აიყვანა.



## «აპოლონის» ბოლო მისია საბჭოთა კავშირთან ერთად

სსრკ და აშშ არასდროს გაფრენილან მთვარეზე ერთად, მაგრამ კოსმოსურ სივრცეში ურთიერთთანამშრომლობდნენ. 1975 წელს პრეზიდენტ კენედის ოცნება რეალობად იქცა — „აპოლონის“ ბოლო მისია ერთობლივი იყო და მის ფარგლებში მოხდა საბჭოთა კოსმოსურ ხომალდ „სოიუზთან“ შეპირაპირება.

ორმა კოსმოსურმა ხომალდმა სტარტი 30 წუთის ინტერვალით აიღეს. ორი დღის შემდეგ მოხდა შეპირაპირება. მომდევნო ორი დღის განმავლობაში ორივე ხომალდის ეკიპაჟები ერთობლივ სამეცნიერო ექსპერიმენტებს ატარებდნენ, შედეგ კი დაბრუნდნენ დედამიწაზე.

გაფრენამდე ორივე მხარე ერთმანეთის ენას სწავლობდა, ანუ საბჭოთა კოსმონავტები სწავლობდნენ ინგლისურს, ამერიკელი კი — რუსულს, რათა გაადვილებოდათ ერთად მუშაობა.

## სსრკ და აშშ განიხილავდნენ ერთობლივ მისიას მარსზე

მას შემდეგ, რაც ამერიკელები მთვარეზე დასხდნენ, **მიხეილ გორბაჩოვმა** სურვილი გამოთქვა, დაეწყოთ ერთობლივი უპილოტო კოსმოსური მისიების სერიის წარმოება, რომლის უპირველესი ამოცანა იქნებოდა კოსმოსური აპარატის გაგზავნა მარსზე და მისი გამოკვლევა 2000 წლისთვის.

იდეას ორივე ქვეყანაში გამოუჩნდნენ მხარდამჭერები. ამერიკელმა კონგრესმენებმა მოუწოდეს კიდეც **რეიგანს**, დათანხმებულიყო.

ამ გეგმის რეალიზებისთვის ამერიკულმა მხარემ 1988 წელს პირველი ნაბიჯი გადადგა. ისინი დაეთანხმნენ საბჭოთა მხარეს 1994 წელს მარსზე კოსმოსური აპარატის გაშვებაში, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ აზრი შეიცვალეს. როგორც ჩანს, რეიგანს აწუხებდა ზედმეტი ფინანსური დანახარჯები. მოგვიანებით კი აშშ საერთოდ აღარ განიხილავდა სსრ კავშირს, როგორც კოსმოსური რბოლის ძირითად მოთამაშეს.

ასე დასრულდა ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა. რამდენიმე წელიწადში კი სსრკ დაიშალა და კოსმოსური პაექრობაც დასრულდა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მზის ბატარეები საკმაო რაოდენობის ენერგიას გამოიმუშავებს მცენარის ზრდისა და განვითარებისთვის საჭირო ტემპერატურის შესაქმნელად, ამასთანავე, სადგურებს, რომლებიც ზღვის წყალს ამტკნარებს, ენერგიით ამარაგებს. ამის შემდეგ ამ წყლით თავისუფლად შეიძლება მოირწყას გემრიელი და სასარგებლო პომიდორი, ასევე, სხვა ბოსტნეული.**



# ავსტრალიელ ფერმერებს მზის ენერგიის გამოყენებით უდაბნოში ბოსტნეული მოჰყავთ

**ავსტრალიის უდაბნოს სამხრეთით მდებარეობს ფერმა Sundrop Farms-ი, რომელიც მთლიანად მზის ენერგიასა და გამტკნარებულ ზღვის წყალზე მუშაობს.**

ბოსტნეული სათბურში მოჰყავთ. ეს ფერმა ენთუზიასტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგია, რომელთაც სურდათ, ეპოვათ გზა და საშუალებები მარცვლოვანი კულტურების ისეთ ადგილებში მოსაყვანად, სადაც არ არის მტკნარი წყალი, შესაბამისი ნიადაგი და ელექტრომომარაგება. მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ დროა, მივეჩვიოთ საკვების მოპოვებას მსგავს პირობებში, რადგან სუფთა წყალი და კარგი გრუნტი სულ უფრო იკლებს დედამიწაზე.

ჩვეულებრივ სათბურებში სარწყავად მტკნარი წყალი გამოიყენება, განათებისა და გარკვეული ტემპერატურის შესანარჩუნებლად კი — ელექტროენერგია, ხშირად გაჰყავთ ბუნებრივი აირი სათავსოს გასათბობად, მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუკი ეს ყველაფერი არ გვაქვს და ჭამა გვინდა?

აი საკითხის გადაწყვეტაც: **მზის ბატარეები საკმაო რაოდენობის ენერგიას გამოიმუშავებს მცენარის ზრდისა და განვითარებისთვის საჭირო ტემპერატურის შესაქმნელად, ამასთანავე, სადგურებს, რომლებიც ზღვის წყალს ამტკნარებს, ენერგიით ამარაგებს. ამის შემდეგ ამ წყლით თავისუფლად შეიძლება მოირწყას გემრიელი და სასარგებლო პომიდორი, ასევე, სხვა ბოსტნეული.**

სარკეები დღის განმავლობაში მზის მოძრაობის შესაბამისად ბრუნავს, ამგვარად მიღებული მზის ენერგია ათბობს ნავთობის რეზერვუარს, მისგან კი 1600C-მდე ცხელდება და ორთქლდება მლაშე წყალი. ორთქლი გამოიყენება სათბურის გასათბობად და წყლის გასამტკნარებლად საჭირო ელექტროენერგიის წარმოსაქმნელად. გამტკნარებულ წყალში კი მცენარეების მორწყვის წინ საკვებ ნივთიერებებს ამატებენ.

**ჯერ კიდევ სამი წლის წინათ ფერმის დამაარსებლებს ასეთ შედეგზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ. მეორე წლის ბოლოს ფერმაში მოიწიეს პირველი მოსავალი — 1 ტონა ბოსტნეული. ამჟამად კი სათბურებში 17 ტონა ბოსტნეული მოდის.**



# ჩვენი უახლოესი ეგზოპლანეტა, შესაძლოა, მთლიანად წყლით იყოს დაფარული

**ჩვენგან 4,2 სინათლის წლით დაშორებულია პროქსიმა ბ — ჩვენთან ყველაზე ახლოს არსებული, პოტენციურად დასახლებული, დედამისის მსგავსი ეგზოპლანეტა, ანუ პლანეტა, რომელიც მზის სისტების საზღვრებს გარეთ მდებარეობს. ახალმა კვლევებმა დაამტკიცა, რომ პლანეტა წყლითაა დაფარული. ნუთუ დროა, ჩავალაგოთ ჩემოდნები?**

აქამდე მზის სისტემასთან ყველაზე ახლოს მდებარე პლანეტად, რომელზეც, შესაძლოა, სიცოცხლე არსებობდეს, პლანეტა Wolf1061c ითვლებოდა.

ამა წლის აგვისტოში სამხრეთევროპული ობსერვატორიიდან (ESO) დაადასტურეს ქვიანი პლანეტის აღმოჩენა, რომელიც ვარსკვლავ **პროქსიმა ცენტავრის** გარშემო ბრუნავს და „წითელი ჯუჯების“ კლასს მიეკუთვნება. სრული წრისშემოვლას ვარსკვლავის გარშემო პლანეტა 11 დღეს ანდომებს.

მეცნიერების განმარტებით, პლანეტის ტემპერატურა ისეთია, რომ მასზე, შესაძლოა, იყოს წყალი, კლიმატი კი — სიცოცხლისთვის შესაბამისი. ამასთანავე, მასზე კლიმატი დედამიწის კლიმატისგან განსხვავებულია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ახალაღმოჩენილ პლანეტაზე წელიწადის დროები არ იცვლება.

ჯერ ადრეა ლაპარაკი მასზე ცხოვრების შესაძლებლობაზე, მაგრამ **ახალი კვლევა, რომლის შედეგებიც გამოქვეყნდა ASTROPHYSICAL JOURNAL-ში, იმაზე მიანიშნებს, რომ პროქსიმა ბ-ზე შესაძლოა იყო ოკეანეები ან მხოლოდ ერთი გიგანტური ოკეანე, რომელიც პლანეტის მთელ ზედაპირს ფარავს.**

საერთოდ, **პროქსიმა ბ** დასაკვირვებლად მეტად საინტერესო პლანეტაა. მისი მასა დაახლოებით 1,3-ჯერ მეტია დედამიწის მასაზე. მასზე სიცოცხლის არსებობა პრობლემას არ უნდა იყოს, რადგან **პროქსიმა ცენტავრი**, ამ პლანეტის მშობლიური ვარსკვლავი, დაახლოებით ათასჯერ სუსტია ჩვენს მზეზე. ამას გარდა, პლანეტა მდებარეობს სასიცოცხლო ზონაში, ანუ მის ზედაპირზე წყალი თხევად მდგომარეობაშია.

სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ აღმოჩენილ პლანეტაზე, შესაძლოა, სიცოცხლე იყოს. იმასაც ვარაუდობენ, რომ მომავალში პლანეტამდე მიღწევა პრობლემა არ იქნება. დედამიწის მსგავსი ეს პლანეტა ნამდვილად საუკუნის აღმოჩენა იქნება.






# მეცნიერებმა აბრეშუმის ჭიას უმტკიცესი ძაფის გამომუშავება «ასწავლეს»

**აბრეშუმის ჭია 26-32 დღის განმავლობში იკვებება თუთის ხის ფოთლებით, შემდეგ კი იწყებს პარკის ახვევას უწყვეტი აბრეშუმის ძაფით, რომლის სიგრძე 300-დან 1500 მეტრამდეა. ეს ტეტრა პარკები აქტიურად გამოიყენება ამრეშუმის წარმოებაში.**

აბრეშუმის ძაფის სისქე შეადგენს სულ რაღაც 20-23 მიკრომეტრს. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩინელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტების შედეგად შეძლეს მიეღოთ ისეთი მტკიცე აბრეშუმის ძაფი, როგორიც სპაიდერმენსაც კი შეშურდებოდა.



**ცინხუას უნივერსიტეტის მეცნიერებმა მარტივი გზით აიძულეს აბრეშუმის ჭია, ეჭამა 0,2 %-იანი ნახშირბადის ხსნარით დანამული თუთის ფოთლები. ამის შემდეგ მათ აძლევდნენ პარკის ახვევის საშუალებას. კვლევებმა აჩვენა, მიღებული აბრეშუმის ძაფი 50%-ით უფრო მტკიცეა ჩვეულებრივზე. მისი კიდევ ერთი განსაკუთრებულობა არის ის, რომ ელექტროგამტარია.** ამის შესამოწმებლად საჭიროა მისი გაცხელება 1050 გრადუსამდე. გაგრილების შემდეგ ქსოვილი თავის თვისებებს ინარჩუნებს.

ჩინელი მკვლევარები აღნიშნავენ, მიღებული ძაფის გამოყენება მომავალში კარგი იქნება „ჭკვიანი ტანსაცმლის“ შესაქმნელად, რომლისთვისაც საჭიროა უწვრილესი ელექტროგამტარი. ცხადია, ეს ძაფი გაცილებით უკეთესია, ვიდრე მსხვილი ლითონის მავთულები.

იშხნის ტაძარი ასეთი იატაკით იყო დაფარული. მასალად გამოყენებულია კირხსნარი – თეთრად, აგურისფრად და შავად დაფერილი. ასეთი სიძველის, ასეთი სისრულისა და ასეთი მხატვრული შესრულების იატაკი არც ერთ სხვა ქართულ ტაძარს არ შერჩენია — ასეთ დასკვნას აკეთებენ მეცნიერები.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტაო-კლარჯეთში იშხნის რესტავრაციისას მკვლევარებმა ტაძრის იატაკი აღმოაჩინეს

**VII საუკუნეში აგებულმა, IX-ში მეორედ აშენებულმა და X-ში გაფართოებულმა იშხნის ტაძარმა საბოლოო სახე 1032 წელს მიიღო, ბაგრატ IV-ის მეფობის ჟამს. სტილის მიხედვით და ტაძრის ისტორიის გათვალისწინებით, იატაკიც 1032 წლის რეკონსტრუქციის პერიოდისა უნდა იყოს.**



იატაკის ერთი ნაწილი პირველად 3 წლის წინათ, სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებისთანავე, ინტერიერში მიწის ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა. მაშინ მხოლოდ მცირე ფრაგმენტების დაფიქსირება მოხერხდა, რომელსაც რესტავრატორებმა მალევე კვლავ მიწა მიაყარეს.

მას შემდეგ, რაც იშხნის რესტავრაციის დროს ტაძრის იატაკი მთლიანად გაწმინდეს, გამოჩნდა, რომ იატაკი სრულად ყოფილა დაცული დასავლეთ მხარეს. ფრაგმენტები გადარჩენილა გუმბათქვეშა სივრცეშიც — ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში.

როგორც ჩანს, მთელი ტაძარი ასეთი იატაკით იყო დაფარული. მასალად გამოყენებულია კირხსნარი — თეთრად, აგურისფრად და შავად დაფერილი. ასეთი სიძველის, ასეთი სისრულისა და ასეთი მხატვრული შესრულების იატაკი არც ერთ სხვა ქართულ ტაძარს არ შერჩენია — ასეთ დასკვნას აკეთებენ მეცნიერები.



# უნიკალური ხიდი წყლის დონის ქვევით

**ჰოლანდიაში არის ხიდი, რომლითაც ქვეყანა ხელოვნურად შექმნილ კუნძულ ფლევოლენდს უკავშირდება. ხიდი გენიალური ინჟინრული ნამუშევარია, ის ფიზიკის კანონებს ეწინააღმდეგება და სწორედ ამიტომაა უჩვეულო და განსაკუთრებული.**

ხიდის შექმნის მიზანი იყო, ტრანსპორტს შეუფერხებლად ემოძრავა. ხიდზე, რომელიც წყლის სიღრმეშია აგებული, ყოველდღიურად დაახლოებით 28 ათასი მანქანა დადის.

პროექტის ავტორებს არც ფეხით მოსიარულეები დავიწყებიათ, მათთვის საავტომობილო გზის გასწვრივ ბილიკებია გაკეთებული.

ასე რომ, ჰოლანდიელმა არქიტექტორებმა ბიბლიური საოცრების ცხოვრებაში განხორციელება შეძლეს, ამიტომ მათ წყლის დონის ქვეშ აგებულ ხიდს ბიბლიური **მოსეს ხიდი** უწოდეს, მოსესი, რომელმაც წყალი შუაზე გაააპო და ებრაელები ზღვის ფსკერზე გაატარა.







# ელფების სკოლა

**ელფები, ფერიები, ტროლები და სხვა ზღაპრული გმირები თანამედროვე კინოინდუსტრიაში წარმატებით სარგებლობს. ეს გმირები საშუალებას გვაძლევს, მოვწყდეთ რეალობას და ზღაპრულ სამყაროში გადავეშვათ, თუმცა ისლანდიაში ასე არ თვლიან.**

ამ ქვეყანაში თქვენ გაქვთ შესაძლებლობა ელფმცოდნეობას დაეუფლოთ სკოლაში, სადაც ელფებისა და სხვა ზღაპრული გმირების სახეობებს ასწავლიან. სკოლა სახელად Ǝlfaskჟlinn რეიკიავიკში მდებარეობს. სკოლაში შეგიძლიათ სრული ინფორმაცია მიიღოთ ელფების 13 სახეობის შესახებ. საგანმანათლებლო დაწესებულებას, შესაბამისად, კლასები, განრიგი და კურიკულუმები აქვს. კლასებში ელფების სურათებიც კიდია, რათა სტუდენტებმა იცოდნენ, თუ როგორ გამოიყურებიან ეს ზღაპრული არსებები.

სკოლა, მართალია, ძირითად აქცენტს ელფების სახეობის სწავლებაზე აკეთებს, მაგრამ აქვე გაივლით კურსებს ტროლებთან, ფერიებთან, გნომებთან მოქცევის წესებზეც. სწავლების დასასრულს სტუდენტები დიპლომებს იღებენ.

ცხადია, ასეთი საოცარი ადგილისადმი დაინტერესებას ტურისტების უამრავი ჯგუფი გამოხატავს. მოგზაურებს შეუძლიათ შეუკვეთონ 5-საათიანი ტური იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც ელფები ჩვეულებრივ ბინადრობენ.





# მასობრივი ქორწინება

**წლეულს სამხრეთ კორეაში სექტანტებმა მოაწყვეს მასობრივი ქორწინება. მასში მონაწილე 3 ათასი წყვილიდან ზოგმა რამდენიმე დღის წინათ გაიცნო ერთმანეთი. მსგავს ქორწინებებს მუნიტები გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ატარებენ. ალბათ, არავის გინახავთ ამდენი ნეფე-პატარძალი ერთად.**

მუნიტები ბოლო წლებში საქართველოშიც გამოჩნდნენ. „უნიფიკაციის (გაერთიანების) ეკლესია“ 1954 წელს სამხრეთ კორეაში ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელია ვინმე **სან მიუნ მუნი**, რომლის სახელის მიხედვით ამ სექტის წევრებს მუნიტებადაც იხსენიებენ.

„ღირსი“ სან მუნი დაიბადა 1920 წელს კორეელ პრესვიტერიანელთა ოჯახში. ყმაწვილობისას იგი სპირიტიზმით გახლდათ გატაცებული და ირწმუნებოდა, რომ „უდიდესი მისია“ ეკისრა — იყო „მესია“, რომელიც დაასრულებდა კაცობრიობის გამოხსნას და დედამიწაზე ღვთის სასუფეველს დაამყარებდა. მოგვიანებით მუნმა განაცხადა, რომ მას ეს „მისია“, მხოლოდ იესომ კი არა, ბუდამაც დააკისრა.

თავისი „სულიერი განდიდების“ ნიშნად 1946 წელს მუნმა სახელი შეიცვალა და სან მიუნ მუნი — „მანათობელი მზე და მთვარე“ — დაირქვა. 1954 წელს სეულში მან საკუთარი „ეკლესია“ დააარსა და უწოდა „სულიწმიდის ასოციაცია მსოფლიო ქრისტიანობის გასაერთიანებლად“. ეკლესიის დაარსებას მოჰყვა სკანდალური ისტორიების მთელი წყება.

1955 წელს მუნი მისი რელიგიური თემის ქალებთან ინტიმური ურთიერთობის გამო დააპატიმრეს (თუმცა თვითონ ამას ცოდვად არ მიიჩნევდა და „სისხლის განწმენდის წესსაც“ კი უწოდებდა). მრავალცოლიანობისა და სქესობრივი გაუკუღმართების ბრალდებით მუნი ორჯერ გაასამართლეს.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1839 წლის 21 ოქტომბერს სტოკჰოლმში დაიბადა შვედი ქიმიკოსი, ინჟინერი, დინამიტის გამომგონებელი ალფრედ ბერნჰარდ ნობელი.**

თავისი დიდძალი ქონება ანდერძით დატოვა დასაწესებლად პრემიისა, რომელსაც დღემდე ანიჭებენ მნიშვნელოვანი მიღწევებისთვის ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა და ლიტერატურის დარგებში, აგრეთვე, მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

გარდაიცვალა 1896 წლის 10 დეკემბერს.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები




*** 1520 წლის 21 ოქტომბერს პორტუგალიელმა და ესპანელმა ზღვაოსანმა ფერნანდო მაგელანმა დედამიწის გარშემო მოგზაურობისას სამხრეთ ამერიკაში აღმოაჩინა სრუტე, რომელსაც მოგვიანებით მაგელანის სრუტე უწოდეს.**

ეს სრუტე კონტინენტური სამხრეთ ამერიკისგან ჰყოფს ცეცხლოვანი მიწის არქიპელაგს. აგრეთვე, კუნძულ რიესკოსა და სხვა პატარა კუნძულებს. სრუტის მინიმალური სიგანეა 3,5 კმ, სიგრძე — 575 კმ, მინიმალური სიღრმე ფარვატერში — 20 მ.



*** 1805 წლის 21 ოქტომბერს ატლანტიკის ოკეანეში, ესპანეთის ქალაქ კადისთან, ტრაფალგარის კონცხთან ახლოს გაიმართა ბრძოლა ესპანეთ-საფრანგეთისა და ინგლისის საზღვაო ძალებს შორის.**

ინგლისელთა საზღვაო ესკადრამ, რომელშიც 31 ხომალდი იყო გაერთიანებული, ვიცეადმირალ **ჰორაციო ნელსონის** ხელმძღვანელობით, გაანადგურა ესპანეთისა და საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტი (38 ხომალდი) ფრანგი ადმირალ **პიერ შარლ ვილნევის** ხელმძღვანელობით. ამ ბრძოლაში ფრანგებმა და ესპანელებმა 22 ხომალდი დაკარგეს, ინგლისელებმა — არც ერთი.

ტრაფალგარის ბრძოლაში გამარჯვებამ ინგლისს მსოფლიოს ოკეანეზე გაბატონების საშუალება მისცა.



*** 1939 წლის 24 ოქტომბერს მაღაზიათა ქსელში პირველად გამოიტანეს გასაყიდად ნეილონის წინდები.**

1938 წელს ცნობილმა ქიმიურმა კომპანია „დიუპონ დე ნემურმა“ განაცხადა ახალი სინთეტიკური მასალის — ნეილონის — შექმნის შესახებ, რომელიც სიმტკიცესა და ელასტიკურობას მატებდა ნებისმიერ ქსოვილს. ამერიკელი ქალები, რომლებსაც სარეკლამო კამპანიის მიმდინარეობისას ეუბნებოდნენ, რომ ნეილონის წინდები ისევე მნიშვნელოვანია კაცობრიობისთვის, როგორც შიგაწვისძრავიანი ავტომობილები, მოუთმენლად ელოდნენ ნეილონის წინდებს, რომელსაც „რევოლუციური ატრიბუტი“ — „მომავლის სამოსი“ უწოდეს.

1939 წლის 24 ოქტომბერს კი ვილმინგტონის (დელავერის შტატი, აშშ) ერთ-ერთ უნივერმაღში გასაყიდად გამოიტანეს ნეილონის წინდების პატარა პარტია, რომელიც მყისვე გაიყიდა, ნახევარი წლის შემდეგ კი ნიუ იორკში მხოლოდ ერთ დღეში 5 მლნ ნეილონის წინდა გაიყიდა.



*** 1881 წლის 25 ოქტომბერს მალაგაში (ესპანეთი) დაიბადა ესპანელი მხატვარი, სკულპტორი, გრაფიკოსი, კერამიკოსი და დიზაინერი სიურრეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კუბიზმის ფუძემდებელი პაბლო პიკასო (პაბლო დიეგო ხოსე ფრანსისკო დე პაულა ხუან ნეპომუსენო მარია დე ლოს რემედიოს სიფრიანო დე ლა სენტისიმა ტრინიდად მარტირ პატრისიო რუის ი პიკასო).**

ექსპერტთა შეფასებით, პიკასო ყველაზე „ძვირად ღირებული“ მხატვარია. 2010 წელს მისი ნახატი „შიშველი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი“ 106 482 000 დოლარად გაიყიდა „კრისტის“ აუქციონზე.

ხოლო 2015 წელს პიკასოს ნახატმა „ალჟირელი ქალები“ (ვერსია 0) ხელოვნების ნაწარმოებებისთვის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა, როცა 179,3 მლნ დოლარად გაიყიდა.

პიკასოს ყველაზე პოპულარული ტილოებია: „აბსენთის მოყვარული ქალი“; „არლეკინი და მისი მეგობარი“; „გოგონა ბურთზე“; „სამი მუსიკოსი“; „შიშველი წითელში“; „შიშველი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი“; „გოგონა სარკის წინ“; „სიზმარი“; „კორიდა, ანუ მატადორის სიკვდილი“; „მშვიდობის მტრედი“; „ალჟირელი ქალები“; „დორა მაარი კატით“ (ინახება ბიძინა ივანიშვილის კოლექციაში) და სხვ.

გარდაიცვალა 1973 წლის 9 აპრილს.



*** 1929 წლის 23 ოქტომბერს ქუთაისში დაიბადა ქართველი ენათმეცნიერი, 2005-2013 წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის (WAAS) ნამდვილი წევრი თამაზ გამყრელიძე.**

მის ნაშრომთაგან აღსანიშნავია „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“, „ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის პრობლემისთვის“. მონოგრაფია „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (გივი მაჭავარიანის თანაავტორობით) და სხვ.



*** 1858 წლის 21 ოქტომბერს პარიზში პირველად შესრულდა ფრანგული ცეკვა კანკანი (ფრანგ. cancan — სიტყვასიტყვით — ხმაური), რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უხამს ცეკვად ითვლებოდა.**

კანკანის ყველაზე პოპულარული მელოდია ეკუთვნის კომპოზიტორ ჟაკ ოფენბახს (ოპერეტა „ორფეოსი ჯოჯოხეთში“). კანკანი შედის კაბარეების რეპერტუარში, განსაკუთრებით პოპულარულია პარიზის „მულენ რუჟში“.

*** 1940 წლის 23 ოქტომბერს დაიბადა ბრაზილიელი ფეხბურთელი, საფეხბურთო კლუბ „სანტოსის“ (სან-პაულუ), ნიუ იორკის „კოსმოსისა“ და ბრაზილიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მოთამაშე პელე (ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ).**

პელე ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 3-ჯერ მოიპოვა.




*** 1926 წლის 25 ოქტომბერს დაიბადა ქართველი ფერმწერი ავთო ვარაზი (ავთანდილ ვარაზაშვილი).**

მან ქართულ მხატვრობაში პირველად გამოიყენა კოლაჟის ტექნიკა.

ავთო ვარაზის ტილოები მსოფლიოს მუზეუმებშია დაცული, მაგრამ ზოგიერთი ნამუშევრის ბედი დღესაც უცნობია. ავთო ვარაზის „ხარის თავი“ ნიუ იორკის მუზეუმ „მოდერნ არტში“ ინახება, მეორე, ისიც „ხარის თავის“ სახელწოდებით (სინამდვილეში კრავის თავია) — აშშ-ის ზიმერლის ნონკონფორმისტულ მუზეუმში, მესამე „ხარის თავი“ — პარიზში, ალექსანდრე გლეზერის კოლექციაში, ხოლო „რვაფეხა“ — საბერძნეთში, კოსტაკისის კერძო კოლექციაში. მისი 15 ნამუშევარი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, აგრეთვე, ქუთაისის, ცაგერის, ამბროლაურისა და სენაკის მუზეუმებში.



გარდაიცვალა 1977 წლის 3 მარტს.

*** 1825 წლის 25 ოქტომბერს ვენაში დაიბადა გამოჩენილი ავსტრიელი კომპოზიტორი, დირიჟორი და მევიოლინე „ვალსების მეფედ“ აღიარებული იოჰან შტრაუსი (შვილი).**

იოჰან შტრაუსი ავტორია უამრავი საცეკვაო ნაწარმოებისა და რამდენიმე ოპერეტის. მათ შორის აღსანიშნავია ვალსები: „მშვენიერ ცისფერ დუნაიზე“; „ვენის ტყის ზღაპრები“; „ათას ერთი ღამე“; „საიმპერატორო ვალსი“ და სხვ. ოპერეტები: „ღამურა“; „ბოშათა ბარონი“; „კონკია“; „კარნავალი რომში“; „ღამე ვენეციაში“ და სხვ.



გარდაიცვალა 1899 წლის 3 ივნისს.

**არასტაბილური პერიოდია. შეეცადეთ, დაასრულოთ დაწყებული საქმეები და იმოქმედოთ ინტუიციით. მაღალია მოტყუების ალბათობა. სასიკეთო პერიოდია სასწორისა და მორიელის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**19 - 25 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

აქტიურობის პერიოდია. შეეცადეთ, როგორი წინააღმდეგობაც უნდა შეგექმნათ, დასახული მიზნებისკენ სავალი გზიდან არ გადაუხვიოთ.

ძალიან მნიშვნელოვანია, გარშემო მყოფებს დაუმტკიცოთ, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას დამოუკიდებელი ხართ.

თუ თვითონ არ შექმნით კონფლიქტს, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება.

მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 22 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 ოქტომბერი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

მოგეცემათ ახალი საქმის დაწყების შესაძლებლობა, რაც საკმაო ფინანსურ სარგებელს მოგიტანთ. ოღონდ სწრაფად და შეუპოვრად უნდა იმოქმედოთ.

კოლეგებსა და ახლობლებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობები შეინარჩუნეთ.

დაქორწინებული კუროების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან სტაბილური იქნება, მიუხედავად უთანხმოებისა საყოფაცხოვრებო საკითხებში.

შეეცადეთ, დაიცვათ კვების რეჟიმი და სრულფასოვნად დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 21 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 23 ოქტომბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

ბევრი საქმე და პრობლემა გექნებათ მოსაგვარებელი, მაგრამ მთავარია, თქვენი ძალისხმევა და ყურადღება ძირითადი სამუშაოს შესრულებისკენ მიმართოთ, წვრილმანები კი მოიცდის.

ტყუპებმა, რომლებსაც სურთ საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენლებთან ურთიერთობის გაღრმავება, ენას კბილი უნდა დააჭირონ და წარსულზე არ ილაპარაკონ.

კარგი პერიოდია წონის დასაკლებად. დიეტა და ფიზიკური ვარჯიში სასურველ შედეგს მოგიტანთ.

**დადებითი დღე: 20 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 23 ოქტომბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

შეეცადეთ, ეს პერიოდი კოლეგებსა და ახლობლებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად გამოიყენოთ. მოგეცემათ ახალი საქმის დაწყების შანსი. გაითვალისწინეთ: თუ ახალი პროექტის განხორციელებას დაიწყებთ, შეიძლება მოგიწიოთ სამსახურის დატოვება.

დაქორწინებულ კირჩხიბებს შეიძლება პრობლემები შეექმნათ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. მიზეზი კი სხვისი თვალსაზრისის ჯიუტად გაუთვალისწინებლობა იქნება.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 20 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ოქტომბერი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

გაგიჩნდებათ ამა თუ იმ საკითხზე კამათში ჩართვის სურვილი, მაგრამ ეს შეიძლება თქვენთვის არასასურველი შედეგით დასრულდეს. თვალსაზრისი დაიცავით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული იქნებით, რომ მართალი ხართ.

წინდაუხედავმა საქციელმა ან დაუკვირვებლად ნათქვამმა სიტყვამ შეიძლება ურთიერთობა გაგიმწვავოთ საყვარელ ადამიანთან.

გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას — დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 20 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 ოქტომბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

საქმე თავზე საყრელად გექნებათ და თითოეული მათგანის დასრულება მხოლოდ თქვენი მონაწილეობით შეიძლება გადაწყდეს. წარუმატებლობას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, რადგან მალე დადგება თქვენთვის ხელსაყრელი პერიოდი, რომდესაც ბევრი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებთ.

დაქორწინებული ქალწულების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული იქნება, თუ თავს დაანებებთ მის გაკრიტიკებას წვრილმანებზე.

მაღალია ფარისებრი ჯირკვლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ჩაიტერეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 25 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 ოქტომბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

სასიკეთო პერიოდია პროფესიულ სფეროში წინსვლისთვის. ოღონდ უნდა ისწავლოთ ერთი საქმიდან მეორეზე სწრაფად გადართვა, რათა საჭირო მომენტში საჭირო გადაწყვეტილება მიიღოთ და წარმატების შანსი ხელიდან არ გაუშვათ.

მარტოხელა სასწორებს მიეცემათ იმ ადამიანთან დაახლოების შანსი, რომლის მიმართაც, კარგა ხანია, სიმპათია გაუჩნდათ.

შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად და მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 21 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 24 ოქტომბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

მორიელებისთვის დადგა ახალი იდეებისა და ჩაფიქრებული პროექტების განხორციელების პერიოდი. იაქტიურეთ და დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ.

ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას რჩევა საყვარელ ადამიანს ჰკითხეთ, მისი აზრი ძალიან სასარგებლო იქნება.

მორიელები, რომლებსაც ენდოკრინული სისტემის დაავადება აწუხებთ, აუცილებლად უნდა მივიდნენ სპეციალისტთან და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 20 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ოქტომბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

ენერგიით აღივსებით და რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას შეეცდებით, მაგრამ, უწინარესად, მთავარი საქმის მოგვარებაზე იფიქრეთ, შემდეგ კი — დანარჩენზე. თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ გარიგებაში მონაწილეობას და აზარტულ თამაშებს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას გაითვალისწინეთ, რომ შექება, თანაც დამსახურებული, ყველას სიამოვნებს და მის მიმართ თბილ სიტყვებს ნუ დაიშურებთ, საპასუხოდ თქვენც მიიღებთ მხარდაჭერას.

კარგი იქნება, თუ ჩაიტარებთ მავნე ნივთიერებებისგან ორგანიზმის გასაწმენდ პროცედურებს.

**დადებითი დღე: 22 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 ოქტომბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

შესაძლოა, თავი შეგახსენოთ პრობლემამ, რომელიც წარსულში შეგექმნათ და დავიწყებული გქონდათ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ გამოსავალი ყოველთვის არსებობს და ნებისმიერ პრობლემას, როგორი რთულიც უნდა იყოს, აუცილებლად მოაგვარებთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში შეიტანეთ მეტი სიხალისე, წადით ერთად სადმე — კინოში, თეატრში, გამოფენაზე ან შინ მოაწყვეთ წვეულება და მოიპატიჟეთ ახლობლები.

ამ პერიოდში მოწყვლადია კანი, ამიტომ სასურველი არ არის კანზე რაიმე პროცედურის ჩატარება.

**დადებითი დღე: 19 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 23 ოქტომბერი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

მოჩქარეს მოუგვიანდესო, — ეს ანდაზა მერწყულებმა კარგად უნდა დაიმახსოვრონ, თუ ბევრი საქმე დაუგროვდებათ.

იმოქმედეთ ნელა, თანამიმდევრობით და შეეცადეთ, კოლეგები და ახლობლები დაიხმაროთ.

საყვარელ ადამიანთან კატეგორიული ტონით ლაპარაკი კონფლიქტის მეტს არაფერს მოგიტანთ. მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, უთანხმოება კომპრომისის გზით მოაგვაროთ.

მერწყულებმა, რომლებიც მიდრეკილნი არიან თავის ტკივილისადმი, უარი უნდა თქვან შოკოლადზე, შაქარსა და ყავაზე. რეკომენდებულია ბევრი სუფთა წყლის მიღება.

**დადებითი დღე: 19 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 ოქტომბერი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

თქვენი პროფესიული წარმატება დიდწილად იქნება დამოკიდებული კოლეგებისა და საქმიანი პარტნიორების მხარდაჭერაზე. გაფრთხილდით დოკუმენტებზე ხელის მოწერისას, რადგან დიდია ალბათობა იმისა, რომ თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ. ფული ეკონომიურად ხარჯეთ — მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები. დაქორწინებულ თევზებს გაუჩნდებათ მეუღლესთან განმარტოების ან მასთან ერთად სადმე გამგზავრების სურვილი. ზოგიერთმა თევზმა, შესაძლოა, იგრძნოს კუნთების ან სახსრების ტკივილი. ნუ დაიწყებთ თვითმკურნალობას. მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ შესაბამისი პროცედურები.

**დადებითი დღე: 23 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 ოქტომბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით

**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასაოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 19-25 ოქტომბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

**19 ოქტომბერი** — კარგი დროა ოთახის ყვავილების მავნებლების საწინააღმდეგო ხსნარით შესაწამლავად. რეკომენდებული არ არის მცანარეების დარგვა ან გადარგვა.

**20 ოქტომბერი** — რეკომენდებულია მსხმოიარე ხეებისთვის გამხმარი ტოტების მოცილება, გამხმარი ხის მოჭრა.

**21 ოქტომბერი** — დაათვალიერეთ ნიადაგი: იქ, სადაც მიწა მკვრივი და დატკეპნილია, გააფხვიერეთ, ოღონდ ღრმად — არა, რადგან შესაძლოა ფესვები დააზიანოთ.

**22 ოქტომბერი** — ხელსაყრელია მიწისზედა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად ნიადაგის შესაბამისი ქიმიკატებით დამუშავება და მინერალური სასუქების შეტანა.

**23 ოქტომბერი** — კარგი დღეა მცენარეების გადასარგავად.

**24 ოქტომბერი** — დაბარეთ მიწა. რეკომენდებულია ხილისა და კენკროვანი მცენარეების გახმობა.

**25 ოქტომბერი** — მიწის მოვლა-დამუშავება და გაწმენდა გამხმარი ტოტებისა და ფოთლებისგან. რეკომენდებულია მორწყვა.

# «უთანაბრობის კანონი», ანუ სანამ პროფესორის პენსია 500 ლარი არ იქნება

**არც ერთ არჩევნებში არც ერთ მთავრობასა თუ პარტიას მხარს არ დავუჭერ მანამ, სანამ პროფესორის მინიმალური პენსია 500 ლარი არ იქნება. 250 და 300 ლარი მათ ოჯახებში შევიდეს, ვინც ამ ოდენობის პენსიის დანიშვნას აპირებს ჩვენთვის.**



შეადარეთ ჩვენი პენსიები ინგლისელის 1400-დოლარიან პენსიას და ადვილად მიხვდებით, რა სავალალო მდგომარეობაში ვიმყოფებით ისინი, ვისაც ქვეყნისათვის დიდი სამსახური გაუწევია. ეკონომიკა არ გვაძლევს დიდი პენსიების დანიშვნის საშუალებასო, — ამბობთ თქვენ. სწორედ იმიტომ არ მოგცემთ ხმას, რომ ეკონომიკაც დაცემულია თქვენს ხელში და სასიკეთოს ვერაფერს აკეთებთ მის გასაჯანსაღებლად; ვერ ასაქმებთ ხალხს და არც პოლიტიკური ნება გაქვთ, ხალხზე რომ იზრუნოთ; მხოლოდ თქვენს სინეკურულ ცხოვრებას იწყობთ. თქვენსა და ხალხს შორის „ხიდი ჩატეხილია“ და მისი გამთელება არ მოხდება, სანამ არ დამკვიდრდება „გათანაბრების წყობა და კანონი“. ამერიკის შეერთებული შტატების კოლეჯის სტუდენტებიც კი თქვენზე წინ წავიდნენ, როცა მათ რამდენიმე წლის წინათ თქვეს, რომ **დედამიწაზე მოქმედებს „უთანაბრობის კანონი“, რომელიც იწვევს სოციალურ უსამართლობას, სიდუხჭირესა და სიღატაკეს, შიმშილს, განუკითხაობას, დაპირისპირებას საზოგადოების წევრებს შორის.** თქვენს პარტიებს შორის უგუნური დაპირისპირებაც სწორედ სოციალური არამდგრადობის მიზეზია. ხალხი სულს ღაფავს. **პროფესორსა და აკადემიკოსს (პენსიონერს) პურის ფული რომ ენატრება, შეიძლება ამის მეტი უსამართლობა იყოს ქვეყნად? თქვენ კი, სასახლეებ-ჯიპებიანო სახელმწიფო მოხელეებო, რესტორნებში ქეიფის შემდეგ ოფიციანტებს რომ ასლარიან კუპიურებს ჩუქნით, თუ ფიქრობთ, რამდენი ბავშვი შიმშილობს საქართველოში თქვენი უნიათობის გამო?** თქვენმა თავისუფლებამ და ყბადაღებულმა დემოკრატიამ აღვირახსნილობა და განუკითხაობა, ქაოსი და თავაშვებულობა მოგვიტანა. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები მიუთითებდნენ, რომ დემოკრატია, ტიმოკრატია, ტირანია და ოლიგარქია მმართველობის უვარგისი ფორმებია. თქვენ იმიტომ არ გსურთ ასეთი მმართველობის შეცვლა უკეთესი წყობით, რომ დიდ სიმდიდრეს დაკარგავთ. **მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნებმა შეძლეს „გათანაბრების კანონის“ დამკვიდრება და ამიტომ ამ ქვეყნებში დიდი განსხვავებები შრომის ანაზღაურებაში არ არსებობს.** მე არ ვამბობ, რომ მაღალჩინოსნებსა და ჩვენ შორის არ იყოს განსხვავება ანაზღაურებაში (რადგან თქვენ 24 საათი მუშაობთ და დიდ სახელმწიფო საქმეებს განაგებთ), მაგრამ არა იმ მასშტაბით, რომელიც არსებობს. **თქვენი ხელფასის 10% მაინც უნდა დაგენიშნათ პროფესორებისთვის პენსიად, მაგრამ ამას ვერ გააკეთებთ, რადგან სინდისის დეფიციტი გაქვთ.**

როცა გსურთ, ხალხმა მხარი დაგიჭიროთ არჩევნებში, საზოგადოებას დაპირებებით კი არ უნდა კვებავდეთ, არამედ რეალურად უნდა ასრულებდეთ მათ, რაც ჯერ არც ერთი ხელისუფლებას არ გაუკეთებია. უკვე თორმეტი მთავრობა გამოვიცვალეთ და ხალხის მდგომარეობა სულ უფრო უარესდება, მეტ ძალას იკრებს განუკითხაობა და უსამართლობა. ყველა დარგი ჩავარდნილია, არც ერთი უწყება არ მუშაობს ნორმალურად.

საჭიროა, ასპარეზზე გამოჩნდნენ დიდი ადამიანები, რომლებზეც ოცნებობდა ჩვენი სასიქადულო პოეტი **მუხრან მაჭავარიანი.** თუ ეს არ მოხდება და არ შეიცვლება მართვის სისტემა, თუ არ ამოქმედდება „გათანაბრების კანონი“, ჩვენს ხალხს მომავალი არ უწერია.

ვიმედოვნებ, რომ გამოჩნდებიან სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები, შეიქმნება „ადამიანი-სახელმწიფოს“ ცნება, დაფასდება შრომა და მაშინ წალმა დატრიალდება ჩვენი ცხოვრების ჩარხი.

**მამია მდინარაძე,**
**პროფესორი**

## თქვენი ხელფასის 10% მაინც უნდა დაგენიშნათ პროფესორებისთვის პენსიად, მაგრამ ამას ვერ გააკეთებთ, რადგან სინდისის დეფიციტი გაქვთ

# რატომ არის მთავრობა უნიათო, ხერხემალში რომ არ გადაამტვრია «ნაცმოძრაობა?»

**„საკონსტიტუციო უმრავლესობა — ეს არის საფრთხე. ეს არის პიარტექნოლოგიური საფრთხობელა, რომელიც შექმნეს ღია და ფარულმა ნაციონალებმა, რათა უზრუნველეყოთ დამატებითი მანდატები მათ სასარგებლოდ“, — განაცხადა „მარშალპრესის“ პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე საქართველოს მთავარი პროკურორის ყოფილმა მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა.**



მისი თქმით, საკონსტიტუციო უმრავლესობით ავტორიტარიზმი და ტოტალიტარიზმი არ მყარდება.

„ჩვენი კონსტიტუცია უკიდურესად დაზიანებულია. მოგეხსენებათ, რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კონსტიტუციის ჭრაკერვა მიდიოდა „უპრაგონოდ“. ამ კონსტიტუციას სჭირდება გასწორება, ამ კონსტიტუციის გასწორებას სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა.

„ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიცემული ნებისმიერი მანდატი, ანუ „ქართული ოცნებისგან“ საკონსტიტუციო უმრავლესობის ვერ მოპოვება, „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩაუგდებს მაბლოკირებელ პაკეტს, რათა საქართველო საკონსტიტუციო კანონშემოქმედების თვალსაზრისით წინ ვერ წავიდეს.

სააკაშვილმა დაბლოკა თავისი საკონსტიტუციო კანონშემოქმედება. მან ჯერ ჭრა და კერა, ამის მერე ორი მესამედი გაამეოთხედა, რათა არავის ჰქონოდა საშუალება, მის მიერ საკუთარ თავზე მორგებული კონსტიტუცია შეეცვალა. ეს კონსტიტუცია მის უვადო მმართველობაზე იყო მორგებული, ეს დღეს ეჭვს აღარც იწვევს. შეგახსენებთ, რომ საპრეზიდენტო უფლებამოსილება შეზღუდული იყო ორი ვადით, ხოლო საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში პრემიერის ჯერადობა არ არის შეზღუდული საერთაშორისო და დემოკრატიულ პრაქტიკაში. ეს რომ მიხეილ სააკაშვილისთვის უვადო მმართველობისთვის შექმნილი მოდელი იყო, ეჭვს აღარ ბადებს. ასეთი დამახინჯებული კონსტიტუცია გვერგო მემკვიდრეობით ჩვენ და „ქართულ ოცნებას“. ამ კონსტიტუციას სჭირდება გასწორება. აპრიორი საკონსტიტუციო უმრავლესობის საფრთხედ გამოცხადება არის არაკეთილსინდისიერი საქციელი. ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ამოვიდეთ ისევ იმ კონსტექსტიდან, რომელ კონსტექსტშიც ვიმყოფებით.

„ქართული ოცნების“ 4-წლიანი მმართველობა ხასიათდებოდა იმით, რომ ძალიან მაღალი მანდატით მოსული ხელისუფლებაა. რა დააშავა ხელისუფლებამ? დააშავა ის, რომ უარი თქვა რევოლუციურ ტერორზე, ანგარიშსწორებაზე, არ დაითხოვა მოსამართლეთა კორპუსი და სასამართლო საბოტაჟის პირობებში უკიდურესად სამართლებრივი ნორმების დაცვით დაიწყო სამართლიანობის დამკვიდრება. ანუ როგორი საკონსტიტუციო უმრავლესობის ხელისუფლების გვეშინია ჩვენ? რატომ არის მთავრობა უნიათო? იმიტომ, რომ არ გაითვალისწინა ხალხის აზრი — „ნაციონალური მოძრაობა“ ხერხემალში გადაამტვრიეთო“? — განაცხადა ლაშა ნაცვლიშვილმა.



# უკრაინაში ზამთრისთვის საკმარისი ბუნებრივი აირი არ არის

**უკრაინის ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრ ნოვაკის განცხადებით, უკრაინაში ზამთრისთვის საკმარისი ბუნებრივი აირი არ არის.**

„დღევანდელი მონაცემების მიხედვით, ჩვენი შეფასებით, უკრაინაში ზამთრისთვის საკმარისი ბუნებრივი აირი არ არის“, — განაცხადა მინისტრმა.

მინისტრის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა გადაიხდის, რუსეთი მზად არის, ბუნებრივი აირის საჭირო მოცულობა მიაწოდოს.



### ჯულიან კინგი:
# მოსულის გათავისუფლების შემთხვევაში ევროპელი ისლამისტები, სავარაუდოდ, ევროპაში დაბრუნდებიან

**ევროკომისარმა უსაფრთხოების საკითხებში — ჯულიან კინგმა გამოცემა Die Welt-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ერაყის ქალაქ მოსულის გათავისუფლების შემთხვევაში ევროპელი ისლამისტები, სავარაუდოდ, ევროპაში დაბრუნდებიან.**

ჯულიან კინგის აზრით, ევროპაში რადიკალი ისლამისტების მცირე რაოდენობითაც კი სერიოზული საფრთხე იქმნება.

ევროკომისრის შეფასებით, ერაყსა და სირიაში, „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ევროკავშირის დაახლოებით 25 000 მოქალაქე იბრძვის.

ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა და ქურთმა მეამბოხეებმა, საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერით, ერაყის სიდიდით მეორე ქალაქ მოსულის გათავისუფლების ოპერაცია გუშინ დაიწყეს. სამხედრო სპეციალისტების პროგნოზით, ოპერაცია რამდენიმე კვირას გაგრძელდება.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა | ეკონომიკა | საზოგადოება | ადამიანის უფლებები | ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894